



ვაცფარე გურული

რუსეთის აღმოსავლური
პოლიტიკა და საქართველო
XVIII საუკუნის 70-90-იან წლებები

(„საბარძნეთის პროექტი“)

საქართველოს საპატიოარქოს წმ. ანდრია ბირველწოდებულის
სახ. ქართული უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლა

ვასტაცი გურული

რუსეთის აღმოსავლური პოლიტიკა

და საქართველო

XVIII საუკუნის 70-90-იან წლებში

(„საბერძნეთის პროექტი“)

ლექციების კურსი

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი 2024

ლექციების კურსში განხილულია უმნიშვნელოვანესი პრობლემა – რუსეთის აღმოსავლური პოლიტიკა და საქართველო XVIII საუკუნის 70-90-იან წლებში („საბერძნეთის პროექტი“, „ბერძნული პროექტი“). ნაჩვენებია ამ გეოსტრატეგიული პროექტის აღმოცენება და მისი რეალიზაციისათვის ბრძოლა, განსაზღვრულია პროექტის ადგილი ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიის ურთიერთობებში.

ნაშრომი განკუთვნილია საქართველოს ისტორიის სპეციალობის სტუდენტთათვის.

რედაქტორი

პროფესორი **ჯემალ კარალიძე.**

რეცენზენტი:

ასოცირებული პროფესორი
გვანცა ბურდული,

ისტორიის დოქტორი **მერაბ კეზევაძე.**

© ვახტანგ გურული, 2024.

გამომცემლობა „მერიდიანი“

ISBN 978-9941-34-386-5

შესავალი

რუსეთის იმპერიის პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში ობიექტურდ ვერ წარმოჩინდება თანადროული საერთაშორისო ურთიერთობის პრობლემების განხილვის გარეშე¹. რუსეთის კავკასიურ პოლიტიკას ბევრწილად განსაზღვრავდა რუსეთ-ოსმალეთისა და რუსეთ-ირანის ურთიერთობა, უფრო მეტიც, რუსეთისა და დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების დაპირისპირება ბალკანეთის ნახევარკუნძულზე და მახლობელ აღმოსავლეთში, ე.ნ. „აღმოსავლეთის საკითხი“. უკვე XVII საუკუნის დასასრულიდან და XVIII საუკუნის დამდეგიდან რუსეთის საგარეო პოლიტიკის უმთავრეს მიმართულებად იქცა ბალტიისპირეთის, შავიზღვისპირეთისა და კასპიისპირეთის ხელში ჩაგდება. ბალტიისპირეთის დაპყრობა – გზა ჩრდილო-დასავლეთი ევროპისაკენ, კასპიისპირეთის დაპყრობა – გზა აზიისაკენ, შავიზღვისპირეთის დაპყრობა – გზა სამხრეთ ევროპისაკენ. რუსეთის დასაყრდენს სამხრეთ კავკასიაში წარმოადგენდნენ ქართული სამეფო-სამთავროები.

XVIII საუკუნის დამდეგისათვის შავი ზღვა „ოსმალეთის ტბას“ წარმოადგენდა, სადაც განუხრელად ბატონობდა ოსმალეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტი, ყველა სანაპირო სიმაგრეს ოსმალეთი ფლობდა. ამას ემატებოდა ის, რომ ჩრდილო კავკასიის მუსლიმი მოსახლეობა ან ოსმალეთის, ან ირანის მოკავშირეები იყვნენ. ერთდროულად ჩრდილო და სამხრეთ კავკასიაში გაბატონება რუსეთს არ შეეძლო. ეს ზრდიდა რუსეთის ინტერესს ქართულ სამეფო-სამთავროებისადმი.

რუსეთის დამკვიდრება ჩრდილო და სამხრეთ კავკასიაში მიუღებელი იყო ინგლისის, საფრანგეთისა და ავსტრიისათვის, თუმცა XVIII საუკუნეში ყველაფერს რუსეთის, ირანისა და ოსმა-

¹ О. П. Маркова. Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. Москва, 1966, стр.5.

ლეთის დაპირისპირება წყვეტდა. რუსეთს გადამწყვეტ წინააღმდეგობას დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები ჯერ-ჯერობით მხოლოდ ბალკანეთის ნახევარკუნძულზე უწევდნენ. რუსეთ-ოსმალეთისა და რუსეთ-ევროპის ურთიერთობაში საინტერესო მოვლენას წარმოადგენს ე.წ. „საბერძნეთის პროექტი“ („ბერძნული პროექტი“), როგორც XVIII საუკუნის 80-იანი წლების უმნიშვნელოვანესი გეოსტრატეგიული პროექტი. სანამ „საბერძნეთის პროექტის“ განხილვას შევუდგებოდეთ მოკლედ მიმოვინილოთ რუსული სახელმწიფოს გეოსტრატეგიული პროექტები კიევის რუსეთისა და მოსკოვის რუსეთის არსებობის პერიოდში. „საბერძნეთის პროექტი“ სწორედ ამ გეოსტრატეგიულ პროექტების გაგრძელებას წარმოადგენდა.

ლექცია 1. კიევის რუსეთის დიდი მთავრების გეოსტრატეგიული მისწრაფები

1. ძველი რუსეთის სახელმწიფოს (კიევის რუსეთის) ნარმოქმნა.

აღმოსავლეთ სლავებს მრავალ ხალხთან უხდებოდათ ურთიერთობა. ისინი ძირითადად სლავთა მეზობლად ცხოვრობდნენ. მათ შორის ხშირი იყო ომები. აღმოსავლეთ სლავების ცხოვრებაში განსაკუთრებული როლი შეასრულეს **სკანდინავიდან** მოსულმა მეომარმა ხალხებმა – **ნორმანებმა**, რომელთაც რუსული მატიანე „ვარიაგებს“ უწოდებს. ნორმანები მთელ ევროპაში მეკოპრეობდნენ. IX საუკუნეში მათ მეკოპრეობა დაიწყეს ბალტის ზღვიდან, აღმოსავლეთ სლავებით დასახლებული ტერიტორიის გავლით, შავი ზღვით – ბიზანტიისაკენ. უფრო კონკრეტულად, ნორმანები ბალტიის ზღვიდან შეცურდებოდნენ მდინარე **ნევაში**, ნევიდან გადადიოდნენ ლადოგის ტბაზე, ხოლო შემდეგ – მდინარე ვოლხოვიდან ილმენის ტბაზე. ილმენის ტბიდან მდინარე ლოვატით ისინი აღწევდნენ მდინარე დნეპრის ზემონელამდე, ხოლო მდინარე დნეპრით – **შავ ზღვამდე** და ბიზანტიის საზღვრებამდე. ცხადია, ნორმანებს გზის გარკვეულ მონაკვეთებზე თავიანთი ნავები ხმელეთზე ხელით გადაჰქონდათ. ამ გზას რუსული მატიანე უწოდებს გზას **ვარიაგებიდან (ნორმანებიდან)** საპერძეთამდე (ბიზანტიამდე). ჩრდილო ევროპიდან სამხრეთ ევროპისაკენ ანუ ბალტიის ზღვიდან შავი ზღვისაკენ მიმავალ ამ უმნიშვნელოვანეს სატრანსპორტო არტერიას კონტროლს უწევდნენ აღმოსავლეთ სლავები. სწორედ ამიტომ ვარიაგებს IX საუკუნეში შეჯახებები უხდებოდათ აღმოსავლეთ სლავებთან. სამხრეთისაკენ სამეკოპრეოდ დაძრული ვარიაგები ძარცვავდნენ სლავებს, ხოლო ხშირ შემთხვევაში დიდი ხნით რჩებოდნენ მათ ტერიტორიაზე.

IX საუკუნის მეორე ნახევარში ვარიაგების აღმოსავლეთ

სლავების ტერიტორიაზე შემოჭრა და მათი განუწყვეტელი გადაადგილება ბალტიის ზღვიდან შავი ზღვისაკენ მიმავალ სატრანსპორტო მაგისტრალზე დაემთხვა აღმოსავლეთ სლავებში ტომთა კავშირების წარმოქმნასა და მათ შორის პირველობისათვის დაწყებულ ბრძოლას. ცხადია, ვარიაგებმა შექმნილი მდგომარეობით ისარგებლეს და ვითარება თავიანთი ინტერესებისათვის გამოიყენეს.

რუსული მატიანის – „**გარდასულ წელთა ამბის**“ მიხედვით, 859 წლისათვის ვარიაგებს ხარკს უხდიდნენ სლავური ტომები სლოვენები და კრივიჩები, ასევე არასლავური ტომები ჩუდელები (ესტები) და ვესები. ცხადია, ხარკის გადახდას სლავები ნებით არ იკისრებდნენ, ისინი ვარიაგებს ძალით უნდა დაემორჩილებინათ. 862 წელს სლავები აჯანყდნენ და ვარიაგები განდევნეს. ვარიაგების წასვლის შემდეგ მათი ბატონობისაგან გათავისუფლებულ სლავურ ტომებში, ასევე ჩუდებსა და ვესებში დაიწყო პირველობისათვის ბრძოლა, რასაც მოჰყვა გაუთავებელი ომები. შინააშლილობის პროცესისათვის დამახასიათებელი უსამართლობითა და სისხლისლვრით თავმობეზრებულმა სლავებმა გადაწყვიტეს, ნორმანთა (ვარიაგთა) შორის მოეძებნათ ისეთი მთავარი, რომელიც ქვეყანაში წესრიგს დაამყარებდა. **სლოვენებმა, კრივიჩებმა, ჩუდელებმა და ვესებმა** თავიანთი წარმომადგენლები გაგზავნეს ვარიაგებთან. ვარიაგების ის ტომი, რომელთანაც სლავთა წარგზავნილები მივიდნენ, **რუსის** სახელს ატარებდა. რუსის ვარიაგულ ტომში სლავებმა შეარჩიეს სამი ძმა: **რიურიკი, სინეუსი და ტრუვორი.** 862 წელს ძმები, რუსის ვარიაგულ ტომთან ერთად, სლავთა წარგზავნილებს თან გაჰყვნენ. უფროსი ძმა რიურიკი **ლადოგაში** დასახლდა, შუათანა ძმა სინეუსი – **ბელოზეროში**, ხოლო უმცროსი ტრუვორი – **იზბორსკში.** რიურიკისა და მისი ძმების წინამძღვრობით მოსული რუსის ვარიაგული ტომის სახელი შემდეგში მთელ ქვეყანაზე

გავრცელდა და ნორმანული (ვარიაგული) დინასტიით სათავეში აღმოსავლეთ სლავების მიერ შექმნილ სახელმწიფოსაც რუსეთი ეწოდა. სწორედ 862 წელს სლავთა ტომების მიერ რიურიკის მთავრად მოწვევა ითვლება რუსეთში სახელმწიფოებრიობის დასაწყისად. დინასტიას, რომელსაც სათავე რიურიკმა დაუდო, რიურიკოვიჩების დინასტია ეწოდა. ეს დინასტია რუსეთს 862 წლიდან 1584 წლამდე მართავდა.

879 წელს რიურიკი გარდაიცვალა, მთავარი გახდა მისი ნათესავი ოლეგი. რიურიკმა ოლეგს ჩააბარა თავისი მცირენლოვანი შვილი იგორი.

2. კიევის რუსეთის დიდი მთავრების ლაშქრობები კონსტანტინოპოლისა და ბალკანეთის ნახევრაკუნძულის დაპყრობის მიზნით. კიევის რუსეთის მთავრები ესწრაფოდნენ ბიზანტიის იმპერიის დედაქალაქის, კონსტანტინოპოლისა და ბიზანტიის იმპერიაში შემავალი ბალკანეთის ნახევრაკუნძულის დაპყრობას. კონკრეტულად, ასეთი მცდელობები ჰქონდათ დიდ მთავრებს: ოლეგს, იგორსა და სვიატოსლავს.

ა) ოლეგი (882-912). 907 წელს ოლეგმა დიდი ლაშქარი შეკრიბა და ბიზანტიის წინააღმდეგ დაიძრა. ოლეგის ლაშქარში, ვარიაგებისა (ნორმანებისა) და ჩუდელების გარდა, სლავებიც (სლოვენები, კრივიჩები, დრევლიანები, რადომიჩები, პოლიანები, სევერიანები, ვიატიჩები, დულებები, ტივერელები და სხვ.) იბრძოდნენ. ოლეგის ლაშქარი ცხენებითა და ნავებით გადაადგილდებოდა. მატიანის ცნობით, ოლეგმა ბიზანტიის დედაქალაქ კონსტანტინოპოლზე (რუსი მემატიანე მას „ცარგრადს“ უწოდებს) სალაშქროდ 2000 ნავს მოუყარა თავი. ოლეგის ლაშქარმა ბიზანტიის ქალაქები და სოფლები გაძარცვა და კონსტანტინოპოლს მიადგა. შეშინებულმა ბიზანტიიელებმა ხარკი იკისრეს და ამ გზით გადაარჩინეს დედაქალაქი. 907 წელსვე ოლეგმა ბიზანტიიასთან

რუსეთისათვის ხელსაყრელი სავაჭრო ხელშეკრულება დადო. 911 წელს ოლეგმა ბიზანტიასთან მეორე, კიდევ უფრო მომგები-ანი, სავაჭრო ხელშეკრულებაც გააფორმა.

ოლეგი 912 წელს გარდაიცვალა კიევში. ოლეგის გარდაცვა-ლების შემდეგ კიევის რუსეთის დიდი მთავარი გახდა რიურიკის შვილი იგორი.

ბ) იგორი (912-945). 941 წელს იგორმა ბიზანტიის წინააღ-მდეგ გაილაშქრა, მაგრამ რუსებმა მარცხი იწვნიეს და კიევში დაბრუნდნენ. 944 წელს იგორმა კიდევ უფრო დიდი ლაშქარი შეკრიბა და კვლავ გაილაშქრა ბიზანტიის წინააღმდეგ. ბიზან-ტიის იმპერატორმა რუსებთან ომს თავი აარიდა და იმაზე მეტი ხარკი იკისრა, ვიდრე ბიზანტიელები ოლეგს უხდიდნენ. იგორი გამარჯვებული დაბრუნდა კიევში. 945 წელს კიევის რუსეთსა და ბიზანტიას შორის ახალი სავაჭრო ხელშეკრულება დაიდო.

გ) სვიატოსლავი (945-972). დედის, ოლგას, რჩევის მიუხე-დავად, სვიატოსლავმა ქრისტიანობა არ მიიღო, თუმცა, თავის მხრივ, გაქრისტიანებას არავის უშლიდა.

სვიატოსლავი ძალზე აქტიურად შეუდგა თავისი ძალაუ-ფლების განმტკიცებასა და მეზობელი ქვეყნების წინააღმდეგ ბრ-ძოლას. 965 წელს მან **ხაზართა ხაკანატი** დაამარცხა და დაიკავა ხაზართა ქალაქები **სარკელი** და **ბელაია ვეჟა**. 966 წელს მან ვი-ატიჩების სლავური ტომი დაიმორჩილა და ხარკი დააკისრა მათ.

967 წელს სვიატოსლავი დიდი ლაშქრით შეიჭრა **დუნაი-სპირეთში** და დაამარცხა **ბულგარები**. მემატიანის ცნობით, რუსთა ლაშქარმა 80 ქალაქი დაიკავა. ბიზანტიის იმპერატორმა სვიატოსლავს ხარკი გადაუხადა და ამით აიცილა ქვეყნის სიღ-რმეში რუსების შეჭრა. სვიატოსლავი დუნაისპირეთის ქალაქ **პერეიასლავეცში** დამკვიდრდა და აქედან აწყობდა ლაშქრობებს სხვადასხვა მიმართულებით.

968 წელს, როდესაც სვიატოსლავი დუნაისპირეთში იმყ-

ოფებოდა, კიევის რუსეთს პატანიკები შემოესივნენ. პატანიკები თურქული მოდგმის მომთაბარე ხალხი იყო. ისინი ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთში ცენტრალური აზიდან მოვიდნენ. ოლგა შვილიშვილებთან იაროპოლკთან, ოლეგთან და ვლადიმირთან ერთად კიევში ჩაიკეტა. პატანიკების ურიცხვმა ლაშქარმა კი-ევს ალყა შემოარტყა. ქალაქში გაუსაძლისი მდგომარეობა წარმოიშვა. ოლგამ ყოველივე მომხდარი სვიატოსლავს შეატყობინა, რომელიც დაუყოვნებლივ დაპრუნდა და პატანიკები განდევნა რუსეთის საზღვრებიდან. ამის შემდეგ სვიატოსლავი კვლავ დუნაისპირეთისაკენ გაემართა. ამჯერად დიდი ლაშქარი ბულგარებმა შეკრიბეს. გაიმართა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. სვიატოსლავმა ბულგარები დაამარცხა და ქალაქი პერეიასლავეცი კვლავ დაიკავა.

ბულგარების დამარცხების შემდეგ სვიატოსლავი ბიზანტიისაკენ დაიძრა. რუსებს სულ 10 ათასი მეომარი ჰყავდათ. ბიზანტიის იმპერატორმა იოანე ციმისხემ 30-ათასიანი ლაშქარი შეაგება რუსებს. 970 წელს რუსები თრაკიაში შეიჭრნენ. პირველ ბრძოლაში სვიატოსლავმა დაამარცხა ბიზანტიელთა ძალები და კონსტანტინოპოლისაკენ დაიძრა. ქალაქ ფილიპოპოლიში (პლოვდივში) სვიატოსლავმა 20 ათასი ტყვე დასაჯა სიკვდილით და ამით აიძულა ბულგარები მორჩილება გამოეცხადებინათ. ქალაქ ადრიანოპოლთან ბიზანტიელთა ლაშქარმა რუსები დაამარცხა. ბიზანტიამ ამ გამარჯვებით ვერ ისარგებლა, რადგან მცირე აზიაში ერთ-ერთმა სარდალმა იმპერატორის წინააღმდეგ აჯანყება დაიწყო. ბიზანტიის იმპერატორმა სვიატოსლავს დიდი ხარკი მისცა და ამ გზით მოახერხა მასთან ზავის დადება.

ზავი მალე დაირღვა. ბიზანტიის იმპერატორმა აჯანყებული სარდალი დაამარცხა, 971 წელს ბალკანეთის მთები გადალახა და ბულგარეთში მყოფ სვიატოსლავის ლაშქარს შეუტია. სვიატოსლავს ბულგარელებიც აუჯანყდნენ. ბიზანტიელებთან ბრძო-

ლაში სვიატოსლავის ვოევოდა სვენელდი დამარცხდა. რუსებსა და ბიზანტიილებს შორის დიდი ბრძოლა გაიმართა ქალაქ დოროსტოლთან. სვიატოსლავმა უკან დაიხია და თავისი ლაშქრით ქალაქში ჩაიკეტა. რამდენიმე დღის შემდეგ დიდმა მთავარმა თავისი შეთხელებული ლაშქარი ქალაქიდან გამოიყვანა და ბიზანტიილებს შეუტია. გაიმართა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. გამარჯვება კვლავ ბიზანტიილებს დარჩათ. რუსებმა დიდი ზარალი ნახეს და კვლავ ქალაქ დოროსტოლს შეაფარეს თავი. მეორე დღეს სვიატოსლავმა ბიზანტიის იმპერატორს ელჩები გაუგზავნა და დაზავება შესთავაზა. რუსების პირობები ასეთი იყო: რუსები დატოვებდნენ ქალაქ დოროსტოლს და, საერთოდ, მთელ ბულგარეთს, გაათავისუფლებდნენ ტყვეებს; სამშობლოში მიმავალ სვიატოსლავის ლაშქარს ბიზანტიილები თავს არ უნდა დასხმოდნენ; ბიზანტიილებს რუსებისათვის უნდა მიეცათ საკვები; ბიზანტიაში რუსი ვაჭრები უნდა მიელოთ ისეთივე პირობებით, რა პირობებსაც ითვალისწინებდა ადრე დადებული ხელშეკრულებები. ბიზანტიის იმპერატორმა სიხარულით მიიღო სვიატოსლავის წინადადება. 971 წელს ზავი დაიდო და რუსთა ლაშქარი სამშობლოში გაბრუნდა. 60 ათასი მეომრიდან, რომელიც სვიატოსლავმა დუნაისპირეთში სალაშქროდ წაიყვანა, მხოლოდ 22 ათასი გადარჩენილიყო.

972 წელს კიევისაკენ მომავალი სვიატოსლავის ლაშქარი მდინარე დნეპრის ჭორომებთან ჩასაფრებულ პაჭანიკებს წააწყდა. პაჭანიკებმა რუსები გაულიტეს. ბრძოლაში დაიღუპა თვით სვიატოსლავიც.

ამრიგად, კიევის რუსეთის დიდი მთავრების, ოლეგის, იგორისა და სვიატოსლავის, მისწრაფება კონსტანტინერპოლის დაპყრობისა და ბალკანეთში გაბატონებისაკენ მარცხით დასრულდა, ბიზანტიის იმპერიამ თავისი საზღვრების დაცვა შეძლო.

ლიტერატურა:

1. **Б. Д. Греков.** Киевская Русь. Москва, 1953.
2. **В. Т. Пашуто, Б. Н. Флоря, А. Л. Хорошкевич.** Древнерусское на-
селение и исторические судьбы восточного славянства. Москва, 1982.
3. **Б. А. Рыбаков.** Древняя Русь: Сказания. Былины. Летописи.
Москва, 1963.
4. **М. Н. Тихомиров.** Древняя Русь. Москва, 1972.
5. **Д. В. Черепнин.** Образование русского централизованного
государства XIV-XV вв. Москва, 1960.

**ლექცია 2. მოსკოვის რუსეთის მეფის ივანე IV მრისხანის
(1533-1584) გეოსტრატეგიული პორექტები და ბრძოლა მათი
განხორციელებისათვის**

მოსკოვის რუსეთის წარმოქმნისა და გაძლიერების პარა-
ლელურად სულ უფრო სუსტდებოდა ბიზანტიის იმპერია. 1453
წელს ოსმალეთმა ბიზანტიის იმპერიის დედაქალაქი კონსტანტი-
ნოპოლი აიღო და ამით ბიზანტიის იმპერიამ არსებობა შეწყვიტა.
ბიზანტიის იმპერიის – „**მეორე რომის**“ – დაცემა თავისი გეო-
სტრატეგიული მიზნებისათვის გამოიყენეს მოსკოვის რუსეთის
დიდმა მთავრებმა.

1. „მესამე რომის“ დოქტრინა. მონღოლების მიერ კიევის რუ-
სეთის დაპყრობის (XIII საუკუნის 30-იანი წლების მეორე ნახევარი
– 40-იანი წლების დამდეგი) შემდეგ, რუსული სახელმწიფოს ქა-
ლაქ კიევის გარშემო აღდგენა და აღორძინება ველარ მოხერხდა.
XIII-XIV საუკუნეებში დანინაურდა კიევის რუსეთის ჩრდილო-აღ-
მოსავლეთი ნაწილი, სადაც მდებარეობდა ქალაქები: ვლადიმირი,
სუზდალი, როსტოვი, მოსკოვი და სხვ. აქ აღმოცენებულ სახელმ-

წითოს **მოსკოვის რუსეთი** ეწოდა. მოსკოვის რუსეთს ჯერ დიდი მთავრები, შემდეგ კი მეფეები განაგებდნენ.

კონსტანტინოპოლის დაცემიდან (1453 წ.) მალე, 1480 წელს, მოსკოვის რუსეთმა დიდი მთავრის, **იოან III-ის** (1462-1505) დროს მონღოლთა ბატონობისაგან თავი გაითავისუფლა, რამაც კიდევ უფრო დააჩქარა სახელმწიფოებრივი ცხოვრების აღმავლობა. იოან III-ის შემდეგ დიდი მთავარი გახდა ვასილი III (1505-1533). ვასილი III-ის დროს რუსეთში ჩამოყალიბდა თეოლოგიური და პოლიტიკური კონცეფცია (დოქტრინა): „**მოსკოვი – მესამე რომი**“ (იგულისხმებოდა, რომ პირველი რომი იყო მარადიული ქალაქი, რომის იმპერიის დედაქალაქი, მეორე – აღმოსავლეთ რომის იმპერიის (ბიზანტიის იმპერიის) დედაქალაქი კონსტანტინოპოლი).

1523-1524 წლების მიჯნაზე ფსკოვის ერთ-ერთი მონასტრის იღუმენმა **ფილოფეიმ** ორი წერილი დაწერა. პირველი, რომელიც წელთაღრიცხვისა და ასტროლოგიის საკითხებს ეხებოდა, დიაკ მიხაილ მუნეხინისათვის იყო განკუთვნილი, მეორე, რომელიც ეკლესიური ცხოვრებისა და ზნეობის საკითხებს ეძღვნებოდა, იღუმენმა ფილოფეიმ მოსკოვის რუსეთის დიდი მთავრის, ვასილი III-თვის მისართმევად დაწერა. იღუმენმა ფილოფეიმ მოსკოვის დიდი მთავარი ვასილი III ბიზანტიის იმპერატორ **კონსტანტინე დიდს** (306-337) გაუტოლა. შემდეგ იღუმენი ფილოფეი მესამე რომის დოქტრინას ვასილი III-თვის განკუთვნილ კიდევ ორ წერილში შეეხო.

არსებობს მოსაზრება, რომ იღუმენ ფილოფეიმდე დოქტრინა „**მოსკოვი – მესამე რომი**“ გაცილებით ადრე, 1492 წელს, ჩამოაყალიბა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის მიტროპოლიტმა **ზოსიმამ** (1490-1494). მოტროპოლიტ ზოსიმას დოქტრინას მხოლოდ რელიგიური დატვირთვა ჰქონდა. ოცი წლის შემდეგ იღუმენმა ფილოფეიმ „**მესამე რომის**“ დოქტრინას პოლიტიკური შინაარსი

შესძინა და საზოგადოების, პირველ რიგში, დიდი მთავრისა და არისტოკრატიის, სულიერ მისწრაფებებთან მოიყვანა თანხვე-დრაში. ამის შემდეგ დოქტრინა „მოსკოვი – მესამე რომი“ როგორც საერო, ისე საეკლესიო ცხოვრებაში ძალზე პოპულარული გახდა.

დოქტრინა „მოსკოვი – მესამე რომი“ სავსებით შეესაბამებოდა მოსკოვის რუსეთის დიდი მთავრისა და მეფის, ივანე IV მრისხანის, პოლიტიკურ მიზნებს. მეფის გეოსტრატეგიული პროექტებიც სწორედ ამის გამოხატულება იყო.

2. ლაშქრობები სამხრეთისა და აღმოსავლეთის მიმართულებით (ვოლგისპირეთისა და დასავლეთ ციმბირის დაპყრობა). ივანე მრისხანე მიიჩნევდა, რომ მოსკოვის რუსეთის სასიცოცხლო ინტერესები მდინარე ვოლგის შუა და ქვემონელის დაუფლებას მოითხოვდა. ამ ტერიტორიაზე მდებარეობდა „ოქროს ურდოს“ დაშლის შემდეგ აღმოცენებული ორი მონილოლური სახანო, **ყაზანისა** (ცენტრი ქალაქი ყაზანი) და **ასტრახანის** (ცენტრი ქალაქი ასტრახანი) სახანოები. ჯერ კიდევ 1547 წელს ახალგაზრდა ივანე მრისხანემ **ყაზანის სახანოს** დაპყრობა სცადა, მაგრამ უშედეგოდ. 1549-1550 წლებში ყაზანის სახანოს წინააღმდეგ მოწყობილი მეორე ლაშქრობაც ამაო გამოდგა. 1552 წელს ივანე მრისხანემ ყაზანის სახანოს წინააღმდეგ მესამე ლაშქრობა დაიწყო. რუსეთის ჯარი ჯერ კიდევ მდინარე ოკას ნაპირას იმყოფებოდა, როდესაც ყირიმის ხანი ქალაქ **ტულასთან** გამოჩნდა ძლიერი ლაშქრით. ყირიმის ხანი რუსეთის ჯართან ბრძოლაში არჩაბმულა, ძარცვით დაკმაყოფილდა და უკანვე გაბრუნდა. ივანე მრისხანე კი 150-ათასიანი ლაშქრითა და 150 ზარბაზნით ქალაქ **ყაზანს** მიადგა, რომელსაც 30 ათასი კაცი იცავდა. ხანგრძლივი ალყისა და დიდი, სისხლისმღვრელი ბრძოლების შემდეგ, 1552 წელს, რუსებმა ყაზანი აიღეს. ყაზანის სახანო გაუქმდა. 1556 წელს ივანე მრისხანემ ქალაქი ასტრახანიც აიღო და **ასტრახა-**

ნის სახანო გააუქმა. 1557 წელს რუსებმა დაიპყრეს ჩუვაშეთი და ბაშკირეთის დიდი ნაწილი. ყაზანისა და ასტრახანის სახანოთა დაპყრობით უზარმაზარი ტერიტორია – ვოლგისპირეთიდან კასპიის ზღვის სანაპირომდე – რუსეთის შემადგენლობაში შევიდა. ყაზანისა და ასტრახანის სახანოთა დაუფლების შემდეგ ივანე მრისხანეს განზრახული ჰქონდა ყირიმის სახანოს დაპყრობა, მაგრამ ლივონიის ომმა ამის საშუალება არ მისცა.

ივანე მრისხანე რუსეთის სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესთა სფეროს მიაკუთვნებდა დასავლეთ ციმბირის დაპყრობას, სადაც მონღოლური „ციმბირის სახანო“ მდებარეობდა. ციმბირის სახანოს დაპყრობა დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული, ამიტომ ივანე მრისხანემ სხვა გზას მიმართა. მან ვაჭარ სტროგანოვებს წინასწარ უბოძა მდინარე ტობოლის სანაპიროები იმ პირობით, თუ ისინი ჯარს დაიქირავებდნენ და ამ ტერიტორიას დაიპყრობდნენ. სტროგანოვებმა კაზაკთა 840-კაციანი რაზმი დაიქირავეს და 1581 წელს ერმაკ ციმოთხეს ძის სარდლობით ციმბირის ხანის წინააღმდეგ გაგზავნეს. 1582 წელს ერმაკმა ციმბირის ხანი კუჩუმი დაამარცხა და სახანოს დედაქალაქი კაშლიკი (ისკერი) დაიკავა. მალე ციმბირის ხანმა ერმაკის რაზმი დაამარცხა, თვით ერმაკი დაიღუპა. ციმბირის სახანოს დაპყრობა იმსანად არ მოხერხდა. საბოლოოდ რუსეთმა ციმბირი 1598 წელს შემოიერთა.

აუცილებელი გახდა ყირიმის ხანის შემოსევებისაგან რუსეთის სამხრეთის დაცვა. ამ მიზნით, ივანე მრისხანეს დროს დაიწყო ტულის გამაგრებული ხაზის შექმნა. მოგვიანებით აიგო ბელგორდის გამაგრებული ხაზიც.

3. ბრძოლა ბალტიისპირეთის დაპყრობისათვის (ლივონიის ომი). ივანე მრისხანემ განჭვრიტა, რომ რუსეთის სახელმწიფოს მომავლისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბალტიის ზღვის სანაპიროების დაპყრობას. ცხადი იყო, რომ ბალტიის ზღვაზე

რუსეთის გასვლას წინ აღუდგებოდა ლიტვის დიდი სამთავრო და პოლონეთის სამეფო, ასევე ლივონიის ორდენი. ბალტისპირეთის დაპყრობისათვის ივანე მრისხანემ დიდი ომი აწარმოა, რომელიც 1558-1583 წლებში მიმდინარეობდა და ლივონიის ომის სახელწოდებით არის ცნობილი.

რუსეთს ლივონიის ორდენთან 50-წლიანი ზავი ჰქონდა დადებული, რომლის ვადა 1553 წელს იწურებოდა. ზავის პირობები ითვალისწინებდა ქალაქ დერპტიდან (იურიევიდან) რუსეთის სასარგებლოდ ხარკის აღებას. სანამ ვასილი III-სა და ივანე IV-ის მცირენლოვნები იყვნენ, ლივონიის ორდენი ხარკს არ იხდიდა. 1554 წელს ორდენის ელჩები მოსკოვში ჩავიდნენ და ზავის გაგრძელება ითხოვეს. ელჩებს გადაუხდელი ხარკის შესახებ შეახსენეს და მათაც პირობა დადეს, რომ დარჩენილ ხარკს სამი წლის განმავლობაში გადაიხდიდნენ. ლივონიის ორდენმა პირობა ისევ დაარღვია და 1557 წლისათვის ხარკი არ გადაიხადა. ამას დაემატა ისიც, რომ ლივონიელმა რაინდებმა დააკავეს რუსეთში მიმავალი 123 ევროპელი სპეციალისტი. 1558 წელს რუსეთმა ლივონიის ორდენის წინააღმდეგ ომი დაიწყო.

რუსეთის ჯარმა ომის დასაწყისში დიდ წარმატებას მიაღწია. 1558 წელს აიღეს **ნარვა**, **ნეიპაუზი**, **დერპტი** (იურიევი). რუსეთის ჯარები რიგასა და **რეველს** (ტარტუს) უახლოვდებოდნენ. 1560 წელს ლივონიის ორდენის ჯარი განადგურდა, ორდენის მაგისტრი ფიურსტენბერგი ტყვედ ჩავარდა. 1561 წლისათვის ლივონიის ორდენი ფაქტობრივად დაიშალა, მისი ტერიტორია **პოლონეთმა**, დანიამ და **შვეციამ** გადაინაწილეს. 1561 წელს ლივონიის ორდენის ახალი მაგისტრი **კეტლერი** პოლონეთის მეფის, **სიგიზმუნდ ავგუსტის**, ვასალი გახდა და კურლანდიის ჰერცოგობა მიიღო. 1561 წელს ქალაქი **რეველი** (ტარტუ) შვეციის მეფის ქვეშევრდომი გახდა. პოლონეთის მეფე **სიგიზმუნდ ავგუსტმა** ივანე მრისხანეს მოსთხოვა ლივონიის ტერიტორიიდან ჯარების გაყ-

ვანა. რუსეთმა ომის გაგრძელება ამჯობინა.

1560 წელს უკვე ცხადი გახდა, რომ რუსეთს, ლიკონიის ორდენის გარდა, ომის წარმოება მოუხდებოდა **დანიასთან**, პოლონეთსა და **შვეციასთან**. უახლოესი მრჩეველი მღვდელი სილვესტრი ივანე მრისხანეს ურჩევდა, ლიკონიასთან ომი შეწყვიტა და სამაგიეროდ **ყირიმის სახანო** დაეპყრო. მეფემ სილვესტრის აზრს ანგარიში არ გაუწია. არც სილვესტრი იხევდა უკან – იგი ლიკონიასთან ომის სასტიკი წინააღმდეგი იყო. **ალექსი ადაშევიც** სილვესტრს უჭერდა მხარს. ლიკონიასთან ომის გაგრძელებისა თუ შეწყვეტის საკითხი გახდა სამეფო კარიდან სილვესტრისა და ალექსი ადაშევის გაძევებისა და, საერთოდ, „რჩეულთა რადას“ ლიკვიდაციის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი. „რჩეულთა რადას“ ლიკვიდაციის შემდეგ ივანე მრისხანემ ომი ახალი ძალით გააგრძელა.

1563 წელს ივანე მრისხანე დიდი ჯარით ლიტვის წინააღმდეგ დაიძრა. ლაშერობის მიზანი ქალაქ პოლოცკის გათავისუფლება იყო. 1563 წელს რუსთა ჯარმა პოლოცკი აიღო. ეს იყო რუსთა ჯარის ბოლო მნიშვნელოვანი წარმატება. მომდევნო წლებში ომი გაჭიანურდა.

1564 წელს ლიკონიის ორდენის ტერიტორიაზე მყოფი რუსეთის ჯარების სარდალმა, „რჩეულთა რადას“ ერთ-ერთმა გამოჩენილმა წევრმა თავადმა **ანდრეი კურპაკიმ** ივანე მრისხანეს უდალატა და პოლონეთის მეფე **სიგიზმუნდ ავგუსტის** მხარეზე გადავიდა. ამ ფაქტმაც იმოქმედა რუსეთის ჯარების ბრძოლისუნარიანობაზე.

1569 წელს პოლონეთის სამეფო და ლიტვის დიდი სამთავრო **ლიუბლინის უნიის** ძალით ერთ სახელმწიფოდ – უერთისპირად – გაერთიანდა. უერთისპირად და შვეციამ ერთობლივი საბრძოლო მოქმედებები დაიწყეს რუსეთის წინააღმდეგ. 1577 წელს რუსებმა დატოვეს ქალაქი **ნარვა**. 1579 წელს პოლონეთის

მეფემ, სტეპან ბატორიმა, ქალაქი პოლოცკი აიღო, ხოლო 1580 წელს – ველიკიე ლუკი. შვედებმა ხელთ იგდეს კარელია და იუორ-სკის მხარე. 1581 წელს პოლონეთის მეფე სტეპან ბატორი დიდი ჯარით მიადგა ქალაქ ფსკოვს. ფსკოვის დამცველებმა დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს მტერს. სამაგიეროდ, შვედებმა დაიკავეს ქალაქები ნარვა, იამი და კოპორიე.

ფსკოვის დამცველთა გმირულმა ბრძოლამ ივანე მრისხანეს საშუალება მისცა, 1582 წელს უეჩ პოსპოლიტასთან ათი წლის ვადით ზავი დაედო. 1583 წელს ზავი დაიდო შვეციასთანაც.

ლივონიის ომი რუსეთის დამარცხებით დამთავრდა. ლივონიის ტერიტორია რუსეთმა უეჩ პოსპოლიტას დაუთმო, სამაგიეროდ, დაიბრუნა პოლონეთის ჯარების მიერ დაკავებული ქალაქები, გარდა პოლოცკისა. შვეციას დარჩა ბალტიის ზღვის სანაპირო ქალაქები: კარელა, იამი, ნარვა და კოპორიე.

ამრიგად, ივანე IV მრისხანემ უმნიშვნელოვანესი გეოსტრატეგიული პროექტი – ბალტიისპირეთის დაპყრობა – ვერ განახორციელა, თუმცა რუსეთის სახელმწიფოს ამ პროექტზე უარი არ უთქვამს და XVIII საუკუნის დამდეგს კიდეც შეასხა ხორცი.

ლიტერატურა:

1. **В. А. Кучкин.** В формировании государственной территории Северо-Восточной Руси в X-XIX вв. Москва, 1984.
2. **Я. С. Лурье.** Две истории Руси XV века. Санкт-Петербург, 1994.
3. **В. Б. Кобрин.** Иван Грозный. Москва, 1989.
4. **А. М. Сахаров.** Образование и развитие Российского государства XIV-XVII вв. Москва, 1969.

ლექცია 3. რუსეთის მეფისა და იმპერატორის პიოტრ I-ის (1682-1725) გეოსტრატეგიული პროექტები და ბრძოლა მათი განხორციელებისათვის

პიოტრ I-ის მეფობის წლებში რამდენიმე გეოსტრატეგიული პროექტის განხორციელებისათვის მიმდინარეობდა ბრძოლა. პიოტრ I მიიჩნევდა, რომ მათ ხორცშესხმას რუსეთის სახელმწიფო სათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა როგორც სამხედრო-პოლიტიკური, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით. პიოტრ I-ის აზრით, რუსეთის სახელმწიფოს წინსვლა სასიცოცხლოდ იყო და-კავშირებული ზღვაზე გასასვლელის მოპოვებასთან, რაც უცხო სახელმწიფოებთან ვაჭრობის დაწყებისა და ქვეყნის ეკონომი-კური წინსვლის წინაპირობა იყო. რუსეთს შეეძლო ევროპასთან ვაჭრობისათვის გამოეყენებინა თეთრი ზღვა და მის სანაპიროზე მდებარე არხანგელსკის პორტი. მართალია, თეთრი ზღვის სანა-პირობს რუსეთი ფლობდა, მაგრამ ზღვის სანაოსნოდ გამოყ-ენება ჩრდილოეთის მკაცრი კლიმატის გამო წელიწადში მხოლოდ რამდენიმე თვე შეიძლებოდა. ვაჭრობისათვის უფრო მოხერხე-ბული იყო შავი ზღვა. XVII საუკუნის მიწურულისათვის შავი და აზოვის ზღვების სანაპირო, უფრო ზუსტად, ტერიტორია მდინარე ყუბანის ზღვაში ჩადინების ადგილიდან მდინარე დუნაის ზღვაში ჩადინების ადგილამდე, ოსმალეთს ეპყრა. ყირიმის ხანი ოსმალე-თის სულთნის ვასალი იყო და, ამდენად, რეგიონიდან ოსმალე-თის განდევნის გარეშე შავი ზღვის ვაჭრობისათვის გამოყენება შეუძლებელი იქნებოდა. პიოტრ I-მა გადაწყვიტა, პირველ რიგში, მდინარე დონის აზოვის ზღვაში ჩადინების ადგილას მდებარე აზოვის სტრატეგიულ სიმაგრეს დაუფლებოდა.

1. აზოვისპირეთის დაპყრობა. ზღვაზე გასასვლელის მოპ-ოვების აუცილებლობაზე აქამდეც ფიქრობდნენ რუსეთის სხვა მეფეები. პიოტრ I-მა ეს საკითხი სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-

ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებად აქცია.

XVII საუკუნის 90-იანი წლების დამდეგიდან პიოტრ I აქტიურ სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას შეუდგა. ამავე პერიოდში მან გაიცნო **ანა მონსი**, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში მეფის ფავორიტი იყო. პიოტრ I-ს მეუღლის, ევდოკია ლოპუხინას, მიმართ არანაირი გრძნობა არ გააჩნდა, მან ევდოკიაზე მხოლოდ დედის დაჟინებული თხოვნით იქორნინა. ამიტომაც იყო, რომ ანა მონსმა მეფის პირად ცხოვრებაში დიდი ადგილი დაიკავა. 1702 წელს შემთხვევით გახდა ცნობილი, რომ ანა მონსს რომანი პეტრი საქსონიის ელჩთან. განრისხებულმა პიოტრ I-მა ყოფილი საყვარელი სამი წლით ციხეში ჩასვა.

1693 წელს პიოტრ I არხანგელსკში გაემგზავრა. არხანგელსკი იმზანად რუსეთის უზარმაზარი სახელმწიფოს ერთადერთი ნავსადგური იყო, რომლის საშუალებითაც იგი ევროპის ქვეყნებთან ვაჭრობდა. მეფემ აქ გულდასმით დაათვალიერა სხვადასხვა ქვეყნის სავაჭრო ფლოტი, გაეცნო გემების კონსტრუქციას. ერთ-ერთი გემით პიოტრ I-მა თეთრ ზღვაზეც იმოგზაურა და მოსკოვში დაბრუნდა. რაკი არხანგელსკის ნავსადგურის გამოყენება ჩრდილოეთის კლიმატის (ყინვების) გამო მთელი წლის განმავლობაში შეუძლებელი იყო, პიოტრ I-მა ყურადღება **შავ ზღვაზე** გადაიტანა. შავ ზღვამდე მიღწევა რუსეთის სავაჭრო და სამხედრო ფლოტს მდინარეებით დანეპრითა და დონით შეეძლო. რუსეთის ფლოტის მიერ დანეპრის გამოყენებას ყირიმის ხანი არ დაუშვებდა. ამიტომაც პეტრე I-მა გადაწყვიტა, **აზოვის** სიმაგრე ეგდო ხელთ და მდინარე დონით ჯერ აზოვის ზღვაში, შემდეგ კი **შავ ზღვაში** შესვლა შესძლებოდა. 1695 წელს პეტრე I-მა აზოვზე ლაშქრობა გამოაცხადა. რუსთა 31-ათასიან არმიას შვედი გენერალი ფრანც ლეფორტი, რუსი გენერალი ფილიპ გოლოვინი და შოტლანდიელი გენერალი პატრიკ გორდონი სარდლობდნენ. აზოვი ძლიერ სიმაგრეს წარმოადგენდა. საარტილერიო ცეცხ-

ლით აზოვის დაბომბვას პირადად პიოტრ I ხელმძღვანელობდა. ორთვიანი ალყის მიუხედავად, რუსებმა აზოვი ვერ აიღეს.

პიოტრ I-მა კარგად დაინახა, რომ აზოვს ძლიერი ფლოტის გარეშე ვერ აიღებდა. მეფემ გადაწყვიტა, მდინარე დონზე სამხედრო ფლოტი აეგო. 1695-1696 წლების ზამთარში ქალაქ ვორონეჟთან, მდინარე დონზე, იგი პირადად ხელმძღვანელობდა სამხედრო ფლოტის მშენებლობას. 1696 წლის ზაფხულისათვის უკვე მზად იყო 2 ხომალდი და 23 გალერი, ასევე უამრავი ბარჟა და პატარა გემი.

1696 წელს რუსეთის 40-ათასიანი არმია სამხედრო ფლოტის თანხლებით **აზოვისაკენ** დაიძრა. ამჯერად აზოვი როგორც ხმელეთის, ისე ზღვის მხრიდან ალყაში მოაქციეს. რუსეთის ფლოტმა ოსმალეთის სამხედრო გემები აზოვის გარნიზონის დასახმარებლად არ მიუშვა. რუსებმა აზოვი აიღეს. ზღვისპირეთში პოზიციების განმტკიცების მიზნით აზოვის ზღვის ნაპირას ააგეს **ტაგანროგის** სიმაგრე. 1700 წლის რუსეთ-ოსმალეთის სტამბოლის ზავით, ოსმალეთის სულთანმა ცნო აზოვისპირეთში რუსეთის დამკვიდრება. მიუხედავად დიდი გამარჯვებისა, აზოვისპირეთის დაპყრობა შავ ზღვაზე გასასვლელის დაუფლებას არ ნიშნავდა. ამდენად, პიოტრ I-ის გეოსტრატეგიული პროექტი, რომელიც შავ ზღვაზე გასასვლელის მოპოვებას ითვალისწინებდა, განუხორციელებელი დარჩა.

2. ბალტისპირეთის დაპყრობა. ევროპაში რუსეთის ელჩობამ გამოარკვია, რომ ძალთა განლაგება საერთაშორისო ასპარეზზე რუსეთის სასარგებლოდ არ იყო. ევროპაში ანტიოსმალური კოალიციის შექმნა უპერსპექტივო ჩანდა. აქედან გამომდინარე, შავი ზღვის სანაპიროს ხელში ჩაგდებას რუსეთი ვერ მოახერხებდა. სამაგიეროდ, შვეციის წინააღმდეგ რუსეთს შეეძლო ევროპაში რეალური მოკავშირეები ეპოვა, რაც ბალტიის ზღვის სანაპიროე-

ბის დაუფლებას გაუადვილებდა. რუსეთის ომი ბალტიისპირეთის დაპყრობისათვის 1700 წლიდან 1721 წლამდე გრძელდებოდა და ისტორიაში „ჩრდილოეთის ომის“ სახელწოდებით შევიდა. 1699 წელს მოსკოვში ჩავიდა უეჩ პოსპოლიტას მეფის **ავგუსტ II-ის** ელჩი და უეჩ პოსპოლიტასა და დანიის სახელით რუსეთის მეფეს შვედეთის წინააღმდეგ ომის დაწყება შესთავაზა. 1699 წელს **რუსეთ-უეჩ პოსპოლიტა-დანიის ხელშეკრულება** დაიდო.

მოუხედავად ამისა, პიოტრ I შვედეთის წინააღმდეგ უკვე დაწყებულ ომში ჩაბმას არ ჩქარობდა, რადგან რუსეთ-თურქეთის მოლაპარაკების შედეგს ელოდა. 1700 წლის 18 აგვისტოს მოსკოვში მოვიდა ცნობა თურქეთთან 30-წლიანი ზავის დადების შესახებ. მეორე დღესვე, 1700 წლის 19 აგვისტოს, პიოტრ I-მა შვედეთის ომი გამოუცხადა. 22 აგვისტოს რუსეთის ჯარებმა **ნარვის** მიმართულებით დაიწყეს შეტევა და უკვე 23 სექტემბერს ალყა შემოარტყეს ქალაქს. რუსეთის ჯარი 35 ათასამდე კაცს ითვლიდა. პიოტრ I-მა სარდლობა თავიდან ფელდშარშალ **ფიორდორ გოლოვინს** ჩააბარა, მაგრამ შემდგომში, უეჩ პოსპოლიტას მეფის, ავგუსტ II-ის, რეკომენდაციით, იგი რუსეთის სამსახურში მიღებულმა **ფონ კრუიმ** შეცვალა. თავად პიოტრ I კაპიტან პიოტრ მიხაილოვის სახელით პრეობრაუნისკის პოლქს ახლდა. 20 ოქტომბერს რუსებმა ყველა ზარბაზნიდან ერთბაშად დაიწყეს ნარვის დაბომბვა. რუსეთის ხელმწიფე იმედოვნებდა, რომ ნარვა დიდხანს ვერ გაუძლებდა ალყას.

შვეციის მეფე **კარლოს XII-მ** სწორად შეაფასა მდგომარეობა. მან ინგლისისა და პოლანდის სამხედრო ფლოტის დახმარებით ძლიერად დაბომბა **კოპენჰაგენი** და ამით დანია აიძულა, ომიდან გამოთიშულიყო. დანიის მარცხი რუსეთისათვის დიდი დანაკარგი იყო, რადგან არც უეჩ პოსპოლიტასა და არც რუსეთს ბალტიის ზღვაზე სამხედრო ფლოტი არ გააჩნდათ და, ამდენად, შვეცია დიდ უპირატესობას მიიღებდა. ასეც მოხდა. ნარვის ალყა

სულ რამდენიმე დღის დაწყებული იყო, როცა პიოტრ I-მა მი-იღო ცნობა, რომ შვეციის მეფე კარლოს XII-მ პერნაუსთან დიდი ჯარი ხმელეთზე გადმოსხა. რუსებს ნარვასთან იმდენი ჯარი არ ჰყავდათ, რომ კარლოს XII-ს ძლიერი არმიისათვის სათანადო წინააღმდეგობა გაეწიათ. უკან დახევაც შეუძლებელი იყო, რადგან შვედები რუსებს დაედევნებოდნენ და ბრძოლა მაინც გარდაუვალი გახდებოდა. რუსეთის სარდლობამ ნარვასთან ალყაზე მდგარი ჯარი კარლოს XII-ს წინააღმდეგ საბრძოლველად მოამზადა და თან ნარვის დაბომბვაც გააგრძელა. მალე რუსებს ყუმბარები და თოფის წამალი გაუთავდათ და შეტევა შეწყვიტეს. 17 ნოემბერს კარლოს XII-ის წინააღმდეგ ბოიარ ბორის შერემეტივის სარდლობით გაგზავნილმა რუსთა ჯარის ნაწილებმა ნარვის მიმართულებით დაიხიეს. იმავე ღამეს პიოტრ I-მა ფელდმარშალ ფიოდორ გოლოვინთან ერთად სასწრაფოდ დატოვა ნარვასთან დაბანაკებული რუსთა ჯარი და ნოვგოროდში გაემგზავრა.

1700 წლის ნოემბერში ნარვასთან კარლოს XII-მ სასტიკად დაამარცხა რუსეთის ჯარები. შვედებმა ხელთ იგდეს რუსების მთელი არტილერია და ჯარის აღალი. მათ სერიოზული წინააღმდეგობა მხოლოდ სემიონოვსკისა და პრეოპრაუენსკის პოლკებმა გაუწიეს. ნარვასთან ბრძოლაში მრავალ რუსთან ერთად ტყვედ ჩავარდა ბიოტრ I-ის უახლოესი მეგობარი და თანამოაზრე ალექსანდრე არჩილის ძე ბაგრატიონი. მეფემ დიდი თანხა გაიღო ალექსანდრე ბაგრატიონის გამოსასყიდად. მართალია, მოგვიანებით ალექსანდრე ბაგრატიონი შვედებმა ტყეობიდან გაათავისუფლეს, მაგრამ იგი გზაში გარდაიცვალა.

ნარვასთა რუსთა ჯარის განადგურების შემდეგ პიოტრ I შვეციის არმიის რუსეთის სილრმეში შეჭრას ელოდა. ამიტომ მან სასწრაფოდ დაიწყო ნოვგოროდისა და სმოლენსკის, ასევე პეჩორის მონასტრის მიმართულებით სიმაგრეების აგება. ამჯერად შვეციის მეფე კარლოს XII-მ საბედისნერო შეცდომა დაუშვა. მან

ჩათვალა, რომ რუსეთის არმია მწყობრიდან იყო გამოსული და სერიოზულ ძალას აღარ წარმოადგენდა და გადაწყვიტა, დანიისა და რუსეთის შემდეგ პოლონეთისათვის შეეტია. პოლონეთთან ომი გაჭიანურდა. ეს დრო პიოტრ I-მა რუსეთის ბრძოლისუნარიანი არმიის შექმნისა და მისი ხელახალი შეიარაღებისათვის გამოიყენა.

წარვასთან მარცხის შემდეგ პეტრე I-მა თავად ბორის გოლიცინს დაავალა ახალი პოლკის შეკრება, ხოლო დიაკ ანდრეი ვინიუსს – ახალი არტილერიის შექმნა. მეფის ბრძანებით, ეკლესიებისა და მონასტრების სამრეკლოებიდან ზარებს ხსნიდნენ და საზარბაზნე ლითონს ადნობდნენ. 1701 წლის ნოემბერში უკვე მზად იყო 300 ახალი ზარბაზანი.

ნოვგოროდიდან დაბრუნებულმა პიოტრ I-მა რუსეთის არმიის სამი ძლიერი კორპუსი მზადყოფნაში მოიყვანა. 1702 წელს 19 პოლკი რუსეთის მოკავშირის, საქსონის კურსფიურსტის (მთავრის) ჯარებთან შესაერთებლად გაემართა. ბორის შერემეტიევისა და პიოტრ აპრაქსინის კორპუსები კი ბალტიისპირეთში შეიჭრნენ და შვედების მცირერიცხოვან რაზმებს რამდენიმე დამარცხება აგემეს. თავად პიოტრ I-მა 1702 წელს მდინარე ნევის სათავეში მდებარე ქალაქ ორეშოკს (ნოტებურგს) შეუტია და მძიმე ბრძოლების შემდეგ იგი აიღო. ამ გამარჯვებას ომის მსვლელობისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ქალაქ ორეშოკს პიოტრ I-მა სახელი შეუცვალა და შლისელბურგი (ქალაქი-გასაღები) უწოდა.

1703 წელს რუსეთის ჯარები ბორის შერემეტიევის სარდლობით ქალაქ შლისელბურგიდან მდინარე ნევის მარჯვენა ნაპირს დაჰყვნენ. ლაშქრობაში პიოტრ I-ც მონაწილეობდა. მალე რუსებმა პატარა დასახლებას – ნიენშანცს – მიაღწიეს. ნიენშანცი ნევის შესართავში მდებარეობდა და ზღვიდან მდინარეში შემოსასვლელს კეტავდა. მცირე ბრძოლის შემდეგ რუსებმა ქალაქი დაი-

კავეს. მალე მდინარე ნევის შესართავს შვედების ორი სამხედრო გემი მიუახლოვდა და ნიერშანციდან მოშორებით ღუზა ჩაუშვა. პიოტრ I და ბორის შერემეტიევი ორი პოლკით პატარა ნავებზე გადასხდნენ, შვედების გემებს ფარულად მიუახლოვდნენ და ხელჩართულ ბრძოლაში თითქმის ყველა შვედი ამოხოცეს.

1703 წლის 16 მაისს მდინარე ნევის შესართავში მდებარე კუნძულზე, რომელსაც იანი-სარი ეწოდებოდა, საფუძველი ჩაეყარა ქალაქ სანკტ-პეტერბურგს. ქალაქის პირველი შენობა იყო ხისგან ნაგები ციხესიმაგრე ექვსი ბასტიონით. ციხესიმაგრეში ხისგანვე ააგეს პეტრე-პავლეს სახელობის ეკლესია, ხოლო მის მახლობლად – პიოტრ I-ის სახლი.

1703 წელს რუსეთის ჯარებმა ბორის შერემეტიევის სარდლობით დაიკავეს იამბურგი და კოპორიი. შვეციის მეფე კარლოს XII-მ სანკტ-პეტერბურგის ასაღებად 12-ათასიანი ჯარი გაგზავნა. პიოტრ I-მა შვედები დაამარცხა და ვიბორგამდე დაახევინა უკან. ამ გამარჯვების შემდეგ მეფემ სანკტ-პეტერბურგიდან 30 ვერსის მოშორებით, ფინეთის ყურეში მდებარე კუნძულ კოტლინზე, ციხესიმაგრისა და ნავსადგურისა აშენება გადაწყვიტა. ასე ჩაეყარა 1703 წელს საფუძველი კრონშტადტის ციხესიმაგრეს.

1704 წელს პიოტრ I-მა კრონშტადტის ციხესიმაგრეში არტილერია გადაატანინა, რის შემდეგაც დერბატა და ნარვაზე შეტევა დაიწყო. ქალაქი დერპტი დიდი ბრძოლების შემდეგ მეფის უშუალო სარდლობით აიღეს. შვედებმა გააფთრებული წინააღმდეგობა გაუნიეს ნარვაზე მოიერიშე რუსებს. ნარვასთან ბრძოლებსაც უშუალოდ პეტრე I ხელმძღვანელობდა. შვედებმა ნარვის შენარჩუნება ვერ შეძლეს. დერბატისა (ტარტუს) და ნარვის დაკავება უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო ჩრდილოეთის ომის მსვლელობაში.

პიოტრ I-ის დიდ წარმატებებს ბალტიისპირეთში ჩრდილს ფენდა რუსეთის მოკავშირის, ჟერ პოსპოლიტას, არმიის დამარ-

ცხება შვეციის მეფე კარლოს XII-ის მიერ. 1704 წელს კარლოს XII-მ უეჩ პოსპოლიტას მეფე ავგუსტ II აიძულა ტახტიდან გადამდგარიყო. ძალაუფლება შვეციის მეფისათვის სასურველ სტანისლავ ლეშჩინსკის ხელში გადავიდა. 1706 წელს ავგუსტ II-მ საქსონიის გვირგვინიც დაკარგა. რუსეთი მოკავშირის გარეშე დარჩა. ამით ისარგებლა კარლოს XII-მ და მოსკოვზე ლაშქრობა დაიწყო. შვედებმა 1708 წელს დაიკავეს ქალაქები მინსკი და მოგილიოვი. მოგილიოვში კარლოს XII-მ თავისი არმია შეაჩერა, რადგან ქალაქ სმოლენსკის გავლით მოსკოვზე შეტევა გადაიფიქრა. მოგილიოვიდან შვეციის არმია სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით, უკრაინისაკენ გაემართა. კარლოს XII-ს უკრაინის ჰეგმანი ივან მაზეპა დაპირდა, რომ უკრაინას რუსეთის წინააღმდეგ ააჯანყებდა. გარდა ამისა, შვეციის მეფეს სურდა, უკრაინაში დალოდებოდა ბალტიისპირეთიდან (ლიფლანდიდან) მის დასახმარებლად შვედთა 16-ათასიანი კორპუსით, არტილერიითა და დიდი აღალით დაძრულ გენერალ ადამ ლუდვიგ ლევენჰაუპტს. უნდა აღინიშნოს, რომ მოგილიოვიდან უკრაინისაკენ მიმავალ გზაზე შიმშილმა და სიცივემ შვეციის არმია ძალზე დააზარალა.

პიოტრ I-მა ამოიცნო კარლოს XII-ს გეგმა. მეფე ყურადღებას არ აქცევდა მოგილიოვიდან უკრაინისაკენ დაძრულ შვეციის არმიას, ხელსაყრელ დროს ელოდა, რათა კარლოს XII-თან შეერთებამდე გაენადგურებინა ადამ ლუდვიგ ლევენჰაუპტის კორპუსი. ეს დროც მალე დადგა. კარლოს XII-მ სტრატეგიული შეცდომა დაუშვა. მან ადამ ლუდვიგ ლევენჰაუპტს უბრძანა, ქალაქ სტაროდუბთან შეერთებოდა მთავარ ძალებს. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ შვედებს უნდა გადაელახათ ორი მდინარე – დნეპრი და სოჟი, რომელთა შორის სივრცეს რუსეთის არმია უწევდა კონტროლს. შვედების კორპუსმა შკლოვთან მდინარე დნეპრი კი გადალახა, მაგრამ რამდენიმე დღეში მას პიოტრ I-ის ძლიერი კორპუსი დაეწია. 28 სექტემბერს სოფელ ლესნაიასთან პიოტრ

I-ის მიერ განხორციელებული ბრწყინვალე მანევრის წყალობით რუსებმა სასტიკად დაამარცხეს შვედები. ლესნაიასთან ბრძოლაში 8 ათასი შვედი დაიღუპა, ხოლო ორი ათასი რუსებმა ტყვედ ჩაიგდეს. ადამ ლუდვიგ ლევენჰეუპტმა მხოლოდ 6 ათასი კაცის გადარჩენა შეძლო. შვედებმა დაკარგეს მთელი აღალი, რომელსაც მოუთმენლად ელოდა კარლოს XII. ადამ ლუდვიგ ლევენჰეუპტის 6-ათასიანი კორპუსის შვედების მთავარ ძალებთან შეერთებას უკვე აღარ შეძლო მნიშვნელოვნად გაეძლიერებინა კარლოს XII-ს არმია. შვედების მდგომარეობას ართულებდა ისიც, რომ ჰეტ-მანმა **ივან მაზეპაშ** ვერ შეძლო კარლოს XII-ის მხარეზე რაიმე მნიშვნელოვანი ძალის გამოყვანა.

ლესნაიასთან ბრძოლას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. შვედების არმიის საბოლოო განადგურებას სწორედ აქ ჩაეყარა საფუძველი. ჰეტრე I-მა ლესნაიასთან ბრძოლას „**პოლტავის ბატალიის დედა**“ უწოდა (პოლტავის ბრძოლას ლესნაიასთან ბრძოლასთან ზუსტად ცხრა თვე აშორებდა).

1709 წლის გაზაფხულზე პიოტრ I **აზოვში** ჩავიდა. აქ მას აცნობეს, რომ კარლოს XII-მ ქალაქ **პოლტავას** შემოარტყა აღყა და რამდენჯერმე იერიშიც მიიტანა მასზე. 1709 წლის 4 ივნისს პიოტრ I რუსეთის არმიის შტაბში დაბრუნდა. მეფეს უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა შვეციის არმიასთან გენერალური ბრძოლის გამართვა.

1709 წლის 20 ივნისს პიოტრ I-მა რუსეთის არმია პოლტავის მიმართულებით დაძრა და ქალაქიდან მოშორებით საბრძოლო ბანაკის მოწყობას შეუდგა. მეფე არ ჩქარობდა, რადგან 20 ათასი ყალმუხის მოსვლას ელოდა. კარლოს XII მიხვდა, რომ რუსები რეზერვის მოლოდინში შეტევის დაწყებას განგებ აჭიანურებდნენ და თავად გადაწყვიტა ბრძოლის დაწყება.

1709 წლის 27 ივნისს, განთიადისას, **კარლოს XII-მ** შეტევა დაიწყო. შვეციის მეფეს გადაწყვეტილი ჰქონდა, რუსების ბანაკის ნინ განლაგებული ცხენოსანი რაზმი გაენადგურებინა. შეტევაზე

გადასული შვედები რუსების მიერ აგებული რედუტების გასწვრივ მოძრაობდნენ, რის გამოც რედუტებიდან რუსების მიერ გახსნილი საარტილერიო ცეცხლის ქვეშ მოჰყვნენ. პიოტრ I-მა ცხენოსან ჯარს უკან დახევა უბრძანა, რის შედეგადაც რედუტებიდან შვედებს თავს დაატყდათ კიდევ უფრო ძლიერი ცეცხლი. ადამ ლუდვიგ ლევენჰეკაუპტი იძულებული გახდა რუსთა ცხენოსანი ჯარის დევნა შეეწყვიტა, უკან დაეხია და ტყისათვის შეეფარებინა თავი.

შვედების უკანდახევის შემდეგ ბრძოლის შენელებით ისარგებლა გენერალ-ფელდმარშალმა ბორის შერემეტიევმა, რუსთა ქვეითი ჯარი ბანაკიდან გაიყვანა და შვედების არმიის წინ ორ რიგად განალაგა. ფლანგებზე რუსთა კავალერია იყო თავმოყრილი. 9 საათზე ბრძოლა განახლდა. შვედები და რუსები ერთმანეთს მიუახლოვდნენ და დაიწყო ხელჩართული ბრძოლა. წეიოტრ I ბრძოლის შუაგულში ტრიალებდა. ერთმა ტყვიამ მას ქუდი გაუხვრიტა, მეორე უნაგირს მოხვდა, ხოლო მესამე – მეფის გულსაკიდ ჯვარს. ორსაათიანი სისხლისმღვრელი ბრძოლის შემდეგ შვედები შედრკნენ. შვეციის არმიაზე განსაკუთრებით ცუდად იმოქმედა იმან, რომ რუსების მიერ ნატყორცნი ყუმბარა იმ ეტლს მოხვდა, რომელშიც კარლოს XII იმყოფებოდა. შვედებს ეგონათ, რომ მეფე დაიღუპა. საერთო პანიკა მალე უწესრიგო უკანდახევასა და გაქცევაში გადაიზარდა.

პოლტავასთან ბრძოლაში კარლოს XII-მ 9 ათასი კაცი დაკარგა, 3 ათასი რუსებმა ტყვევდ ჩაიდგეს. გადარჩენილმა შვედებმა მდინარე დნეპრისაკენ დაიხიეს. პიოტრ I-მა გაქცეული შვედების დევნა ცოტა მოგვიანებით დაიწყო. რუსებმა ალექსანდრ მენშიკოვის სარდლობით მდინარე დნეპრს მაშინ მიაღწიეს, როცა ზაპოროჟიელ კაზაკებს შვეციის მეფე კარლოს XII და უკრაინის პეტრი ივან მაზეპა უკვე მეორე ნაპირზე გადაეყვანათ. შვეციის არმიის გადარჩენილმა ნაწილმა (16 ათასში კაცმა), ადამ ლუდვიგ

ლევენჰემუპტის სარდლობით იარაღი დაყარა. კარლოს XII რუსთა მდევარს დაუსხლტა და ივან მაზეპასთან ერთად თურქეთს შეაფარა თავი.

პოლტავის ბრძოლამ ჩრდილოეთის ომის ბეჭი რუსეთის სასარგებლოდ გადაწყვიტა. მართალია, ომი კიდევ თოთხმეტი წელი გრძელდებოდა, მაგრამ შვეციამ დაკარგა ბრძოლისუნარიანი არმია. გარდა ამისა, შვეციის წინააღმდეგ ომში ჩაება უერ პოსპოლიტა, დანია, პრუსია და პანოვერი.

საბოლოო გამარჯვებისათვის აუცილებელი იყო შვეციის ძლიერი ფლოტის განადგურება.

პოლტავის ბრძოლის შემდეგ, ომმა ისევ ბალტიისპირეთში გადაინაცვლა. 1710 წელს რუსეთის ჯარმა პიოტრ აპრაქსინის წინამძღვრობით ქალაქი ვიბორგი დაიკავა. მალე ალექსანდრ შერემეტიევმა ქალაქი რიგა აიღო. იმავე 1710 წელს კაპიტულაცია გამოაცხადა ქალაქმა პერნიოვმა. ამის შემდეგ რუსები კუნძულ ეზელზე გადასხდნენ და არენსბურგი აიღეს, ხოლო შემდეგ კეკსპოლმიც (კარელაც) დაიკავეს. ამით დასრულდა კარელიის გაწმენდა შვეციის ჯარებისაგან. შვედებმა ვერც რეველი შეინარჩუნეს და საბოლოოდ ლიფლანდია (ჩრდილოეთ ლატვია და სამხრეთ ესტონეთი) და ესტლანდია (ჩრდილოეთ ესტონეთი) რუსეთის ხელში გადავიდა.

3. პრუტის ლაშქრობა. ოსმალეთში თავშეფარებული შვეციის მეფე კარლოს XII ყველაფერს აკეთებდა, რათა ოსმალეთი რუსეთის წინააღმდეგ აემზედრებინა. ამასვე ცდილობდა საფრანგეთიც. 1710 წელს ოსმალეთმა ზავი დაარღვია და რუსეთს ომი გამოუცხადა.

1711 წელს პიოტრ I მოსკოვიდან პეტერბურგს გაემგზავრა და ოსმალეთთან ომისათვის მზადებას შეუდგა. 1711 წელს რუსეთის 130-ათასიანმა არმიამ მდინარე პრუტი გადალახა და წინსვლა განაგრძო. რეალობას არ შეეფერება მტკიცება, თითქოს პი-

ოფრ 1-მა პრუტის ლაშქრობა იმიტომ წამოიწყო, რომ შვედეთის მეფე კარლოს XII-მ პოლტავასთან განცდილი მარცხის შემდეგ თავი ოსმალეთს შეაფარა და ყველანაირად ცდილობდა ოსმალეთის ჩაბმას რუსეთის წინააღმდეგ ომში. პიოტრ I-ს ფართო გეოსტრატეგიული გეგმები ჰქონდა. ამ გეგმების შესახებ შეიძლება ვიმსჯელოთ პიოტრ I-ის 1711 წლის 8 მაისის მანიფესტით, რომელიც მან პრუტის ლაშქრობის წინ გამოსცა. მანიფესტში ნათქვამი იყო: „ამ ომში ჩვენ ძალაუფლების მოყვარეობის, ტერიტორიის გაფართოებისა და გამდიდრების სურვილი არ გვამოძრავებს. ჩვენ გვსურს, ღმერთის შემწეობით, მტრის მიერ მიტაცებული მიწების, ქალაქებისა და სიმდიდრის დაპრუნება.“ მანიფესტში აღნიშნული იყო, რომ პიოტრ I-ის სურვილს ბალკანეთში რუსეთის პროტექტორატით ქრისტიანული სახელმწიფოების შექმნა წარმოადგენდა. შექმნილ ვითარებაში პიოტრ I-ის გეოსტრატეგიული გეგმა ვერ განხორციელდა.

ლაშქრობის დაწყებიდან მალე პეტრე I-მა შეიტყო, რომ ყირიმის ხანმა 70-ათასიანი ჯარით ასევე გადალახა მდინარე პრუტი და რუსეთის არმიას კვალში ჩაუდგა, ხოლო ოსმალეთის დიდი ვეზირი 100-ათასიანი ჯარით რუსეთის არმიის შესახვედრად მოემართებოდა. მეფემ უკანდახევა გადაწყვიტა. რუსეთის ჯარები მდინარე პრუტს აჟყვრნენ აღმა. ოსმალეთის ცხენოსანი ჯარი რუსებს დაედევნა. რუსეთის ჯარის უკანდახევას პრეობრაჟენსკის პოლკი იცავდა. 1711 წლის 9 ივლისს ნოვოე სტანელიშჩეთან (მდინარე პრუტის ნაპირას) თურქთა ძირითადი ძალები დიდი ვეზირის მეთაურობით და რუსეთის ჯარები პიოტრ I-ის სარდლობით ერთმანეთს შეხვდნენ. რუსებმა მძიმე ბრძოლების შემდეგ მტერი უკუაგდეს. პიოტრ I-მა განსაკუთრებით ეფექტურად გამოიყენა არტილერია. ოსმალებმა 7 ათასი კაცი დაკარგეს. ეს წარმატება ოდნავაც კი ვერ აუმჯობესებდა რუსეთის ჯარების მდგომარეობას, რომელიც ფაქტობრივად აღყაში იქნა მო-

ქცეული და თითქმის არავითარი შანსი აღარ ჰქონდა რუსეთის საზღვრებამდე გაელნია. მეორე დღეს უმძიმეს მდგომარეობაში ჩაგარდნილმა პიოტრ I-მა ოსმალეთის დიდ ვეზირს დაზავება შესთავაზა. იმავდრულად რუსეთის ჯარები, საზღვრისაკენ ბრძოლით, უკანდახევისათვის ემზადებოდნენ. თუკი ოსმალეთის დიდი ვეზირი მოლაპარაკებაზე დასთანხმდებოდა, პიოტრ I მზად იყო დაეთმო **აზოვის** სიმაგრე და მდინარე დონისა და მდინარე დნეპრის ქვემონელი. უკიდურეს შემთხვევაში, მეფე ასევე თანახმა იყო, შვეციისათვის დაებრუნებინა **ბალტისპირეთი**. ასე რომ, შეიძლებოდა რუსეთს დაეკარგა დიდი სისხლის ფასად მოპოვებული უმნიშვნელოვანესი ტერიტორია. საბედნიეროდ, ოსმალეთის დიდმა ვეზირმა სამხედრო-პოლიტიკური ვითარება სწორად ვერ შეაფასა და პიოტრ I-მა გაცილებით ნაკლები დანაკარგის ფასად მიაღწია ზავს. 1711 წელს დადებული ზავის თანახმად, რუსეთს ოსმალეთისათვის უნდა გადაეცა **აზოვის** ციხესიმაგრე, ხოლო ტაგანროგის ციხესიმაგრე უნდა დაენგრია; ტერიტორია ქალაქ სამარიდან სამხრეთით, ზაპოროჟიე სეჩის ჩათვლით, გადადიოდა ყირიმის სახანოს შემადგენლობაში; რუსეთის ჯარებს უნდა დაეტოვებინათ დაკავებული ტერიტორია. აღსანიშნავია ის, რომ შვეციის მეფე კარლოს XII საზავო მოლაპარაკების დროს ოსმალეთის დიდი ვეზირის ბანაკში არ იმყოფებოდა, იგი მხოლოდ ზავზე ხელმონერის შემდეგ გამოჩნდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლებოდა რუსეთს გაცილებით დიდი ტერიტორია დაეკარგა, მათ შორის ბალტიისპირეთშიც. გამოთქმულია მოსაზრება, რომ დიდმა ვეზირმა რუსეთის მეფისაგან დიდი ქრთამი აიღო და მხოლოდ ამიტომ დაკმაყოფილდა პიოტრ I-ის მხრიდან შედარებით უმნიშვნელო დათმობით.

4. ომისგაგრძელება შვეციასთან. ოსმალეთთან ზავის დადების შემდეგ რუსეთმა შვეციის წინააღმდეგ ომი გააგრძელა. ამჯერად საომარი მოქმედებები პომერანიაში (ჩრდილოეთ ბალტიისპირეთ-

ში) მიმდინარეობდა. 1713 წელს პიოტრ I-მა პომერანიაში სარდლობა დანიის მეფეს ჩააბარა და თვითონ პეტერბურგში დაბრუნდა. მას გადაწყვეტილი ჰქონდა, ფინეთი დაეპყრო და ამით მძიმე მდგომარეობაში ჩაეგდო შვეცია. საქმე ის იყო, რომ შვეცია ფინეთიდან მარაგდებოდა ხე-ტყითა და საკლავი პირუტყვით. ასე რომ, ფინეთის დაკარგვა დიდი დარტყმა იქნებოდა კარლოს XII-თვის.

1713 წლის 26 აპრილს რუსეთის სამხედრო ფლოტი ზღვაში გავიდა. ფლოტი 93 გალერის, 60 ბარკასისა და 50 დიდი ნავისა-გან შედგებოდა. რუსეთის სამხედრო ფლოტი 16 ათასი მეომრის თანხლებით ფინეთისაკენ დაიძრა. ფლოტის სარდალი ოფიციალურად გენერალ-ადმირალი ფიოდორ აპრაქსინი იყო, თუმცა პრაქტიკულად ფლოტის სარდლობას პიოტრ I ახორციელებდა. მეფის გალერი ფლოტის ავანგარდში იდგა. რუსეთის სამხედრო ფლოტმა და ქვეითმა ჯარმა დაიკავეს ჰელსინგფორსი და აბო. ცოტა მოგვიანებით ფიოდორ აპრაქსინმა მდინარე პელკენის ნაპირას სასტიკად დაამარცხა შვედები. ამ ბრძოლის შემდეგ თითქმის მთელი ფინეთი რუსეთის ჯარებმა დაიკავეს.

1714 წელს რუსეთის სამხედრო ფლოტის ხომალდები რევ-ელის ნავსადგურში დადგნენ, ფლოტის მეორე ნაწილი კი აბოს ნავსადგურში იმყოფებოდა. ამ პერიოდისათვის რუსეთის სამხედრო ფლოტი 16 სახაზო ხომალდსა და 180 სხვადასხვა სახის გემს ითვლიდა. კარლოს XII-მ გადაწყვიტა ბოლო მოელო რუსეთის ფლოტისათვის. 1714 წლის ივლისში შვეციის სამხედრო ფლოტი (16 ხომალდი და 20 სხვადასხვა სახის გემი) ბალტიის ზღვაში მდებარე განგუტის კონცხთან შეჩერდა. შვედების ფლოტს ადმირალი ერენშილდი სარდლობდა. 1714 წლის 27 ივლისს პიოტრ I-მა ადმირალ ერენშილდს დანებება შესთავაზა, რაზეც უარი მიიღო. მაშინ რუსეთის ფლოტი წპიოტრ I-ის საერთო სარდლობით თავს დაესხა შვედების ფლოტს. რუსებმა ხელთ იგდეს 11 გემი,

შვეციის ფლოტის სარდალი ადმირალი ერენშილდი ტყვედ ჩავარდა.

განგუტის კონცხთან მოპოვებული გამარჯვების შემდეგ რუსებმა კუნძული ალანდი დაიკავეს, რომელიც სტოკოლმიდან 15 მილის დაშორებით მდებარეობდა. რუსების მიერ ალანდის დაკავებამ შვეციაში დიდი პანიკა გამოიწვია. პიოტრ I-ს იმხანად სტოკოლმზე შეტევა არ დაუწყია, ხოლო სამხედრო ფლოტი აპას ნავსადგურში დაბრუნა.

განგუტის კონცხთან მოპოვებულმა გამარჯვებამ ცხადი გახდა რუსეთის სამხედრო ფლოტის ძლიერების ზრდა. ბალტიის ზღვაზე შვეციის ფლოტის განუყოფელი ბატონობა წარსულს ჩაბარდა.

1718 წელს ნორვეგიაში ლაშქრობისას ერთ-ერთი ქალაქის ალყის დროს დაიღუპა შვეციის მეფე კარლოს XII. ამ დროისათვის რუსეთსა და შვეციას შორის საზავო მოლაპარაკება უკვე დაწყებული იყო. კარლოს XII-ის სიკვდილის შემდეგ მოლაპარაკება შეფერხდა. 1719 წელს პიოტრ I-მა შვეციის ნაპირებისაკენ გაგზავნა სამხედრო ფლოტი ადმირალ ფილდორ აპრაქსინის სარდლობით. იმავდროულად რუსეთის სახმელეთო ჯარი დაბა გრინთან შვეციის ტერიტორიაზე გადასხდა. რუსებმა 2 ქალაქი, 135 სოფელი და 9 ქარხანა გადაწყვეს. ფილდორ აპრაქსინი სტოკოლმს 7 მილზე მიუახლოვდა და ქალაქის შემოგარენი გაძარცვა. 1720 წელს რუსეთის სამხედრო ესკადრა ისევ გაემართა შვეციის ნაპირებისაკენ. კუნძულ გრენგამთან რუსეთის ესკადრამ გენერალ-ადმირალ მიხაილ გოლიცინის სარდლობით შვეციის ფლოტი დაამარცხა და ხელთ იგდო შვედების 4 ფრეგატი. შემდეგ მიხეილ გოლიცინმა შვეციის სანაპირო სოფლები გადაწვა და უამრავი ტყვე აიყვანა. გრენგამთან ბრძოლის შემდეგ ბალტიის ზღვაზე მთლიანად გაბატონდა რუსეთის ფლოტი.

შვეციას ომის გაგრძელების ძალა აღარ შესწევდა. 1721 წელს ნიშტადტში (ფინეთი) რუსეთსა და შვეციას შორის საზავო მო-

ლაპარაკება დაიწყო. მეტი დათმობის მიღების მიზნით რუსეთის სამხედრო ფლოტმა მესამედ დაარბია შვეციის სანაპირო რაიონები. რუსებმა 3 ქალაქი და 506 სოფელი გადაწვეს. ამან შვეცია აიძულა, მაქსიმალურად დაეთმო რუსეთისათვის. 1721 წლის 30 აგვისტოს **ნიშტადტში** ხელი მოეწერა რუსეთ-შვეციის საზავო ხელშეკრულებას. ნიშტადტის ზავით რუსეთმა მიიღო **ლიფლანდია** (ჩრდილოეთ ლატვია და სამხრეთ ესტონეთი), **ესტლანდია** (ჩრდილოეთ ესტონეთი), **ინგრია** (იუორის მხარე) და **კარელიის ნანილი ქალაქ ვიბორგითურთ**. ფინეთი დაუბრუნდა შვეციას.

ჩრდილოეთის ომი (1700-1721 წწ.) რუსეთის ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა. ბალტიის ზღვაზე გასასვლელი მოპოვებულ იქნა. ამ დიდი გამარჯვებების აღსანიშნავად 1721 წლის 22 ოქტომბერს პიოტრ I-მა იმპერატორის ტიტული და ზედნოდება „დიდი“ მიიღო. ძლევამოსილი რუსეთის სახელმწიფო იმპერიად გამოცხადდა.

ამრიგად, პიოტრ I-ის გეოსტრატეგიული პროექტებიდან უმთავრესი – ბალტიისპირეთში გაბატონება – განხორციელდა. სამაგიეროდ, პიოტრ I-მა მარცხი იწვნია ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის დაპყრობისათვის ბრძოლაში, რის გარეშეც შეუძლებელი იყო ბალკანეთის ნახევარკუნძულზე პოზიციების მოპოვება.

ლიტერატურა:

1. **Н. Б. Голикова.** Политические процессы при Петре I. Москва, 1957.
2. **Н. И. Павленко.** Петр Великий. Москва, 1994.
3. Росия в перед реформ Петра I. Москва, 1973.

ლუქტია 4. რუსეთ-ოსმალეთის 1768-1774 წლების ომი. ქუჩუკ-კაინარჯის ზავი

რუსეთ-ოსმალეთის 1768-1774 წლების ომს წინ უძლოდა 1735-1739 წლების ომი. ამ ომში რუსეთის იმპერია მიზნად ისახავდა ჩრდილოეთ შავი ზღვისა და აზოვისპირეთში ოსმალეთის შევიწროებას, სტრატეგიული სიმაგრეების ხელში ჩაგდებას და საბოლოოდ – ყირიმის სახანოს დაპყრობას. მიუხედავად ხანგრძლივი საბრძოლო კამპანიისა და რამდენიმე მნიშვნელოვანი გამარჯვებისა, რუსეთმა დასახულ მიზანს ვერ მიაღწია. სხვა მიზეზებთან ერთად ეს განაპირობა საერთაშორისო ასპარეზზე ძალთა თანაფარდობის რუსეთის საზიანოდ შეცვლამ. რუსეთი იძულებული გახდა, ოსმალეთთან ზავი არახელსაყრელი პირობებით დაედო. საზავო ხელშეკრულება 1739 წლის 18 სექტემბერს გაფორმდა ბელგრადში. ზავის პირობები ასეთი იყო: 1. რუსეთს გადაეცა აზოვის სიმაგრე იმ პირობით, რომ იქ არსებულ საფორტიფიკაციო ნაგებობებს დაანგრევდა; 2. რუსეთმა მიიღო მცირე ტერიტორია მდინარე დნეპრის შუანელზე; 3. რუსეთს უფლება ეძლეოდა მდინარე დონის კუნძულ ჩერკასზე აეგო სიმაგრე; 4. ოსმალეთმა მდინარე ყუბანის შესართავში სიმაგრის აგების უფლება მიიღო; 5. დიდი და მცირე ყაბარდო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადდა, რომელსაც რუსეთსა და ოსმალეთს შორის ბუფერის როლი უნდა შეესრულებინა; 6. რუსეთს ეკრძალებოდა შავ ზღვასა და აზოვის ზღვაში სამხედრო ფლოტის ყოლა; 7. ოსმალეთთან ვაჭრობისათვის რუსეთს ოსმალეთის სავაჭრო გემები უნდა გამოეყენებინა; 8. ოსმალეთს ხელი არ უნდა შეეშალა წმინდა მიწაზე რუსი მომლოცველების ჩასვლისათვის. ბელგრადის ზავი (1739 წ.) ძალაში იყო ქუჩუკ-კაინარჯის ზავამდე (1774 წ.). რუსეთ-ოსმალეთის ომები გაგრძელდა იმპერატორ ეკატერინა II-ის (1762-1796) ეპოქაში.

ეკატერინა II-მ საფუძველი ჩაუყარა ე.წ. ჩრდილოეთის სისტემის შექმნას. ჩრდილოეთის სისტემა ითვალისწინებდა რუსეთის, პრუსიის, ინგლისის, შვეციის, დანიის, საქსონიისა და უერბარის მიერთის შექმნისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთისა და პრუსიის შეთანხმებას. ჩრდილოეთის სისტემის შექმნის პროცესში ადგილი ჰქონდა რუსეთ-პრუსიის **საიდუმლო შეთანხმება** (1762 წ.), რომლის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ რუსეთსა და პრუსიას არ უნდა დაეშვათ უერბარის პოლიტიკასა და შვეციის გაძლიერება. ეკატერინა II-ს საგარეო პოლიტიკის მეორე მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენდა პოზიციების განმტკიცება იმპერიის სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვრებთან, რაც გულისხმობდა ყირიმის სახანოს დაპყრობასა და **თურქეთის** შევიწროებას ჩრდილოეთ და ჩრდილო-დასავლეთ შავიზღვისპირეთში. ეკატერინა II-მ რუსეთის საგარეო პოლიტიკის ორივე უმნიშვნელოვანესი ამოცანა წარმატებით გადაჭრა. მოგვიანებით, 1789 წლიდან, ეკატერინა II-ს საგარეო პოლიტიკაში გამოიკვეთა მესამე მთავარი მიმართულება – **ბრძოლა საფრანგეთის რევოლუციის წინააღმდეგ**. ამ რთული პრობლემის გადაჭრას იმპერატორი დიდი მონდომებით შეუდგა, მაგრამ საქმის ბოლომდე მიყვანა სიკვდილმა არ დააცალა.

რუსეთისა და ოსმალეთის დაპირისპირება ახალი ომის მიზეზი გახდა. რუსეთი ყირიმის სახანოს არსებობას მხოლოდ დროებით ურიგდებოდა და ხელსაყრელ დროს ელოდა მის დასაპყრობად. ყირიმის სახანოს დაუფლებისათვის კი აუცილებელი იყო ჩრდილო და ჩრდილო-დასავლეთ შავიზღვისპირეთში ოსმალეთის პოზიციების შესუსტება. ყოველივე ამას კარგად გრძნობდა ოსმალეთი და რუსეთის წინააღმდეგ ევროპის ქვეყნების მიმხრობას ცდილობდა. შავიზღვისპირეთში რუსეთის დამკვიდრების მცდელობა ევროპის ქვეყნების შეშფოთებას იწვევდა, რადგან

მომავალში ბალკანეთის ნახევარკუნძულზე რუსეთის შეჭრის საფრთხე იქმნებოდა.

1768 წლის შემოდგომაზე საფრანგეთისა და ინგლისის მხარდაჭერით იმედმოცემულმა ოსმალეთმა ომი გამოუცხადა რუსეთს. აქტიური საბრძოლო მოქმედებები 1769 წელს დაიწყო მოლდოვასა და ვლახეთის ტერიტორიაზე, ასევე აზოვის ზღვის სანაპირო რაიონებში. 1770 წელს მდინარე ლარგას (მდინარე პრუტის შენაკადი) ნაპირას გენერალმა პიოტრ რუმინცევმა სასტიკად დაამარცხა თურქეთის არმია. იმავე წელს მდინარე კაგულის (მდინარე პრუტის შენაკადი) ნაპირას თურქებმა მეორე დიდი მარცხი იწვნიეს. ამ გამარჯვებების შემდეგ რუსეთის არმია მდინარე დუნაის მიადგა. 1770 წელს რუსეთის სამხედრო ფლოტი ალექსეი ორლოვის, ადმირალ გრიგორი სპირიდოვისა და ადმირალ სამუილ გრეიგის სარდლობით პეტერბურგიდან გავიდა და გიბრალტარის სრუტით ხმელთაშუა ზღვაში შევიდა. აქ, მცირე აზიის სანაპიროსთან, ჩესმენის ყურეში, რუსეთის სამხედრო ფლოტმა მთლიანად გაანადგურა ოსმალეთის სამხედრო ესკადრა. ამ გამარჯვების შემდეგ რუსეთის სამხედრო ფლოტმა შავ ზღვაზე მყოფ ოსმალეთის სამხედრო ესკადრას ხმელთაშუა ზღვაში გასვლის საშუალება აღარ მისცა.

სახმელეთო და საზღვაო ბრძოლებში მოპოვებული გამარჯვება კარგად გამოიყენა რუსეთის სარდლობამ. 1771 წელს რუსეთის ჯარმა ყირიმი დაიკავა, რაც იმის მაუნყებელი იყო, რომ ოსმალეთმა ომი წააგო. მალე რუსეთსა და ოსმალეთს შორის საზავო მოლაპარაკება დაიწყო. 1773 წელს რუსეთში ემელიან პუგაჩივის წინამდლოლობით დიდმა ამბოხებამ იფეთქა. რუსეთის შინაპრობლემების გამოყენება სცადეს საფრანგეთმა და ინგლისმა. მათი წაქეზებით, ოსმალეთმა დაწყებული საზავო მოლაპარაკება ჩაშალა. ამის საპასუხოდ, 1774 წელს, რუსეთის არმიამ გენერალ ალექსანდრ სუვოროვის სარდლობით მდინარე

დუნაი გადალახა და სასტიკად დაამარცხა თურქეთის ჯარები. ამ გამარჯვების შემდეგ რუსეთის არმიის მთავარმა ძალებმა გენერალ-ფელდმარშალ **პიოტრ რუმინანცევის** სარდლობით საფრთხე შეუქმნეს ქალაქ **სტამბოლს**. ოსმალეთი იძულებული გახდა, ზავი ეთხოვა.

ზავი რუსეთსა და ოსმალეთს შორის 1774 წლის 10 ივლისს ბულგარეთის ქალაქ **ქუჩუკ-კაინარჯში** დაიდო. ამ ზავით რუსეთმა მიიღო შავ ზღვაზე გასასვლელი – **შავიზღვიპირეთის სტეპის ზონა** (ზოვოროსია). რუსეთს შავ ზღვაზე სამხედრო ფლოტის ყოლის უფლება მიეცა. ამავე დროს, მას შეეძლო გამოეყენებინა შავი ზღვიდან გამავალი ბოსფორისა და **დარდანელის** სრუტეები. ოსმალეთმა ცნო აზოვისა და ქერჩის გადასვლა რუსეთის შემადგენლობაში. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ **ყაბარდო** რუსეთის ნაწილად იქნა აღიარებული.

ქუჩუკ-კაინარჯის ზავის უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა ყირიმის სახანოს სტატუსის გარკვევა. ზავის მე-3 მუხლის თანახმად, ყირიმის სახანო, რომლის ტერიტორია მოიცავდა ყირიმის ნახევარკუნძულს (ქერჩისა და ენიკალეს სიმაგრეების გამოკლებით), შავი ზღვისპირეთის სტეპს (ტერიტორია მდინარეებს ბერდას, კონსკიე ვოდის და დნეპრს შორის), სტეპს მდინარე ბუგსა და მდინარე დნესტრს შორის (ოჩაკოვის სიმაგრის გამოკლებით), ყუბანის მიწებსა და ტამანის ნახევარკუნძულს, – გამოეყო ოსმალეთს და დამოუკიდებელ სახანოდ გამოცხადდა. ზავის მე-3 მუხლი იუნიუბოდა:

1. ყირიმის სახანოს ტერიტორიაზე მცხოვრები თათრები: ყირიმელი თათრები, ასევე სხვა თათრები (თათრული ტომები – ვ. გ.): ბუჯატები, ყუბანელები, ედისანები, ჯამბუილუკები და ედიჩყულები – ოსმალეთისა და რუსეთის მიერ ცნობილი არიან თავისუფლებად და სრულიად დამოუკიდებლად გარეშე ხელისუფლებისაგან და მორჩილებენ ჩინგის ხანის შთამომავალ ხანს,

რომელსაც თათრების ყველა საზოგადოება აირჩიეს;

2. ყირიმის ხანი ხელისუფლებას ახორციელებს ძველ კანონებსა და ადათ-წესებზე დაყრდნობით და ანგარიშვალდებული არ არის არც ერთი სხვა სახელმწიფოს წინაშე;

3. რუსეთსა და ოსმალეთს უფლება არ აქვთ, რა მიზეზიც უნდა იყოს, ჩაერიოს ხანის არჩევნებსა და მის ტახტზე აყვანაში, ასევე – მოსახლეობის საოჯახო, პოლიტიკურ, სამოქალაქო და საშინაო საქმეებში;

4. რუსეთმა და ოსმალეთმა უნდა ცნონ თათარი ერის პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებები, ცნონ მათი მმართველობა, რომელიც მხოლოდ ღმერთის ნებაზეა დამოკიდებული;

5. ოსმალეთის სულთანი არის ყირიმელი და სხვა თათარი ხალხების უზენაესი ხალიფა. ხალიფას უფლება არ აქვს, მცირედითაც კი შეზღუდოს თათრების პოლიტიკური და სამოქალაქო თავისუფლება.

ლიტერატურა:

1. Е. И. Дружинина. Кючук-Кайнарджийский мир 1774 года. Москва б 1955.

2. ვახტანგ გურული. საქართველო და გარე სამყარო. თბილისი, 2011.

ლექცია 5. რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობა ქუჩუკ-კაინარჯის ზავის შემდეგ. ვითარების დაძაბვა ყირიმის სახანოში. აინალი-კავაკის კონვენცია

ქუჩუკ-კაინარჯის ზავმა (1774 წ.) რუსეთსა და ოსმალეთს შორის მშვიდობა ვერ დაამყარა. განხეთქილების მიზეზს ყირიმის სახანო წარმოადგენდა. მართალია, ქუჩუკ-კაინარჯის ზავის

თანახმად, ყირიმის სახანო დამოუკიდებელი გახდა, მაგრამ ზავის დადებისთანავე დაიწყო მწვავე დაპირისპირება იმასთან დაკავშირებით, თუ ვის უნდა ჰქონოდა ყირიმის სახანოზე კონტროლის უფლება.

ყირიმისათვის ბრძოლა რუსეთის იმპერიას ძალზე ძვირად დაუჯდა. რუსეთ-ოსმალეთის 1735-1739 წლების ომის დროს რუსეთის ჯარი ორჯერ შეიჭრა ყირიმის სახანოს ტერიტორიაზე, მაგრამ ოსმალეთისა და ყირიმის ხანის ჯარისა და აუტანელი სიცხისაგან დევნილმა, ორჯერვე დატოვა ყირიმი. უკან დახვისას რუსებმა ცოცხალი ძალის დიდი ზარალი ნახეს, შიმშილისა-გან დაცა საკავალერიო ცხენების უმრავლესობა.

1768-1774 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომი მეორე ომი იყო, რომელსაც ეკატერინა II-ის, იმპერიის პოლიტიკური და სამხედრო ელიტის აზრით, ყირიმის სახანოს ბედი უნდა გადაეწყვიტა. ცხადია, ყირიმის სახანოს დაპყრობისა და უშუალოდ იმპერიას-თან შეერთების წინააღმდეგი არავინ იქნებოდა, მაგრამ ითვალისწინებდნენ ყირიმელი თათრების განწყობილებას, რომლებიც რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობას და რუსული მმართველობის დამყარებას არ შეეგუებოდნენ. 1770 წლის 15 მარტს იმპერატორთან არსებულმა საბჭომ ასეთი დადგენილება მიიღო: “საბჭომ იმსჯელა და დასთანხმდა იმ აზრს, რომ ყირიმის ხანის მორჩილებაში მყოფი და სხვა ტერიტორიაზე მცხოვრები თათრები ვერასდროს გახდებიან მისი იმპერატორობითი უდიდებულესობისათვის სარგებლობის მომტანი ქვეშევრდომები”. გამომდინარე აქედან, საბჭომ ეკატერინა II-ს ურჩია: ყირიმი და ყირიმელი თათრები, ასევე ყირიმის ნახევარკუნძულის მომიჯნავედ მცხოვრები თათრები სამუდამოდ უნდა ჩამოეცილებინათ ოსმალეთისათვის, მაგრამ ყირიმის სახანო დამოუკიდებელი უნდა დარჩენილიყო. პრაქტიკულად, საკითხი ასე იდგა: 1. ყირიმის სახანო სამხედრო ძალის გამოყენებით არ უნდა დაეპყროთ; 2. იგი რჩებოდა დამოუკიდებელ

სახანოდ; 3. ყირიმის ხანი რუსეთისადმი ლოიალურად განწყობილი პიროვნება უნდა გამხდარიყო.

ზემოთ აღნიშნული გეგმის განხორციელება არც ისე ადვილი იყო. ქუჩუკ-კაინარჯის ზავის თანახმად, ყირიმის სახანომ და-მოუკიდებლობა მიიღო, თუმცა ოსმალეთმა სახანოში მოვლენათა განვითარებაზე კონტროლის მექანიზმი მაინც შეინარჩუნა. რო-გორც აღვნიშნეთ, ქუჩუკ-კაინარჯის ზავის მესამე მუხლი იუნ-ყებოდა:

1. არც რუსეთსა და არც ოსმალეთს უფლება არ აქვთ ჩაერიონ ყირიმის ხანის ტახტზე აყვანის პროცესში;
2. რუსეთი და ოსმალეთი არ უნდა ჩაერიონ ყირიმელი თა-თრების საოჯახო, პოლიტიკურ, სამოქალაქო და შინაურ საქმეე-ბში;
3. ყირიმელ თათრებს უნდა ჰქონდეთ საკუთარი მმართვ-ელობა, რომელიც არავისზე არ იქნება დამოკიდებული, გარდა ლმერთისა.

ამ პირობებს თან ახლდა ერთი დათქმა: ყირიმელი თათრები, როგორც მუსლიმები, ოსმალეთის სულთანს უმაღლეს ხალიფად აღიარებდნენ. საზავო მოლაპარაკებისას რუსი დიპლომატები, ცხადია, მიხვდნენ, რომ სასულიერო სფეროში დამოუკიდებლობა აჩენდა იმ ხვრელს, საიდანაც ოსმალეთის სულთანს შეეძლო საე-რო ცხოვრებაზეც მოეხდინა გავლენა. ამიტომ იყო, რომ ზემოთ ხსენებულ დათქმას რუსეთის მოთხოვნით დაემატა მეორეც: ოსმა-ლეთის სულთნის უმაღლეს ხალიფად აღიარებას ოდნავაც არ უნდა შეეზღუდა ყირიმელი თათრების პოლიტიკური და სამოქალაქო თა-ვისუფლება.

საზავო მოლაპარაკებისას, ზავის ტექსტის დადგენის პრო-ცესში, რუსი დიპლომატები უშედეგოდ ცდილობდნენ გაეყოთ, ერთმანეთისაგან გაემიჯნათ, რისი გაყოფა და გამიჯვნა წარ-მოუდგენელი იყო მუსლიმი საზოგადოებისათვის. **მუსლიმისათ-**

ვის საერო და სასულიერო განუყოფელია, მუსლიმი ამქვეყნიურ ცხოვრებაში ხელმძღვანელობს ყურანითა და შარიათის კანონებით და განსხვავებას ვერ ხედავს რელიგიურ-წესჩვეულებით და სამოქალაქო-იურიდიულ ნორმებს შორის.

ხალიფამ, ანუ ოსმალეთის სულთანმა ყირიმის სახანოში ყადების (მოსამართლების) დანიშვნის უფლება მიიღო. მართალია, ყადი სასულიერო წოდების წარმომადგენელი იყო, მაგრამ იგი განიხილავდა და განაჩენი გამოჰქონდა საერო (სამოქალაქო) საქმეებზეც. ყოველივე ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ოსმალეთის სულთანმა ქუჩუკ-კაინარჯის ზავით ყირიმის სახანოს საშინაო საქმეებში ჩარევის უფლება მიიღო.

ყირიმის სახანოს მეჩეთებში მოლები კვლავ აღავლენდნენ ლოცვებს ხალიფა-სულთნისათვის. ყირიმელი თათრების ზედაფენის უმეტესობა კვლავ ოსმალეთზე იყო ორიენტირებული. ყირიმელი თათრების დეპუტაცია, „საპატიო ყირიმელები“, ხშირად ეახლებოდნენ ხოლმე ოსმალეთის სულთანს და სახანოს დამოუკიდებლობის გაუქმებას და ყირიმის სახანოს ოსმალეთის შემადგენლობაში დაბრუნებას ითხოვდნენ. ოსმალეთის სულთანი ყირიმის სახანოს შესახებ ქუჩუკ-კაინარჯის ზავის პირობის დარღვევას ვერ ბედავდა, თუმცა ამ პირობის გვერდის ავლისათვის გზებს აქტიურად ეძიებდა.

ქუჩუკ-კაინარჯის ზავის თანახმად, ოსმალეთის სულთანს ყირიმში ახლად არჩეული ხანის კანდიდატურა უნდა დაემტკიცებინა. ზავის ეს მუხლი ფორმალური იყო. პრაქტიკულად, სულთნის უფლება მხოლოდ იმით შემოიფარგლებოდა, რომ დასტურის ნიშნად არჩეული ხანისათვის ინვესტიტურა უნდა გაეგზავნა. სამაგიეროდ, სულთანს შეეძლო თავისი ერთგული მომხრეების მხარდაჭერით ყირიმის ხანად მისთვის სასურველი კანდიდატი აერჩევინებინა, რომლის ლეგიტიმურობასაც სულთანი ინვესტიტურის გაგზავნით დაადასტურებდა. 1777 წელს ოსმალეთის

სულთანმა ყირიმის ხანის ტახტზე თათრების მიერ ტრადიციული წესით არჩეული ანტირუსული ორიენტაციის დევლეთ გირეი დაამტკიცა. რუსეთი ამას არ შეურიგდა და ყველანაირად ცდილობდა, ხანის ტახტზე რუსული ორიენტაციის შაგინ გირეი აეყვანა. სულთანმა დევლეთ გირეის სამხედრო ძალის გამოყენებით დაცვა ვერ გაძედა. 1777 წლის აპრილში დევლეთ გირეი ოსმალეთში გაიქცა და მალე საერთოდ გაქრა პოლიტიკური ასპარეზიდან. 1777 წლის აპრილშივე ყირიმის სახანოს დედაქალაქ ბაღჩისარაიში ხანის არჩევნები გაიმართა. ამჯერად ხანად შაგინ გირეი აირჩიეს. ახალი ხანის ტახტზე ასვლა, როგორც აღვნიშნეთ, ოსმალეთის სულთანს ინვესტიტურის გაგზავნით უნდა დაედასტურებინა. ამ ფორმალური აქტის შესრულება 2 წელი გაჭიანურდა.

ყირიმის ხანის ტახტის შენარჩუნება რუსეთის მხარდაჭერის მიუხედავად, შაგინ გირეისაც გაუჭირდა. იგი 3-ჯერ გაიქცა ბაღჩისარაიდან და რუსეთის ჯარს შეაფარა თავი. გრიგორი პოტიომკინმა, ალექსანდრ პროზოროვსკიმ და ალექსანდრ სუვოროვმა შაგინ გირეი სამგზისვე დააბრუნეს ბაღჩისარაიში. შაგინ გირეი დაუდეგარი, ამავე დროს, ავანტიურისტი ადამიანი აღმოჩნდა. მან ბაღჩისარაიში ახალი სასახლის აგება დაიწყო, ხოლო მშენებლობისათვის საჭირო თანხის ამოლების მიზნით მოსახლეობას დამატებითი გადასახადი დაუწესა. ხანმა რეგულარულ ჯარის შექმნა გადაწყვიტა. თათრებს სამხედრო მუნდირები ჩააცვეს და წვრთნებიც დაიწყეს. თათრები რეგულარულ ჯარში სამსახურსა და წვრთნას ვერ შეეგუვნენ. მოსახლეობაში უკმაყოფილება დაიწყო. უკმაყოფილება კიდევ უფრო გააძლიერა ქრისტიანების მიმართ შაგინ გირეის შემწყნარებლურმა პოლიტიკამ. ყირიმში ეკლესიების მშენებლობას მოლები და ყადები, საერთოდ, თათრების დიდი უმრავლესობა დაუფარავი პროტესტით შეხვდა. შაგინ გირეიმ თათრების ზედაფენის იმ ნაწილის მხარდაჭერაც

კი დაკარგა, რომელმაც მის ხანად არჩევას დაუჭირა მხარი. მოსახლეობის აღშფოთებამ კულმინაციას მაშინ მიაღწია, როცა ცნობილი გახდა, რომ შაგინ გირეი ხანის არჩევნებს აუქმებდა და ამიერიდან ხანის ტახტზე მემკვიდრეობის პრინციპით მხოლოდ მისი შთამომავლობა (შვილი, შვილიშვილი და ა.შ.) ავიდოდა.

1777 წლის ოქტომბერში ყირიმის სახანოში შაგინ გირეის წინააღმდეგ აჯანყებამ იფეთქა. სახანოს ტერიტორიაზე განლაგებული რუსეთის ჯარის სარდალმა, გენერალმა ალექსანდრ სუვოროვმა აჯანყება სამხედრო ძალის გამოყენებით ჩაახშო. ოსმალეთის სულთანმა თავდაპირველად რუსეთის ჯარის წინააღმდეგ ბრძოლის დაწყება ვერ გაპედა. ოსმალეთის სამხედრო ესკადრა მოგვიანებით, 1778 წლის აგვისტოში, მიადგა ყირიმის ნახევარკუნძულს. **ალექსანდრ სუვოროვმა** ოსმალებს ნახევარკუნძულზე გადასვლის ნება არ დართო და სამხედრო ესკადრის სარდალს გემებზე დარჩენა და 40-დღიანი კარანტინის დაცვა მოსთხოვა. ალექსანდრ სუვოროვმა თავისი მოთხოვნა იმით დაადასტურა, რომ იმ დროისათვის შავი ჭირის ეპიდემიის კერები გაჩნდა. ოსმალო ადმირალი იძულებული გახდა, სამხედრო ესკადრა უკან, ოსმალეთში, დაებრუნებინა.

რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობა უკიდურესად დაიძაბა. ქვეყანაში, საერთოდ, საერთაშორისო ასპარეზზე შექმნილი არახელსაყრელი ვითარება ოსმალეთის სულთანს რადიკალური მოქმედებებისაგან თავის შეკავებას აიძულებდა. ეკატერინა II-მ ამით ისარგებლა და მოლდოვას სამთავროს სტატუსის გარკვევის საკითხი დააყენა. რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობაში იმდენი მწვავე პრობლემა დაგროვდა, რომ აუცილებელი გახდა ქუჩუკ-კაინარჯის ზავის შემდეგ ახალი, „**განმარტებითი კონვენციის**“ მიღება. ეს კონვენცია 1779 წლის მარტში იქნა მიღებული და ისტორიაში **აინალი-კავაკის კონვენციის** სახელით არის ცნობილი. ეს კონვენცია ქუჩუკ-კაინარჯის ზავის განუყოფელ ნაწილად გა-

მოცხადდა. მისი შინაარსი ასეთია:

1. ოსმალეთის სულთნის მიერ მოლდოვას სამთავროსათვის ცალმხრივად მინიჭებულმა ახალმა უფლებებმა იურიდიული ძალა შეიძინა, ცალმხრივი აქტი უკვე რუსეთ-ოსმალეთის კონვენციით დადასტურდა;
 2. ოსმალეთმა მოლდოვას სამთავროს 15 სოფელი დაუბრუნა;
 3. სტამბოლში მყოფ მოლდოვას სამთავროს წარმომადგენლებს დიპლომატიური ხელშეუხებლობა მიენიჭათ;
 4. ოსმალეთის სულთანი პირობას დებდა, რომ არ შელახავდა ქრისტიანების უფლებებს;
 5. მოლდოვას სამთავროსა და ბესარაბიაში უნდა დაარსებულიყო რუსეთის გენერალური საკონსულოები;
 6. ოსმალეთმა შავინ გირეი ყირიმის ხანად ცნო;
 7. რუსეთის ჯარს უნდა დაეტოვებინა ყირიმის სახანოს ტერიტორია;
 8. აინალი-კავაკის კონვენციის პირობების ცალმხრივად გაუქმება არ შეეძლო ოსმალეთის სულთანს და მის მემკვიდრეებს;
- რუსეთსა და ოსმალეთს შორის დაძაბული ურთიერთობა ვერც 1779 წლის აინალი-კავაკის კონვენციამ მოაგვარა. 1783 წლის 28 დეკემბერს რუსეთის იმპერიასა და ოსმალეთს შორის კიდევ ერთი შეთანხმება დაიდო. შეთანხმების ძალით, ოსმალეთი ვალდებული იყო, ზუსტად შეესრულებინა ქუჩუკ-კაინარჯის ზავისა (1774 წ.) და აინალი-კავაკის კონვენციით (1779 წ.) ნაკისრი ვალდებულებები.
- ქუჩუკ-კაინარჯის ზავმა (1774 წ.), აინალი-კავაკის კონვენციამ (1779 წ.) და რუსეთ-ოსმალეთის 1783 წლის შეთანხმებამ მნიშვნელოვნად შეასუსტა ოსმალეთის პოზიციები ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთსა და ბალკანეთის ნახევარკუნძულზე. მიუხედავად ამისა, ყირიმის სახანოში ვითარება მაინც ძალზე დაძაბული რჩებოდა.

1780 წელს აინალი-კავაკის კონვენციის თანახმად, რუსეთის ჯარმა ყირიმის სახანოს ტერიტორია დატოვა. რუსეთის ჯარის გასვლამ, ცხადია, წაახალისა ანტირუსული ძალები. ოსმალეთის სულთანს იმედი ჩაესახა, რომ ყირიმის სახანოზე კონტროლის გაძლიერებას შეძლებდა.

1782 წელს შაგინ გირეის ძმის მეთაურობით ყირიმის სახანოში აჯანყებამ იფეთქა. შაგინ გირეი გაიქცა და ენიკალეს სიმაგრეს შეაფარა თავი, სადაც რუსული გარნიზონი იდგა. ენიკალედან ხანი აზოვის ზღვის სანაპიროზე მდებარე პეტროვსკის ფორტი გადავიდა, სადაც ასევე იდგა რუსული გარნიზონი. შაგინ გირეი ტახტზე მესამედ კვლავ რუსეთის ჯარის დახმარებით დაბრუნდა. რუსეთის ჯარი გრიგორი პოტიომკინის სარდლობით ყირიმის სახანოს ტერიტორიაზე შევიდა და შაგინ გირეი კაფაში (ფეოდოსიაში) მიიყვანა. ტახტზე მესამედ დაბრუნებული შაგინ გირეი ყირიმის სახანოს მართვას შეუდგა.

ეკატერინა II-ის დაუინებული მცდელობა, როგორმე შაგინ გირეისათვის ყირიმის ხანის ტახტი შეენარჩუნებინა, იმაზე მეტყველებს, რომ საერთაშორისო ასპარეზზე შექმნილ ძალთა განლაგების გამო რუსეთის იმპერატორი ჯერჯერობით თავს იკავებდა ყირიმის დაპყრობისაგან, სახანოს დამოუკიდებლობის გაუქმებისა და იქ რუსული მმართველობის დამყარებისაგან. ერთი შეხედვით, იქმნებოდა ისეთი შთაბეჭდილება, რომ ეკატერინა II-ს ყირიმის სახანოს დამოუკიდებლობის შენარჩუნება გულწრფელად სურდა.

ყირიმის ხანი შაგინ გირეი რუსეთის იმპერიის პოლიტიკის გატარებისათვის აშკარად შეუფერებელი პიროვნება გამოდგა. მან ყირიმში მშვიდობის დამყარება ვერ შეძლო, ხელისუფლება ვერ განიმტკიცა. ყოველივე ამას, ცხადია, ანგარიშს უწევდნენ პეტერბურგში. ეკატერინა II-მ შაგინ გირეის უკანასკნელად მხარი 1782 წლის ივნისში დაუჭირა. შემდეგ ხანისათვის ლიად დახ-

მარების აღმოჩენისაგან რუსეთი თავს იკავებდა.

1782 წლის შუა ხანებიდან რუსეთის იმპერიამ არა მარტო ყირი-
მის სახანოს მიმართ შეცვალა პოლიტიკა, არამედ საგარეო პოლი-
ტიკის სრულიად ახალ მიმართულებას დაუდო სათავე. მხედველო-
ბაში გვაქვს “საბერძნეთის პროექტის” შემუშავება.

ლიტერატურა:

1. Е.В. Ансимов. Россия В середине XVIII века. Москва, 1986.
2. Е.В. Ансимов. Россия без Петра. Ленинград, 1994.

ლექცია 6. „საბერძნეთის პროექტის“ შექმნის წინა პირობები

რუსეთ-ოსმალეთის 1768-1774 წლების ომმა, ომის შემდეგ შექმნილმა სამხედრო-პოლიტიკურმა ვითარებამ ეკატერინა II დაარწმუნა, რომ ოსმალეთი აზოვისპირეთსა და ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთს, ყირიმის ნახევარკუნძულს, ანუ გეოსტრატეგიულ სივრცეს, მდინარე ყუბანის შავ ზღვაში ჩადინების ადგილიდან მდინარე დუნაის შავ ზღვაში ჩადინების ადგილამდე, ადვილად არ დათმობდა, რადგან სულთანი ამ რეგიონის შენარჩუნებას ოსმალეთის სასიცოცხლო ინტერესად მიიჩნევდა. ქუჩუკ-კაინარჯის ზავის დადებიდან (1774 წ.) XVIII საუკუნის 80-იანი წლების დამდეგამდე განვლილმა პერიოდმა რუსეთის იმპერატორისათვის ცხადი გახადა:

1. რუსეთ-ოსმალეთის დაძაბულ ურთიერთობას თავიანთ სასარგერბლოდ კარგად იყენებდნენ ევროპის დიდი სახელმწიფოები (ინგლისი, საფრანგეთი, ავსტრია, პრუსია). ოსმალეთთან დაბაბული ურთიერთობის პირობებში ევროპის საქმეებში რუსეთის აქტიური სამხედრო ჩარევა სერიოზულ საფრთხესთან იყო და-

კავშირებული. ევროპაში აქტიური პოლიტიკის წარმოებისათვის აუცილებელი იყო იმპერიის სამხრეთ საზღვრების უსაფრთხოება, ანუ აზოვისპირეთისა და შავი ზღვისპირეთიდან ოსმალეთის განდევნა, ყირიმის სახანოს დაპყრობა;

2. აზოვისპირეთისა და შავი ზღვისპირეთიდან ოსმალეთის განდევნა, ყირიმის სახანოს დაპყრობა რომ რუსეთს ევროპაში აქტიური პოლიტიკის გატარების საშუალებას მისცემდა, ცხადია, კარგად ესმოდათ ევროპის დიდ სახელმწიფოებსაც. ამიტომ იყო, რომ ისინი ყოველ ღონეს იხმარდნენ, რათა რუსეთის იმპერიის სამხრეთი საზღვარი კვლავ დაუცველი დარჩენილიყო, ანუ ოსმალეთს აზოვისპირეთი, ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთი და ყირიმის სახანო შეენარჩუნებინა;

3. აზოვისპირეთსა და ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთიდან ოსმალეთის განდევნის, ყირიმის სახანოს დაპყრობის გარეშე რუსეთის იმპერია ბალკანეთის ნახევარკუნძულზე პოზიციებს ვერ მოიპოვებდა, რეგიონიდან ოსმალეთს ვერ განდევნიდა. ბალკანეთის ნახევარკუნძულზე ისმალეთის ბატონობა თავისთავად ხელს უშლიდა რუსეთს მახლობელ აღმოსავლეთში გაჭრაში, ოსმალეთი ჯერჯერობით ბალკანეთის ნახევარკუნძულს ფლობდა, მაგრამ მისი დასუსტების შემთხვევაში ამ გეოსტრატეგიულ რეგიონს შეიძლებოდა ევროპის სახელმწიფოები დაპატრონებოდნენ, რის შემდეგაც მახლობელ აღმოსავლეთში რუსეთის გაჭრა სრულიად უპერსპექტივო ხდებოდა, თანაც დიდი ხნით.

4. აზოვისპირეთისა და ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთიდან ოსმალეთის დანდევნის, ყირიმის სახანოს დაპყრობის გარეშე რუსეთს საშუალება არ მიეცემოდა საფუძვლიანად დამკვიდრებულიყო ჩრდილო კავკასიის ბარში, დაეპყრო ჩრდილო კავკასიის მთიანეთი და, ამრიგად, სამხრეთ კავკასიის დაპატრონებისა და ამ რეგიონიდან მახლობელ აღმოსავლეთში გაჭრისათვის მოემზადებინა ნიადაგი.

5. შექმნილ ვითარებაში, ერთი შეხედვით, ყველაზე რეალური გამოსავალი ის იყო, რომ რუსეთის იმპერიას კიდევ ერთ ომში დაემარცხებინა ოსმალეთი და იძულებული გაეხადა იგი აზოვისპირეთის, ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთისა და ყირიმის სახანოს დაკარგვას შეჰვებოდა, რაც რუსეთს მდინარე ყუბანის შესართავიდან მდინარე დუნაის შესართავამდე ტერიტორიის კონტროლის უფლებას მისცემდა. ეს ერთი შეხედვით მოჩანდა ასე, სინამდვილეში ვითარება გაცილებით რთული იყო. 1735-1739 წლებისა და 1768-1774 წლების ომებმა, მართალია, რუსეთს ოსმალეთზე გამარჯვება მოუტანა, მაგრამ იმპერიის სამხრეთი საზღვრების უსაფრთხოების თვალსაზრისით თითქმის არაფერი შეცვლილა. პრაქტიკულად, გადაუჭრელი დარჩა ყირიმის სახანოს საკითხიც. აუცილებელი იყო სხვა სტრატეგიის შემუშავება.

ეკატერინა II-მ და მისმა ორმა უახლოესმა თანამოაზრემ, ალექსანდრ ბეზბოროტკომ და გრიგორი პოტიომკინმა, ახალ სტრატეგიაზე მსჯელობისას ასეთი დასკვნა გააკეთეს: **ოსმალეთი, როგორც ერთიანი სახელმწიფო, უნდა დაშლილიყო.**

ყირიმის ხან შავინ გირეის მხარდაჭერამ, როგორც აღვნიშნეთ, სასურველი შედეგი ვერ გამოიღო, შავინ გირეის ტახტზე მესამედ აყვანის შემდეგაც კი არ არსებობდა იმის გარანტია, რომ ყირიმში ახალი აჯანყება არ იფეთქებდა. პეტერბურგში დაიწყეს ფიქრი იმის შესახებ, თუ როგორ შეეცვალათ პოლიტიკა ყირიმის სახანოს მიმართ. იმპერატორი ეკატერინა II სულ უფრო და უფრო რწმუნდებოდა იმაში, რომ გრიგორი პოტიომკინისა და ალექსანდრ ბეზბოროტკოს მოსაზრება ყირიმის სახანოს დაუყოვნებლივი დაპყრობის თაობაზე ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება იქნებოდა. 1782 წლის დეკემბერში ეკატერინა II-მ საიდუმლო რესკრიპტი გაუგზავნა გრიგორი პოტიომკინს. იმ-პერატორი წერდა, რომ ყირიმის სახანოში პრორუსული რეჟიმის შენარჩუნებისათვის 7.000 000 რუბლი დაიხარჯა, რუსეთის

ჯარმა გაიღო დიდი მსხვერპლი, თუმცა ყოველივე ამას არანაირი შედეგი არ მოჰყოლია. ეკატერინა II დაასკვნიდა: ყირიმის სახანოს დამოუკიდებლობა უნდა მოისპოს და ხანი რუსეთის ქვეშევრდომი უნდა გახდეს. იმპერატორი მიიჩნევდა, რომ, თუ შესაძლებელი იქნებოდა, ყირიმის სახანოს დამოუკიდებლობის გაუქმება სამხედრო ჩარევის გარეშე, მშვიდობიანი გზით უნდა მომხდარიყო. ახალი პოლიტიკური კურსის შემუშავება და ამოქმედება, ცხადია, ადვილი არ იყო. პეტერბურგში ეს საკითხი დიდხანს და სერიოზულად იხილებოდა. საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას თითქმის ნახევარი წელი მოანდომეს: 1782 წლის ივნისიდან, როცა ეკატერინა II-მ ყირიმის ხანს შაგინ გირეის უკანასკნელად აღმოუჩინა დახმარება, 1782 წლის დეკემბრამდე, როცა ეკატერინა II-მ საიდუმლო რესკრიპტი გაუგზავნა გრიგორი პოტიომკინს. ამრიგად, 1782 წლის დეკემბრისათვის ყირიმის სახანოს საკითხი უკვე გადაწყვეტილი იყო.

ყირიმის ნახევარკუნძულის დამოუკიდებლობის გაუქმებას შეიძლებოდა დიდი გართულებები მოჰყოლოდა. საეჭვო არ იყო ოსმალეთის მხრიდან მწვავე რეაქცია. თუმცა ყველაფერი მაინც იმაზე იქნებოდა დამოკიდებული, თუ რა პოზიციას დაიჭერდნენ ევროპის დიდი სახელმწიფოები. ეკატერინა II მიიჩნევდა, რომ 1782 წლის მიწურულისათვის საერთაშორისო ასპარეზზე ძალა განლაგება რუსეთისათვის სასარგებლო იყო: ძალზე მცირე იყო იმის შანსი, რომ ევროპის დიდი სახელმწიფოების კოალიცია ყირიმის სახანოს დამოუკიდებლობის გაუქმების წინააღმდეგ გამოვიდოდა. სულ უფრო ცხადი ხდებოდა, რომ დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ ამერიკის კოლონიების აჯანყება გამარჯვებით დასრულდებოდა. დიდი ბრიტანეთის მეფე გეორგ III-ს სხვა პრობლემებიც ჰქონდა: დიდი ბრიტანეთი საომარ მდგომარეობაში იმყოფებოდა საფრანგეთთან, ესპანეთსა და პოლანდიასთან. მახლობელ აღმოსავლეთში რუსეთის იმპერიის კონკურენტმა

საფრანგეთმა პოლიტიკა შეარბილა და ნაკლებად აქტიურობდა. დაძაბული რჩებოდა ურთიერთობა დიდ ბრიტანეთთან, ამის მიზეზი იყო ის, რომ ეკატერინა II-მ გეორგ III-ს უარი უთხრა ამერიკაში გასაგზავნად რუსეთში ჯარის დაქირავებაზე.

ომი ამერიკის დამოუკიდებლობისათვის მიმდინარეობდა როგორც ხმელეთზე, ისე ზღვაზე. დიდი ბრიტანეთის ძლიერმა სამხედრო ფლოტმა ამერიკის სანაპიროების ბლოკირება შეძლო, ინგლისელებმა დააკავეს ნეიტრალური ქვეყნების, მათ შორის რუსეთის, სავაჭრო ფლოტის გემები და მათი ტვირთის კონფისკაცია მოახდინეს. ეკატერინა II თვლიდა, რომ ეს უკვე პოლიტიკის ფარგლებს სცდებოდა და ძარცვის ხასიათს იღებდა. 1780 წლის თებერვალში რუსეთის იმპერატორმა **შეიარაღებული ნეიტრალიტეტის** თაობაზე დეკლარაცია გამოაქვეყნა. დეკლარაციაში აღნიშნული იყო, რომ ნეიტრალურ სახელმწიფოებს უფლება ჰქონდათ მეომარ მხარეებთან (დიდ ბრიტანეთსა და ამერიკის კოლონიებთან) ნებისმიერი საქონლით ევაჭრათ, გარდა იარაღისა. ეკატერინა II-ის დეკლარაციას შეუერთდნენ დანია, პრუსია, ავსტრია, პორტუგალია, იტალიის ორივე სამეფო. ამ სახელმწიფოებმა შექმნეს შეიარაღებული ნეიტრალიტეტის ლიგა, რომლის პრინციპები ცნო საფრანგეთმა და ესპანეთმა. ამერიკის შეერთებული შტატების კონგრიენტალური კონგრესი მიესალმა შეიარაღებული ლიგის შექმნას და მისი პრინციპები „**სასარგებლოდ, გონივრულად და სამართლიანად**“ ცნო. დიდი ბრიტანეთი იძულებული გახდა, საერთაშორისო ასპარეზზე ძალთა ახალი განლაგებისათვის ანგარიში გაეწია. შეიარაღებული ნეიტრალიტეტის ლიგის შექმნა რუსეთის იმპერიის დიდი გამარჯვებას მოასწავებდა, რაც ზრდიდა რუსეთის ავტორიტეტს.

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ეკატერინა II-ის დეკლარაცია შეიარაღებული ნეიტრალიტეტის შესახებ აღიქვა, როგორც დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ ომში აშკარა მხარდაჭერა. პეტერ-

ბურგში ჩავიდა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი, იურისტი ფრენსის დეინა. ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესს სურდა, რომ ეკატერინა II-ს ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობა ეცნო. კონგრესის მხრიდან ეს იყო ისეთი მისწრაფება, რომელსაც არანაირი საფუძველი არ გააჩნდა. ეკატერინა II-ის მიერ ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის ცნობა იმას ნიშნავდა, რომ რუსეთს დიდ ბრიტანეთთან იმპერიისათვის მეტად სასარგებლო ვაჭრობაზე უარი უნდა ეთქვა, გამორიცხული არ იყო ორ ქვეყანას შორის ომის დაწყებაც. ეკატერინა II ასეთ ნაბიჯს გადადგამდა, თუ ამას რუსეთის იმპერიის სასიცოცხლო ინტერესები მოითხოვდა. ამ შემთხვევაში კი რუსეთს არანაირი ინტერესი არ გააჩნდა ამერიკის კონფინენტზე. ამიტომ იყო, რომ ფრენსის დეინას მისია უშედეგოდ დასრულდა.

რუსეთისა და ავსტრიის იმპერატორები, ეკატერინა II და იოსებ II, გამოვიდნენ ინიციატივით, რომლის მიზანი იყო დიდ ბრიტანეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ომის დასრულება. ორი საიმპერატორო კარის ინიციატივა იმთავითვე უპერსპექტივო იყო: ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა შეთანხმების პირობად წამოაყენა ყველა 13 შტატის დამოუკიდებლობის ცნობა. 1780 წელს ამ 13 შტატიდან ნაწილის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ დიდი ბრიტანეთის ჯარები იდგა. ეკატერინა II-სა და იოსებ II-ს არ შეეძლოთ შუამავლის როლის შესრულება, რადგან დიდი ბრიტანეთი იმ შტატების ტერიტორიის დატოვებას არ აპირებდა, სადაც ჯერჯერობით მისი ჯარი იდგა, ხოლო ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესი დაუინებით მოითხოვდა ყველა 13 შტატის დამოუკიდებლობის აღიარებას.

მართალია, ეკატერინა II-მ ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის ცნობაზე უარი თქვა, რუსეთისა და ავსტრიის იმპერატორთა საშუამავლო მისიაც უშედეგოდ დასრულდა, მა-

გრამ ყოველივე ამას ამერიკის შეერთებული შტატებისა და რუსეთის ურთიერთობა არ გაუფუჭებია. ამერიკის კონგრესის მადლიერებით აღნიშნავდა იმას, რომ ეკატერინა II-მ დიდ ბრიტანეთს რუსეთში ამერიკაში გასაგზავნი ჯარის დაქირავების უფლება არ მისცა.

რუსეთის იმპერატორ ეკატერინა II-ს (1762-1796) და ავსტრიის იმპერატორ ოოსებ II-ს (1765-1790) ამერიკის კონტინენტზე მიმდინარე ამბებზე მეტად ბალკანეთის ნახევარკუნძულის პრობლემები აწუხებდათ. ოოსებ II დარწმუნდა, რომ რუსეთის იმპერიის შექრას ბალკანეთში თავიდან ვერ აიცილებდა, ამიტომ გადაწყვიტა: ბალკანეთის ნახევარკუნძულიდან ოსმალეთის განდევნაში რუსეთის მოკავშირედ გამოსულიყო და გამარჯვების შემთხვევაში ბალკანეთის ტერიტორიიდან თავისი წილი მიეღო.

ოოსებ II-ისა და ეკატერინა II-ის ახლო ურთიერთობა 10 წელი გაგრძელდა. რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობა მხოლოდ ოოსებ II-ის სუბიექტურ მისწრაფებას არ წარმოადგენდა, ამას ითხოვდა ავსტრიის იმპერიის როგორც საშინაო, ისე საგარეო მდგომარეობა.

ავსტრიის იმპერატორი ოოსებ II აბსოლუტიზმის ეპოქის, შეიძლება ითქვას, ყველაზე კოლორიტული მონარქი იყო. მისი იმპერატორობის წლებს უკავშირდება ავსტრიაში უმნიშვნელოვანესი რეფორმების გატარება: რჯულთშემწყნარებლობის დაკანონება (ამ შემთხვევაში რჯულთშემწყნარებლობა არ ნიშნავდა სხვა რელიგიების კათოლიციზმთან გათანაბრებას, კათოლიციზმი სახელმწიფო რელიგიად რჩებოდა), ბატონყმური დამოკიდებულების გაუქმება, არისტოკრატიის გადასახადებით დაბეგვრისა და გლეხთა მიწების დანაწილების აღკვეთა. ოოსებ II-მ ცნობილი იტალიელ მოაზროვნესა და იურისტს, **ჩეზარე ბეკარიოს**, სისხლის სამართლის ახალი კოდექსის შემუშავება დაავალა. იმპერატორს სურდა დაეკანონებინა ყველა წოდების ადამიანის თანასწორობა

სასამართლოს წინაშე, წაეხალისებინა მანუფაქტურის განვითარება, გაეფართოებინა საერო განათლების ქსელი, აეგო გზები, მოეწესრიგებინა საფოსტო მომსახურება, ხელი შეეწყო მეცნიერებისა და ხელოვნების განვითარებისათვის. ცხადია, იოსებ II-ის მიერ ჩაფიქრებული რეფორმა ვერ განხორციელდა, რაც სხვა მიზეზებთან ერთად, მესამე წოდების უკიდურესმა სისუსტემ, უფრო ზუსტად, არარსებობამ განაპირობა ამიტომ იყო, რომ რეფორმების გატარების პროცესში იმპერატორი არისტოკრატიას დაეყრდნო, რომელსაც არც ბატონიშვილი დამოკიდებულების გაუქმება და არც სხვა რეფორმების გატარება არ სურდა. იოსებ II სიძხელებს არ ეპუებოდა, დაუღალავად შრომობდა, რის სანაცვლოდაც ყველა წოდებისაგან მხოლოდ უმაღლურობა მოიმკო. იმპერატორი ხშირად სვამდა კითხვას: “რატომ არ ვუყვარვარ ჩემს ხალხს?” იოსებ II-ის რეფორმების ჩაშლაში მნიშვნელოვანი როლი მისმა პიროვნულმა თვისებებმაც შეასრულა. იმპერატორი აღმერთებდა არმიას და მიაჩნდა, რომ იმპერატორის უმთავრესი დანიშნულება ომში გამარჯვება და ახალი ტერიტორიების ხელში ჩაგდება იყო. როცა ამ თვალსაზრისით თავის მონაპოვარს რუსეთის იმპერატორ ეკატერინა II-ისა და პრუსიის მეფე ფრიდრიხ დიდის მონაპოვარს ადარებდა, უკმაყოფილო რჩებოდა. ასეთი განწყობა გახლდათ სწორედ იმის მიზეზი, რომ იოსებ II-მ რუსეთისა და ავსტრიის მიერ ბალკანეთის ნახევარკუნძულიდან ოსმალეთის განდევნის და ბალკანეთის ხარჯზე ავსტრიის ტერიტორიის გაფართოება გადაწყვიტა.

ლიტერატურა:

1. **Е.В. Анисимов.** Россия В середине XVIII века. Москва, 1986.
2. **Е.В. Анисимов.** Россия без Петра. Ленинград, 1994.

ლუქტია 7. „საბერძნეთის პროექტი“

ეკატერინა II-თან ბალკანეთის გადანაწილების თაობაზე მოლაპარაკებისათვის იოსებ II-მ შესაფერი დრო შეარჩია: 1780 წელს ეკატერინა II ბელორუსის ტერიტორიაზე მდებარე ქალაქ **მოგილიოვში** ჩავიდა. ბელორუსის ტერიტორია, ლივონიის ნაწილი სხვა ტერიტორიასთან ერთად (92.000 კვადრატული კილომეტრი 1.300.000 მცხოვრებით) რუსეთის იმპერიამ **უეჩ-პოსპოლიტის პირველი დანაწილების (1772 წ.)** შედეგად მიიღო. პოლონეთის პირველი დანაწილების შედეგად, სხვა ტერიტორია-სთან ერთად, ავსტრიამ მიიღო ჩიგალიცია ქალაქ კრაკოვის გარეშე (83.000 კვადრატული კილომეტრი ტერიტორია 2.600.000 მცხოვრებით). პრუსიას წილად ხვდა წერილობური ქალაქ გდანსკის გარეშე და კიდევ სხვა ტერიტორია (36.000 კვადრატული კილომეტრი 580.000 მცხოვრებით). ეკატერინა II-ს სურდა ახლად შეძნილი სამფლობელოები მოენახულებინა. იოსებ II-მ ეკატერინა II-ს აგრძნობინა, რომ მასთან შეხვედრა უნდოდა. რუსეთის იმპერატორი სიამოვნებით დასთანხმდა. ამის მიზეზი მხოლოდ იოსებ II-დმი კეთილგანწყობა არ იყო. უეჩ-პოსპოლიტას პირველი დანაწილების შემდეგ რუსეთ-პრუსიის ურთიერთობა დაიძაბა, ფრიდრიხ II უეჩ-პოსპოლიტას მეორედ დანაწილებით იმუქრებოდა. პრუსია თავს დაჩაგრულად გრძნობდა, რადგან ქალაქი დანცინგი (გდანსკი) მას არ გადაეცა. ეკატერინა II ფიქრობდა, რომ რუსეთი და ავსტრია ერთობლივი ძალებით წინ აღუდგებოდნენ პრუსიის მისწრაფებას.

1780 წელს ეკატერინა II ქალაქ მოგილიოვში ინკოგნიტოდ ჩავიდა **გრაფინია ფელკენშტეინის** გვარით, თუმცა არავისთვის საიდუმლო არ იყო იმპერატორის სტუმრობა. იოსებ II და ეკატერინა II ერთმანეთს თბილად შეხვდნენ. მოლაპარაკება დაიწყო და ისე, რომ პროცესი არ შეწყვეტილა, იმპერატორები მოგილ-

იოვიდან პეტერბურგში გაემგზავრნენ, სადაც თანამშრომლობის პირობები შეათანხმეს კიდეც.

მოვლენათა განვითარებამ ავსტრიის იმპერატორი იოსებ II დაარწმუნა, რომ რუსეთ-ავსტრიის თანამშრომლობა პერსპექტიული და ქვეყნისათვის სასარგებლო იყო. ამავე პერიოდში მოხდა კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვანი მოვლენა, რომლებმაც რუსეთ-ავსტრიის კავშირი კიდევ უფრო გამანტიციცა. 1781 წელს იოსებ II-მ გადაწყვიტა ავსტრიის **ნიდერლანდებში** (ასე უწოდებდნენ იმხანად ბელგიას) გამგზავრებულიყო. იოსებ II-ის დედა, იმპერატორი **მარია-ტერეზა**, თავისი ხანგრძლივი მმართველობის განმავლობაში ერთხელაც არ ყოფილა ბელგიაში, თუმცა, ბელგიელებთან მუდამ ნორმალური ურთიერთობა ჰქონდა: მარია-ტერეზა არ ეროვდა ბელგიის საშინაო საქმეებში, ხოლო ბელგიელები პატიოსნად და დროულად იხდიდნენ გადასახადებს. ეს გადასახადი კი იმდენი იყო, რამდენიც იკრიბებოდა ავსტრიის ყველა გერმანული სამფლობელოდან. მარია-ტერეზა ცდილობდა ამ ურთიერთობის შენარჩუნებას და სიცოცხლის ბოლომდე მომავალ იმპერატორ იოსებ II-ს ბელგიაში გამგზავრებისა და იქაურ საქმეებში ჩარევის უფლებას არ აძლევდა. 1781 წელს ბელგიაში ჩასულ იოსებ II-ს ისეთი ვითარება დახვდა, რომ იმპერატორი შეძრნუნდა: ბელგია, როგორც ერთიანი პოლიტიკური ერთეული არ არსებობდა. არ არსებობდა ადმინისტრაციული სისტემა, ყველგან ქაოსს დაესადგურებინა. მთავარი კი მაინც ის იყო, რომ ერთიანი ბელგიის ნაცვლად ქალაქები და საგრაფოები არსებობდნენ, რომლებიც ადრეულ შუა საუკუნეებში შემუშავებული კანონებით იმართებოდა. იოსებ II-მ გადაწყვიტა, მმართველობის ძველი ფორმები გაეუქმებინა და მთელი ბელგიისათვის ერთიანი ადმინისტრაციული მმართველობა შემოეღო. ავსტრიის იმპერატორი სასტიკ წინააღმდეგობას წააწყდა, მისი გაცემული ბრძანებები არ სრულდებოდა. ასეთ ვითარებაში იოსებ II-მ გადაწყვიტა

ნაცადი ხერხისათვის მიემართა. ჩანაფიქრი ასეთი იყო: ბავარიის კურფურსტი ბელგიაში მოეწვია და მასთან მოლაპარაკების შედეგად ბელგიელები და ბელგია უფრო კანონმორჩილ გერმანელებში გაეცვალა. ბავარიის მიწის (პროვინციის) კრებამ ასეთ შეთავაზებაზე უკიდურესი აღმფოთებით უპასუხა. იოსებ II-ის გეგმას უარყოფითად შეხვდნენ მთელ გერმანიაში. პრუსიის მეფე ფრიდრიხ II ავსტრიის იმპერატორ იოსებ II-ს ლიად არ დაპირისპირებია, თუმცა მის წინააღმდეგ გერმანელი თავადები დარაზმა. კონფლიქტი დიდხანს გაგრძელდა. პრუსიელები უკან არ იხევდნენ. ამ დაპირისპირებაში ჩამოყალიბდა გერმანელი თავადების კონფედერაცია(ფიურსტენბუნდი), რომელიც ავსტრიის იმპერატორის პოლიტიკას ლიად დაუპირისპირდა. კონფედერაციაში შევიდა თითქმის ყველა გერმანული სამფლობელო. აღსანიშნავია, რომ კონფედერაციის წევრი გახდა პრუსიის მეფე ფრიდრიხ II და ჰანოვერის კურფურსტი (დიდი ბრიტანეთის მეფე გეორგ III). იოსებ II-მ უკან დაიხია და მომხდარის შესახებ დაასკვნა, რომ გერმანული მიწების ხარჯზე ავსტრიის იმპერიის საზღვრების გაფართოება უპერსპექტივო იყო. რჩებოდა ერთადერთი გამოსავალი: რუსეთის იმპერიასთან კავშირში ოსმალეთის განდევნა ბალკანეთის ნახევარკუნძულიდან და იმპერიის სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვრის ბალკანეთის სიღრმეში გადაწევა.

1781 წლის თებერვალში ავსტრიის იმპერიის ელჩმა პეტერბურგში ლუდვიგ ფონ კობენცლიმ რუსეთის საიმპერატორო კარს იოსებ II-ის სახელით აცნობა: „ჩვენ შორის დღევანდელი მეგობრობა და კეთილი ნების თანხმობა გაფორმდეს თავდაცვითი ტრაქტატითა და ურთიერთგარანტიის ხელშეკრულებით.“ ელჩმა დაუყოვნებლივ მიიღო დადებითი პასუხი. მომავალი ტრაქტატის მუხლებიც სასწრაფოდ განისაზღვრა. სრულიად მოულოდნელად წარმოიშვა უთანხმოება: იოსებ II-მ უარი განაცხადა, ტრაქტატის ტექსტზე მისი ხელმოწერა ეკატერინა II-ის ხელრთვის შემდეგ

ყოფილიყო, თუნდაც მეორე ეგზემპლარზე, რომელიც რუსულ მხარეს უნდა გადასცემოდა. ავსტრიის იმპერატორის ამ მოთხოვნას ეკატერინა II-მ ამაყად უპასუხა: „**მე ასეთი წესი მაქვს: არავის ადგილი არ წაართვა, მაგრამ არც შენი ადგილი დაუთმო ვინმეს!**“

საბოლოოდ ეკატერინა II-მ გამოსავალი მაინც იპოვა: ხელშეკრულება არ გაფორმდებოდა ერთი დოკუმენტის (ტრაქტატის) სახით, რომელზეც ორივე იმპერატორს უნდა მოეწერა ხელი, არა ამედ მონარქები ხელშეკრულების შინაარსს გადაიტანდნენ წერილებში, რომლებსაც ისინი ერთმანეთში გაცვლიდნენ. ეკატერინა II-მ ასეთი წერილი იოსებ II-ს **1781 წლის 21 მაისს** გაუგზავნა, ხოლო იოსებ II-მ ეკატერინა II-ს – **1781 წლის 24 მაისს**. მონარქები შეთანხმდნენ იმ ღონისძიებების თაობაზე, რომელიც ევროპაში მშვიდობის დაცვის გარანტია იქნებოდა:

1. თუ ერთი ხელშემკვრელ მხარეს თავს დაესხმოდა მესამე სახელმწიფო, მაშინ მეორე ხელშემკვრელი მხარე ვალდებული იყო მოკავშირისათვის დახმარება აღმოუჩინა სამხედრო ძალით ან ფულადი სუბსიდიით, რომლის ოდენობაც განსაზღვრული იყო.

2. ავსტრიის იმპერია რუსეთს სამხედრო და ფინანსურ დახმარებას არ აღმოუჩინდა, თუ რუსეთი ომს დაიწყებდა აზის კონტინენტზე; რუსეთი ავსტრიას სამხედრო და ფინანსურ დახმარებას არ აღმოუჩინდა, თუ ავსტრია ომს დაიწყებდა იტალიის ტერიტორიაზე.

3. ეკატერინა II და იოსებ II ვალდებულებას იღებდნენ დაეცვათ პოლონეთის ტერიტორიის მთლიანობა და ქვეყნის კონსტიტუცია (იგულისხმებოდა ჟეჩ-პოსპოლიტას ის ტერიტორია, რომელიც პირველი დანანილების შედეგად ჯერ კიდევ დამოუკიდებელი დარჩა);

4. პრუსიისმეფეფრიდრიხII-საშკარადაგრძნობინეს, უარიეთქვა თავისაგრესიულგეგმებზედაპოლონეთისპირველადდანაწილების შედეგად მიღებული ტერიტორიით დაკმაყოფილებულიყო.

რუსეთ-ავსტრიის შეთანხმებას ჰქონდა საიდუმლო მუხლიც: იოსებ II ცნობდა ქუჩუკ-კაინარჯის ზავს (1774 წ.) და აინალი-კავალის კონვენციას (1779 წ.), ეკატერინა II აღიარებდა ავსტრია-ოსმალეთის ომის შედეგს, იოსებ II ვალდებულებას იღებდა, რუსეთ-ოსმალეთის ომის დაწყების შემთხვევაში ოსმალეთის წინააღმდეგ იმდენი ჯარი გამოეყვანა, რამდენსაც გამოიყვანდა რუსეთი.

ეკატერინა II ზეიმობდა, იმპერასტროს სჯეროდა, რომ ოსმალეთი რუსეთისა და ავსტრიის წინააღმდეგ ბრძოლას ვერ გაუძლებდა და აუცილებლად დამარცხდებოდა. რუსეთ-ავსტრიის კავშირის შექმნა მართლაც დიდი გამარჯვების მომასწავებელი იყო, რუსეთის საიმპერატორო კარზე გარკვეული გაებით ეიფორიამ დაისადგურა. აი, სწორედ ამ მიღწეული გმარჯვებების ფონზე იშვა „საბერძნეთის პროექტი“. პროექტის ძირითადი შინაარსი ეკატერინა II-მ იოსებ II-სთვის გაგზავნილ კონფიდენციალურ წერილში ჩამოაყალიბა. წერილის შავი ვარიანტი ალექსანდრ ბეზბოროდეკოს ეკუთვნის, რომელშიც გარკვეული ცვლილებები გრიგორი პოტიომკინმაც შეიტანა. მას თარიღად 1782 წლის 10 (21) სექტემბერი უზის. წერილი გეოპოლიტიკური ხასიათისა იყო, იგი სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის რუკის შეცვლას ითვალისწინებდა.

ეკატერინა II-ის 1782 წლის 10 (21) სექტემბრის წერილს სათაური არ აქვს. ამ გეოსტრატეგიული პროექტისათვის „საბერძნეთი პროექტი“ შემთხვევით არ უწოდებიათ. ევროპის ქვეყნები დიდი ინტერესით ეკიდებოდნენ ძველი ელადის კულტურას, ფილოსოფიური აზრის მიღწევებს, სწავლობდნენ ათენის დემოკრატიის გამოცდილებას. ელინოფილი იყო XVIII საუკუნის თითქმის ყველა ევროპელი მონარქი, მათ შორის ეკატერინა II-ც. ევროპის ქვეყნებში არსებული ბერძნული დიასპორის წარმომადგენლები მონარქებს ოსმალთა ბატონობისაგან საბერძნეთის გათავისუფლებისაკენ მოუწოდებდნენ. პოლიტიკური მოსაზრე-

ბით, ეკატერინა II-მ თავისი გეოსტრატეგიული პროექტი სწორედ საბერძნეთის განთავისუფლებას დაუკავშირა. იმპერატორმა თავის მეორე შვილიშვილს (პაველ I-ის მეორე ვაჟს) ბიზანტიის იმპერატორებში განსაკუთრებით პოპულარული სახელი კონსტანტინე უწოდა. ჯერ კიდევ ჩვილ კონსტანტინეს ბეპიამ დიდი მომავალი უწინასწარმეტყველა. კონსტანტინესადმი მიძღვნილი ოდის ავტორმა ვასილი პეტროვმა ახალშობილს ასეთი სიტყვებით მიმართა: „**მეხი და საშინელება ჩალმოსნებს. კონსტანტინე დიდი დაიბადა!**“ ჩვილის ძიძა ბერძენი ქალი იყო. უფლისნულმა ბერძნული ენა ბავშვობიდანვე შეითვისა, მას ზრდიდნენ, როგორც აღორძინებული ბიზანტიის მონარქს.

დავუბრუნდეთ 1882 წლის 10 (21) სექტემბრის წერილს. წერილი ასე იწყება: ოსმალეთი დაბრკოლებას უქმნის რუსეთის გემების მოძრაობას ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებში, ყირიმის მოსახლეობას რუსეთის წინააღმდეგ აჯანყებისაკენ მოუწოდებს, არღვევს დუნაის სამთავროების (მოლდოვის, ვლახეთის, ბესარაბიის) ავტონომიურ უფლებებს. ოსმალეთის ანტირუსული ქმედებების ჩამოთვლის შემდეგ ეკატერინა II საგანგებოდ აღნიშნავს, რომ იგი მშვიდობისმოყვარეა: „**მე არაფერი ისეთის მიღწევას არ ვცდილობ, რაც დადგენილი არ არის ხელშეკრულებებით.**“ ეკატერინა II ფიქრობდა, რომ მისი მშვიდობისმოყვარე განწყობილება შეიძლებოდა ავსტრიის იმპერატორ იოსებ II-ს ისე გაეგო, თითქოს რუსეთი ოსმალეთთან ომს არ აპირებდა. ამიტომ იყო, რომ რუსეთის იმპერატორი წერილში ავსტრიის იმპერატორს სთავაზობდა: დავდოთ „**საიდუმლო კონვენცია იმ სავარაუდო ტერიტორიული შენაძენების შესახებ, რომელთა დათმობასაც ჩვენ მშვიდობის დამრღვევს (ე.ი. ოსმალეთს – ვ. გ.) ვაიძულებთ**.“ ეკატერინა II-მ ძალები არ დაზოგა და რაც შეიძლებოდა მუქ ფერებში დახატა ოსმალეთის იმპერიის ნგრევის შედეგად შექმნილი ვითარება: ფაშები თვითნებობენ, ბანდიტები ძარცვავენ ქალაქებსა და

სოფლებს, იანიჩრები ვაჭრობით არიან დაკავებულნი, ოსმალეთის დივანის წევრები ხაზინას ძარცვავენ, ქრისტიანი მოსახლეობა მზადაა აჯანყებისათვის.

წერილის მომდევნო ნაწილში ჩამოყალიბებული იყო მთავარი სათქმელი. ეკატერინა II წერდა:

1. მიზანშეწონილი იქნება, რუსეთის, ოსმალეთისა და ავსტრიის იმპერიებს შორის შეიქმნას ბუფერული სახელმწიფო, რომელიც სამი იმპერიისაგან არც ერთს არ დაექვემდებარება;

2. ბუფერულ სახელმწიფოში უნდა შევიდნენ: მოლდოვა, ვლახეთი, ბესარაბია. სახელმწიფოს უნდა ეწოდოს დაკია, მას ეყოლება ქრისტიანი მონარქი. დაკია არასდროს არ უნდა შეუერთდეს ავსტრიას ან რუსეთს;

3. რუსეთს სურს დაეუფლოს შავი ზღვის სანაპიროს, კერძოდ, მდინარე დნეპრის შესართავში არსებული ოჩაკოვის სიმაგრეს და ტერიტორიას, რომელიც მდინარეებს ბუგსა და დნესტრს შორის მდებარეობს;

4. თუ ღმერთი ინებებს, ევროპა განთავისუფლდეს მტრისა-გან (იგულისხმობოდა ბალკანეთის ნახევარკუნძულის გათავისუფლება ოსმალთა ბატონობისაგან – ვ. გ.), „იმედი მაქვს ავსტრიის იმპერატორი უარს არ იტყვის დამეხმაროს დღეს გაბატონებული ბარბაროსული მმართველობის (ოსმალეთის – ვ. გ.) ნანგრევებზე

ლიტერატურა:

1. Г. Л. Арш. О Греческом проекте Екатерины II. Москва, 2013
2. Век Екатерины II: Дело Балканские. Москва, 2000
3. Век Екатерины II: Россия и Балканы. Москва, 1998

ლექცია 8. იყო თუ არა რეალური „საბერძნეთის პროექტი“?

დოკუმენტურად არ დასტურდება, რომ ეკატერინა II ნამდვილად აპირებდა „საბერძნეთის პროექტის“ რეალიზებისათვის ბრძოლის დაწყებას. გრიგორი პოტიომკინთან გაგზავნილი წერილებიდან დასტურდება, რომ რუსეთის იმპერატორი სავსებით რეალისტურად აზროვნებდა. ეკატერინა II წერდა: „სხვადასხვა მიზეზის გამო ოფომანის იმპერიის პოლიტიკური სისტემა ჯერ კიდევ შორსაა საბოლოო დანგრევისაგან“. დაახლოებით ასევე ფიქრობდა გრიგორი პოტიომკინიც. მისი აზრით, მომავალში რუსეთ-ოსმალეთის საზღვარი შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროზე უნდა გასულიყო, ანუ ოსმალეთს უნდა დაეთმო ტერიტორია მდინარე ყუბანის შესართავიდან მდინარე დუნაის შესართავამდე, მაშასადამე, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში უნდა შესულიყო: მდინარე ყუბანის შესართავი, აზოვის სტეპი, ყირიმის სახანო, მოლდოვას, ბესარაბიისა და ვლახეთის სამთავროები.

ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ „საბერძნეთის პროექტი“ არ ემყარებოდა რეალურ გეოსტრატეგიულ ვითარებას. მართალია, ოსმალეთის იმპერია სერიოზულად იყო დასუსტებული და გამორიცხული არ იყო, რომ რუსეთისა და ავსტრიის ომი მის წინააღმდეგ ამ უკანასკნელის სერიოზული მარცხით დასრულდებოდა, არსებობდა მეორე რეალობაც: ევროპის დიდ სახელმიწფოებს (დიდ ბრიტანეთს, საფრანგეთს, პრუსიას) სურდათ ოსმალეთის მკურნალის და არა მესაფლავის როლში გამოსულიყვნენ. ოსმალეთის ტერიტორიის ხარჯზე რუსეთისა და ავსტრიის გაძლიერებას ევროპის სახელმწიფოები არ დაუშვებდნენ.

ყოველივე ზემოთ თქმული, ცხადია, კარგად ჰქონდა გააზრებული რუსეთის იმპერატორ ეკატერინა II-სა და ავსტრიის იმპერატორ იოსებ II-ს. ამასთან ერთად, არ შეიძლება ყურადღების

გარეშე დარჩეს ფსიქოლოგიური ფაქტორი. ეკატერინა II, პირველ რიგში, ადამიანი იყო და მისთვის სულაც არ იყო უცხო გან-დიდებისაკენ მისწრაფება, დიდი წარმატებებით თავბრუდახვევა, სასურველის რეალობად წარმოსახვა. მიუხედავად ამისა, არ შეიძლება „საბერძნეთის პროექტი“ ფანტაზიის ნაყოფად მივიჩნიოთ. „საბერძნეთის პროექტი“ წარმოადგენდა ბალკანეთში შეჭრის გეო-სტრატეგიული კურსის ახალ ეტაპს. პირველი ეტაპი, როგორც აღვნიშნეთ, პიოტრ I-ის პრუტის ლაშქრობით (1711 წ.) დაიწყო და უშედეგოდ დასრულდა. დოკუმენტურად დადასტურებულია, რომ ეკატერინა II-ს იოსებ II-თან კავშირში ბალკანეთიდან ოსმალეთის გაძევება და იქ დამკვიდრება ენადა. ბოლომდე გარკვეული არ არის, „საბერძნეთის პროექტში“ რატომ არ იყო საუბარი სლავი ხალხების ერთობის შესახებ, რატომ არ იყო აღნიშნული, რომ ბალკანეთის ნახევარკუნძულის ახალი რუკის შედგენისას ამოსავალი პრინციპი ეროვნულობა უნდა ყოფილიყო, ანუ ყველა ერთ ადმინისტრაციულ სივრცეში უნდა აღმოჩენილიყო. თავის დროზე საბჭოთა ისტორიოგრაფიამ „საბერძნეთის პროექტი“ რუსეთის იმპერიის, კონკრეტულად, ეკატერინა II-ის დამპყრობლური პოლიტიკის მხილებისათვის გამოიყენა. დასავლეთ ევროპის ქვეყნების ისტორიაში კი „საბერძნეთის პროექტი“ არსებდა, როგორც რუსეთის დიდმპყრობელური პოლიტიკის ეტალონი.

გარკვევით უნდა აღინიშნოს, რომ არც საბჭოთა ისტორიოგრაფიისა და არც დასავლეთ ევროპის ქვეყნების ისტორიოგრაფიის შეფასება არ ასახავს სინამდვილეს. დოკუმენტურადაა დადასტურებული, რომ ეკატერინა II ქუჩუკ-კაინარჯის ზავის (1774 წ.) შემდეგ ესწრაფოდა ხელში ჩაეგდო ოჩაკოვის სიმაგრე (მდინარე დნეპრის შესართავი) და შავი ზღვის სანაპირო მდინარე დნეპრის შესართავიდან მდინარე დნესტრის შესართავამდე. რაც შეეხება ბალკანეთის ნახევარკუნძულს, ეკატერინა II აქ ქრისტიანი ერების სახელმწიფოთა შექმნას აპირებდა და უარს ამბობდა ბალკანეთის

უშუალოდ რუსეთის იმპერიასთან მიერთებაზე. ამ შემთხვევაში იმპერატორი ითვალისწინებდა იმას, რომ ევროპის დიდი სახელმწიფოები არ დაუშვებდნენ ბალკანეთის ნახევარკუნძულის რუსეთის იმპერიის ნაწილად გადაქცევას, მაგრამ ნაკლები აგრესით შეხვდებოდნენ ბალკანეთიდან ოსმალეთის განდევნის შემდეგ რეგიონში ქრისტიანული სახელმწიფოების შექმნას. ცხადია, ეკატერინა II გულისხმობდა, რომ ბალკანეთის ნახევარკუნძულზე შექმნილი სახელმწიფოები პროტურული ორიენტაციისა უნდა ყოფილიყვნენ.

ზემოთ აღნიშნული იყო, რომ 1711 წელს რუსეთის 130-ათასიანმა არმიამ მდინარე პრუჭი გადალახა და წინსვლა განაგრძო. რეალობას არ შეეფერება მტკიცება, თითქოს პიოტრ I-მა პრუჭის ლაშქრობა იმიტომ წამოიწყო, რომ შევდეთის მეფე კარლოს XII-მ პოლტავასთან განცდილი მარცხის შემდეგ თავი ისმალეთს შეაფარა და ყველანაირად ცდილობდა ოსმალეთის ჩაბმას რუსეთის წინააღმდეგ ომში. პიოტრ I-ს ფართო გეოსტრატეგიული გეგმები ჰქონდა. ამ გეგმების შესახებ შეიძლება ვიმსჯელოთ 1711 წლის 8 მაისის მანიურუსტით, რომელიც მან პრუჭის ლაშქრობის წინ გამოსცა. მანიურუსტში ნათქვამი იყო: “ამ ომში ჩვენ ძალაუფლები-ს მოყვარეობის, ტერიტორიის გაფართოებისა და გამდიდრების სურვილი არ გვამოძრავებს. ჩვენ გვსურს, ღმერთის შემწეობით, მტრის მიერ მიტაცებული მიწების, ქალაქებისა და სიმდიდრის დაბრუნება.” მანიურუსტში აღნიშნული იყო, რომ პიოტრ I-ის სურვილს ბალკანეთში რუსეთის პროტექტორატით ქრისტიანული სახელმწიფოების შექმნა წარმოადგენდა. შექმნილ ვითარებაში იმპერატორის გეოსტრატეგიული გეგმა ვერ განხორციელდა.

„საბერძნეთის პროექტი“ პიოტრ I-ის გეოსტრატეგიული პროექტის მეორე ეტაპს წარმოადგენდა. პიოტრ I-ის გეოსტრატეგიულ პროექტთან ეკატერინა II-ის გეოსტრატეგიულ პროექტს საერთო ჰქონდა ის, რომ იგი არ ითვალისწინებდა ბალკანეთის ნახევარკუნ-

ძულის დაპყრობასა და რუსეთის იმპერიასთან შეერთებას. როგორც ალვნიშნეთ, „საბერძნეთის პროექტის“ მიზანს პალკანეთის ნახევარკუუნძულიდან ოსმალეთის განდევნა და რეგიონში რუსეთის პროტექტორატი ქრისტიანული სახელმწიფოების შექმნა წარმოადგენდა.

შემთხვევითი არ იყო, რომ „საბერძნეთის პროექტი“ რუსეთისა და ავსტრიის დაახლოების, სამხედრო-პოლიტიკური კავშირის ჩასახვისა და ყირიმის სახანოს დამოუკიდებლად არსებობის გამო წარმოქმნილი კრიზისის პროცესში აღმოცენდა. ეკატერინა II იოსებ II-ის მიმხრობით ორი მიზნის მიღწევას ცდილობდა: 1. რუსეთის იმპერატორს სურდა, ჩაექალა ავსტრიის საიმპერატორო კარზე კანცლერ ვენცელ ანტონ კაუნიცის მცდელობით შექმნილი ოსმალეთის გადანაწილების გეგმა; 2. ეკატერინა II ცდილობდა თავიდან აეცილებინა ის მოსალოდნელი წინააღმდეგობა, რომელიც ყირიმის სახანოს გაუქმებასთან დაკავშირებით რუსეთს ავსტრიის მხრიდან ელოდა.

ეკატერინა II-ის 1782 წლის 10 (22) სექტემბრის წერილში ავსტრიის იმპერატორ იოსებ II- დმი ერთი სიტყვაც არ იყო ნათქვამი ყირიმის სახანოს შესახებ, მაგრამ აშკარა იყო, რომ რუსეთის იმპერატორი სახანოს გაუქმების საკითხს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. წერილის მომზადების პროცესში გრიგორი პოტიომპინმა ეკატერინა II-ს საგანგებო მოხსენებით მიმართა. მოხსენებაში ყურადღებას იქცევს ორი ფრაზა: „ყირიმი თავისი მდებარეობით ორად ყოფს ჩვენს საზღვარს“; „ყირიმის შემოერთება თქვენ არც გაგაძლიერებთ და არც გაგამდიდრებთ, მხოლოდ სიმშვიდეს მოგანიჭებთ“. როგორც ვხედავთ, გრიგორი პოტიომპინის აზრით, ყირიმის რუსეთთან შეერთებას ერთადერთი, სტრატეგიული, მიზანი ჰქონდა, სხვა სარგებლობას აქედან ეკატერინა II-ის ფავორიტი არ მოელოდა. გრიგორი პოტიომპინი ისმალეთთან ახალ ომს არ გამორიცხავდა და, თუ ომი დაიწყებოდა, გამარ-

ჯვების შემთხვევაში რუსეთი მდინარე დუნაის შესართავს უნდა დაუფლებოდა. ამასთან დაკვშირებით ფავორიტი იმპერატორს სწერდა: თქვენ კი არ უნდა სთხოვდეთ ოსმალეთს ბოსფორის სრუტეში გასვლის უფლებას, არამედ ოსმალეთი უნდა ითხოვდეს დუნაიდან შავ ზღვაში გემების გატარების ნებართვას. 1787-1791 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომში რუსეთმა დუნაის შესართავში მდებარე ძლიერი სიმაგრე იზმაილი აიღო, მაგრამ გრიგორი პოტიომკინის გეგმა მაინც განუხორციელებელი დარჩა.

1783 წლის 8 აპრილს ეკატერინა II-მ ხელი მოაწერა პროკლა-მაციას ყირიმის სახანოს რუსეთის იმპერიასთან შეერთების შესახებ. ალექსანდრ სუვოროვმა ყირიმის შეერთების ოპერაცია შაგინ გირეისთან შეთანხმებით ბრწყინვალედ ჩატარა. ალექსანდრ სუვოროვმა ეკატერინა II-ის ტახტზე ასვლის დღის აღსანიშნავი ზეიმით ისარგებლა და ზეიმზე შაგინ გირეისთან ერთად ყირიმელი თათრების მთელი ზედაფენა მიიჩვია. ზეიმზე მისულ ყირიმელებს თან ახლდა მრავალრიცხოვანი ამაღა. საბოლოოდ თავი რამდენ-იმე ათასმა კაცმა მოიყარა. დაიწყო დიდი ლხინი. ყირიმელებმა კარგად იცოდნენ, რომ ყურანი ღვინის დალევას კრძალავდა, მა-გრამ, მათი აზრით, არყის სმა ნებადართული იყო. ცხადია, არყის მოსურნე ყირიმელმა თათრებმა ყურანის შესაბამისი სურა თავი-ანთ სასარგებლოდ განმარტეს. ზეიმზე შეკრებილთა წინაშე ყირ-იმის ხანი შაგინ გირეი გამოვიდა და განაცხადა, რომ მან ხანის უფლება-მოვალეობები მოიხსნა. ამის შემდეგ წაიკითხეს გრიგორი პოტიომკინის მიერ შედგენილი მანიფესტი. მანიფესტი ყირიმელ თათრებს მოუწოდებდა რუსეთის იმპერატორის ერთგულების ფიცი დაედოთ. ყირიმელი თათრების სულიერმა ლიდერებმა იმ-პერატორის ერთგულება ყურანზე დაფიცებით დაადასტურეს. მათი მიბაძვით იგივე მოიმოქმედეს ზეიმზე შეკრებილებმაც, რის შემდეგაც ლხინი გაგრძელდა. ეკატერინა II-მ დიდად გაიხარა ყირიმის სახანოს შეერთებით, თუმცა სიხარულთან ერთად იმპერა-

ტორს სერიოზული საფიქრალიც გაუჩნდა. ეკატერინა II გრიგორი პოტიომკინს სწერდა: „ყოველ წუთს ველოდები ფრანგებისა და პრუსიელებისაგან შეგულიანებული ოსმალეთის მიერ ომის გამოცხადებას. მართალია, იმპერატორი შიშობდა, მაგრამ ყირიმის სახანოს შეერთების დრო იმდენად კარგად იყო შერჩეული, რომ მას საერთაშორისო გართულება არ მოჰყოლია. საფრანგეთს სულ ახალი დასრულებული ჰქონდა ომი დიდ ბრიტანეთთან, რის გამოც რუსეთის იმპერიასთან ურთიერთობის დაძაბვას მოერიდა. საფრანგეთის პოზიციას ოსმალეთის სულთნის კარზე დიდი უკმაყოფილება მოჰყვა, თუმცა საფრანგეთმა პოზიცია მაინც არ შეიცვალა. საფრანგეთის ელჩმა სტამბოლში ოსმალეთის დიდ ვეზირს ურჩია, მომხდარს შერიგებოდა. პრუსის მეფეს, ფრიდრიხ II-ს, დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა ავსტრიის იმპერატორ იოსებ II-თან, რის გამოც მანაც რადიკალური მოქმედებებისაგან თავი შეიკავა. იოსებ II-მ თავის მოკავშირეს, ეკატერინა II-ს, ყირიმის შეერთება მიულოცა.

ამრიგად, რუსეთის იმპერიამ 1783 წლის გაზაფხულზე ყირიმის შეერთების საკითხი უმტკივნეულოდ, ომის გარეშე გადაწყვიტა, თუმცა ეს საკითხი საერთაშორისო ურთიერთობებში აქტუალობას არ კარგავდა. რაც მთავარია, ოსმალეთი ყირიმის დაკარგვას არ შეურიგდებოდა.

ლიტერატურა:

- О. П. Маркова.** О происхождении так называемого греческого проекта (80-е годы XVIII в.) Проблемы методологии и источниковедения внешней политики России. Москва, 1986. стр. 5-46.
- О. П. Маркова.** Происхождение так называемого Греческого проекта - „История СССР“, 1958. N4, стр. 52-78.

ლექცია 9. საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობა „საბერძნეთის პროექტამდე“

„საბერძნეთის პროექტი“ დაკავშირებული იყო საქართველოსთან, კერძოდ, ამ გეოსტრატეგიულმა პროექტმა მნიშვნელოვანი კორექტივი შეიტანა ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიის ურთიერთობაში იმ მხრით, რომ მან დააჩქარა გეორგიევსკის ტრაქტატის (1783 წ.) დადება. „საბერძნეთის პროექტის“ შეფერხებამ განაპირობა ცვლილებები რუსეთის კავკასიურ პოლიტიკაში, რაც საბოლოოდ იმით დასრულდა, რომ ეკატერინა II-მ უარი თქვა გეორგიევსკის ტრაქტატით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

რუსეთის კავკასიური პოლიტიკა დიდი ხნის განმავლობაში ყალბიდებოდა, დროდადრო იხვეწებოდა და იცვლებოდა. სამხრეთ კავკასიაში პოზიციების მოპოვება პირველად რუსეთის მეფე პიოტრ I-მა (1696-1725) სცადა. 1796 წელს რუსეთი აზოვისპირეთიდან ოსმალეთის განდევნას შეეცადა. რუსეთის ჯარმა მდინარე დონის შესართავში აზოვის ძლიერი სიმაგრე აიღო. 1700 წელს სტამბოლში რუსეთსა და ოსმალეთს შორის საზავო ხელშეკრულება დაიდო. პიოტრ I ხელშეკრულებაში, სხვა ტიტულებთან ერთად, თავის თავს „ივერიის ქვეყნის, ქართლისა და საქართველოს მეფეების მპრძანებელსა და ხელმწიფეს“ უწოდებს. 1722 წელს რუსეთის ჯარი დარუბანდის გავლით კასპიისპირეთში შეიჭრა და ირანის პროვინციების დაკავებას შეეცადა. ირანის წინააღმდეგ რუსეთის მოკავშირედ გამოვიდა ქართლის მეფე ვახტანგ VI. იგი დიდი მხედრობით რუსეთის ჯარს უნდა შეერთებოდა, მაგრამ მოულოდნელად პიოტრ I-მა ლაშქრობა შეწყვიტა და ქართლის მეფე მისი პრორუსული ორიენტაციით გაღიზიანებული ირანისა და ოსმალეთის წინააღმდეგ მარტო დატოვა. ვახტანგ VI-ის პრორუსული ორიენტაცია ძვირად დაუჯდა ქართლის სამეფო

სახლს. მეფემ ტახტი დაკარგა და რუსეთში გადაიხვენა. ქართლი და კახეთი ოსმალეთს დარჩა. 1723 წელს პიოტრ I-მა ლაშქრობა განახლა და ბაქო აიღო. 1723 წლის პეტერბურგის ზავით და-სუსტებულმა ირანმა რუსეთს დარუბანდი, ბაქო, გილიანის, მა-ზანდარანისა და ასტრაბადის პროვინციები დაუთმო. 1724 წლის სტამბოლის ზავით ოსმალეთმა რუსეთის მიერ ირანის ტერიტო-რის მიტაცება აღიარა.

ამრიგად, 1723-1724 წლებში სამხრეთ კავკასიაში რუსეთის შეჭრა და ირანის ტერიტორიის მიტაცება ორი საერთაშორისო ხელშეკრულებით, პეტერბურგისა და სტამბოლის ზავებით, დადა-სტურდა.

სამხრეთ კავკასიაში რუსეთ-ოსმალეთის გარიგებას ბოლო მოუღო ირანის სამხედრო მინისტრმა ნადირ ხანმა (ირანის შაჰი 1736-1747 წლებში). პიოტრ I-ის მემკვიდრეები იძულებული გახდნენ, ადრე მიტაცებული ტერიტორიები ნელ-ნელა დაეთმოთ. 1735 წელს ნადირ ხანი კავკასიაში ოსმალთა ერთ-ერთ მთავარ დასაყრდენს, განჯის ციხეს შემოადგა. თბილისში გამაგრებული ოსმალო ფაშა განჯის გარნიზონის დასახმარებლად ემზადებოდა. კახეთის სამეფო სახლის ნარმომადგენლებმა, ერეკლე I ნაზარალი ხანის ვაჟმა თეიმურაზმა (მომავალი მეფე თეიმურაზ II) და თეიმურაზის ძემ, ერეკლემ (მომავალი მეფე ერეკლე II), შექმნილი უალრესად რთული სამხედრო-პოლიტიკური ვითარება სწორად შეაფასეს და ძალთა ახალი თანაფარდობის პირობებში პროირანული ორიენტაცია ირჩიეს. მამა-შვილმა თბილისიდან განჯის გარნიზონის დასახმარებლად დაძრული ოსმალთა ჯარი გაფანტა და ნადირ ხანს განჯის აღებაშიც დაეხმარა. განჯიდან ნადირ ხანი თბილისისაკენ დაიძრა. თეიმურაზმა და ერეკლემ გამარჯვებულ ირანელ სარდალს მეფური მიღება მოუწყვეს. ვახტანგ VII-ის პრორუსული ორიენტაციის შემდეგ ნადირ ხანისათვის თეიმურაზისა და ერეკლეს საქციელი აღბათ მოულოდნელი იყო.

ნადირ ხანმა კარგად უწყოდა, რომ რუსეთი სამხრეთ კავკასიაში შემოჭრას კვლავაც ეცდებოდა. სწორედ ამიტომ ირანისათვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო ვახტანგ VI-ის პრორუსული ორიენტაციის მოწინააღმდეგების, თეიმურაზისა და ერეკლეს, მიმხრობა. 1744 წელს მან თეიმურაზი ქართლის, ხოლო ერეკლე კახეთის მეფეებად დაამტკიცა. მოულოდნელი იყო ის, რომ შაჰს ტახტზე ასვლის პირობად თეიმურაზისა და ერეკლესათვის ისლამის მიღება არ წამოუყენებია. ცხადია, ეს დათმობაც პოლიტიკური მიზნით იყო ნაკარნახევი. ირანი ჩვეულებრივი დამპყრობელი იყო, მაგრამ რა მიზანიც უნდა ჰქონოდა, ერთი ცხადია: ნადირ შაჰმა სამხრეთ კავკასიაში ქართული სახელმწიფოებრიბის (ქართლისა და კახეთის სამეფოების) არსებობა ქრისტიანი ბაგრატიონი მეფეებით სათავეში შესაძლებლად მიიჩნია.

1735 წლიდან 35 წლის განმავლობაში ქართლისა და კახეთის სამეფოები (შემდგომში ქართლ-კახეთის სამეფო) პროირანულ ორიენტაციას ადგნენ. შედეგიც ცხადი იყო: ქვეყანა დამშვიდდა, წელში გაიმართა, განმტკიცდა სამეფო ხელისუფლება, დაითრგუნა თავადური ოპოზიცია, დაიწყო კავკასიელ მთიელთა შემოსევების აღკვეთისათვის ორგანიზებული ბრძოლა. ირანში ცენტრალური ხელისუფლების დასუსტების პირობებში, რაც ნადირ შაჰის მკვლელობის (1747 წ.) შემდეგ დაიწყო, სამხრეთ კავკასიის ირანულ სახანოებში თეიმურაზისა და ერეკლეს ავტორიტეტი ამაღლდა. განჯის, ერევნის, ყარაბაღის, ნახშევნის ხანები, სურდათ თუ არ სურდათ, თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის პირველობას აღიარებდნენ. ერეკლე II რეალურად არა მარტო საქართველოს, არამედ სამხრეთ კავკასიის პოლიტიკურ ლიდერად მოიაზრებოდა. ქართლისა და კახეთის მეფეებს ანგარიშს უწევდნენ ირანის შაჰის ტახტის პრეტენდენტები.

თუ ყოველივე ზემოთ თქმულს გავითვალისწინებთ, ბუნებრივად ისმის კითხვა: რატომ შეცვალა ერეკლე II-მ პროირანუ-

ლი ორიენტაცია პრორუსულით? შევეცდებით ამ საჭირბოროტო კითხვას ვუპასუხოთ.

პროირანული ორიენტაცია მომგებიანი იყო მანამ, სანამ ირანი სამხრეთ-აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში რეალურ ძალას წარმოადგენდა. წალი შაპის მკვლელობის შემდეგ ირანში შაპის ტახტი-სათვის ბრძოლა დაიწყო. შაპობის პრედნენდენტთა შორის გამოიკვეთა ქერიმ ხან ზენდი. მან, მართალია, ირანის დიდი ნაწილი თავის ხელისუფლებას დაუქვემდებარა, მაგრამ მისი ძალაუფლება მთელ ირანზე არასდროს გავრცელებულა, რის გამოც ქერიმ ხანმა შაპის ტიტული ვერ მიიღო. ქერიმ ხანის მმართველობის წლებშივე (1760-1779) ნათელი გახდა, რომ მისი გარდაცვალების შემდეგ ირანში შინააშლილობა ახალი ძალით გაგრძელდებოდა. თეიმურაზ II და ერეკლე II სავსებით სწორად ფიქრობდნენ, რომ სანამ ქერიმ ხანის ირანი სამხრეთ-აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ჯერ კიდევ რეალურ ძალას წარმოადგენდა, პროირანული ორიენტაციის შენარჩუნება მომგებიანი იყო. ამასთან ერთად, მეფეებს პასუხი უნდა გაეცათ ძალზე ძნელი კითხვისათვის: შეძლებდა კი ირანი ქერიმ ხანის შემდეგ სამხრეთ-აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში რეალურ ძალად დარჩენას? ირანის დასუსტება აუცილებლად გამოიწვევდა რეგიონში რუსეთისა და ოსმალეთის გააქტიურებას. სამხრეთ-აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში რუსეთის შეჭრის შემთხვევაში ქართლისა და კახეთის სამეფოებისათვის პროირანულ ორიენტაციაზე ყოფნა ძალზე სახითო იქნებოდა. ყოველივე ეს, ცხადია, კარგად გაიაზრეს თეიმურაზმა და ერეკლემ. გადაწყდა, ირანის დასუსტების შემდეგ სამხრეთ-აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში გაბატონების ყველაზე რეალურ პრეტენდენტთან, რუსეთთან, დაეწყოთ ნიადაგის მოსინჯვა. სწორედ ამ მიზანს ისახავდა თეიმურაზ II-ის ელჩობა რუსეთში (1760-1762 წწ.). თეიმურაზისა და ერეკლეს ჩანაფიქრი იმთავითვე ამოიცნეს პეტერბურგში: ქართველ მეფეებს რუსეთი მხოლოდ ირანის დასუსტების შემთხ-

ვევაში სჭირდებოდათ. ამიტომ იყო, რომ ქართლის მეფეს რუსმა დიპლომატებმა ძალზე ბუნდოვანი და ზოგადი პასუხი გასცეს. ცხადი გახდა ისიც, რომ ნადირ შაჰისა და ქერიმ ხანის მოკავ-შირებს, თეიმურაზ II-სა და ერეკლე II-ს, რუსეთის საიმპერატორო კარი აშკარად არ ენდობოდა. რუსები დროს ელოდნენ. მათთვისაც ძალზე მნიშვნელოვანი იყო, თუ როგორ განვითარდებოდა მოვლენები ირანში ქერიმ ხანის შემდეგ. თეიმურაზ II-ის ელჩობა რუსეთში უშედეგოდ დასრულდა (მეფე ელჩიბის დასრულებამდე, 1762 წლის იანვარში, პეტერბურგშივე გარდაიცვალა). ამასთან ერთად, ცხადია, ქართლის მეფის ელჩობა ირანის საწინააღმდეგო ქმედებად მიიჩნია ქერიმ ხანმა, თუმცა ძველი ურთიერთობა ირანსა და ქართლ-კახეთს შორის მაინც შენარჩუნდა. ლოდინის ტაქტიკა ხელს აძლევდა რუსეთის იმპერიას, მაგრამ სრულიად მიუღებელი იყო ქართლ-კახეთის სამეფოსათვის. ირანიდან შემაშფოთებელი ხმები მოდიოდა. ქერიმ ხან ზენდი ავად-მყოფობდა, ყაჯართა ტომი ზენდებზე შურის საძიებლად ემზადებოდა. ასეთ ვითარებაში 1768 წელს დაიწყო რუსეთ-ოსმალეთის ომი, რომელიც 1774 წლამდე გაგრძელდა. რუსეთის საიმპერატორო კარმა ოსმალეთის წინააღმდეგ სამხრეთ კავკასიის ქრისტიანი მეფე-მთავრების მიმხრობის გეგმა შეიმუშავა. ოსმალეთის წინააღმდეგ მებრძოლი იმერეთის მეფე სოლომონ I რომ რუსეთს მხარს დაუჭერდა, პეტერბურგში არც ეჭვობდნენ. ამასთან ერთად, რუსი დიპლომატები დარწმუნებული იყვნენ, რომ ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II რუსეთ-იმერეთის სამხედრო-პოლიტიკურ კავშირს არ მიემხრობოდა. ქართლ-კახეთის სამეფო ირანის სავასალო იყო. ერეკლე II-ს მშვიდობიანი ურთიერთობა ჰქონდა ოსმალეთთან და, რუსეთის საიმპერატორო კარის მოსაზრებით, მეფე ამ ურთიერთობის შენარჩუნებას ეცდებოდა. გარდა ამისა, ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის მხარეზე ოსმალეთის წინააღმდეგ ომში ჩაბმა მიუღებელი იქნებოდა ირანისათვის,

რადგან ირანი რუსეთ-ოსმალეთის ომში ნეიტრალიტეტს ინარჩუნებდა. ოსმალეთი ირანს ურჩი ვასალის, ერეკლე II-ის, დასჯას მოსთხოვდა. სხვაგვარად ფიქრობდა ერეკლე II. მეფის აზრით, რუსეთ-იმერეთის სამხედრო-პოლიტიკური კავშირის მიღმა ქართლ-კახეთის სამეფოს დარჩენა წამგებიანი და სახიფათოც კი იყო. მეფის დასკვნა შემდეგ მოსაზრებას ემყარებოდა: პირველი. რუსეთ-იმერეთის სამხედრო-პოლიტიკური კავშირის წარმატების შემთხვევაში ქართულ სამეფო-სამთავროებში და, საერთოდ, სამხრეთ კავკასიაში ერეკლე II ლიდერის ფუნქციას კარგავდა, მის ადგილს იმერეთის მეფე სოლომონ I დაიკავებდა; მეორე. იმერეთის სამეფოსა და რუსეთის ჯარების მიერ სამხრეთ კავკასიაში ოსმალეთის დამარცხების შემთხვევაში, კონკრეტულად, აწყურის, ხერთვისის, ახალციხის, ახალქალაქის ციხეებიდან ოსმალთა გარნიზონების გაძევების შემდეგ აღნიშნული ტერიტორია რუსეთის მოკავშირეს, იმერეთის სამეფოს, გადაეცემოდა, რასაც ერეკლე II ვერ დაუშვებდა; მესამე. ოსმალეთთან ომში წარმატებისა და სამხრეთ კავკასიაში ფეხის მოკიდების შემთხვევაში რუსეთი რეგიონიდან ირანის გაძევებას შეეცდებოდა და ამ დროისათვის მეფე ერეკლეს რუსეთთან ურთიერთობა მოგვარებული უნდა ჰქონოდა. ამიტომ იყო, რომ ქართლ-კახეთის მეფე რუსეთ-იმერეთის სამხედრო კავშირს შეუერთდა და ოსმალეთის წინააღმდეგ ომში ჩაება. რომ არა 1768 წელს რუსეთ-ოსმალეთის ომის დაწყება, რომელმაც ერეკლე II იძულებული გახადა ომის მიმართ თავისი დამოკიდებულება გამოეხატა, ქართლ-კახეთის მეფე კვლავ პროირანულ ორიენტაციაზე დარჩებოდა, საგარეო პოლიტიკაში არაფერს შეცვლიდა და ირანში მოვლენათა განვითარებას დაელოდებოდა.

1768 წელს დაწყებულმა რუსეთ-ოსმალეთის ომმა, ერეკლე II აიძულა საგარეო-პოლიტიკური კურსი შეეცვალა და ომში რუსეთის მხარეს ჩაბმულიყო. **ომამდე ერეკლეს ოსმალეთის სულ-**

თანთან ურთიერთობა მოგვარებული ჰქონდა და ალბათ არც სულ-თანი ელოდა ქართლ-კახეთის მეფისაგან პოზიციის ასეთ მკვეთრ ცვლილებას. მაგრამ ერეკლე მძიმე, გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდა და ამან გახადა იძულებული, სასწრაფოდ მიეღო მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება. მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა სოლომონ I-ც. იმერეთის მეფე აქამდეც თავგამოდებით ებრძოდა ოსმალეთს, თუმცა 1768 წლისათვის სულთანთან ურთიერთობა მას ასე თუ ისე მოგვარებული ჰქონდა. ომში ნეიტრალიტეტის დაცვით სოლომონ I ოსმალეთის სულთნის კეთილგანწყობას დაიმსახურებდა. ერეკლე II-ისა და სოლომონ I-ის ომში ჩაბმა ისლამურ სამყაროსთან ხანგრძლივი ბრძოლების შემდეგ შეიძლება ბუნებრივადაც კი მოგვეჩვენოს, მაგრამ დღეს, როცა მეფეთა გადაწყვეტილებას ვაფასებთ, არ შეიძლება არ დავსვათ კითხვა: სწორი იყო თუ არა ოსმალეთის წინააღმდეგ ომში ჩაბმა? 1769 წლისათვის, როდესაც რუსეთის ჯარი საქართველოში შემოვიდა, სოლომონ I-სა და ერეკლე II-ს არ შეიძლება სცოდნოდათ, რით დამთავრდებოდა რუსეთ-ოსმალეთის ომი. ომში გამარჯვების შემთხვევაში ოსმალეთი სასტიკად ააოხრებდა როგორც იმერეთის, ისე ქართლ-კახეთის. ორივე მეფეს შეიძლებოდა პრორუსული ორიენტაცია ძვირად დასჯდომოდა და ვახტანგ VI-ის ბეჭი გაეზიარებინათ. ასე რომ, ერეკლე II და სოლომონ I ყოველმხრივ გაუმართლებელ, სარისკო ნაბიჯს დგამდნენ. იმხანად მეფეებმა არ იცოდნენ, რომ რუსეთის საიმპერატორო კარი სამხრეთ კავკასიაში სერიოზული საბრძოლო მოქმედებების დაწყებას არც გეგმავდა და საექსპედიციო კორპუსის გამოგზავნით მხოლოდ ოსმალეთის დაშინებას აპირებდა. რუსი პოლიტიკოსები და სამხედროები ვარაუდობდნენ, რომ საექსპედიციო კორპუსის სამხრეთ კავკასიაში გამოჩენა ასმალებდა აი განლაგებული ჯარი და არტილერია აქვე დაეტოვებინა და ჩრდილოეთ შავი ზღვი-სპირეთში არ გადაესროლა. ეს გადაწყვეტილება სახელმწიფო

საიდუმლოება იყო და მას, ცხადია, სოლომონ I და ერეკლე II ვერ შეიტყობდნენ. მიუხედავად ამისა, მეფებს დაეჭვებისათვის საკმაოზე მეტი ფაქტი ჰქონდათ. 1769 წლის აგვისტოში რუსეთი-დან საქართველოსაკენ დაიძრა საექსპედიციო კორპუსი გენერალ გოტლიბ კურტ ჰენრის ფონ ტოტლებენის მეთაურობით. საექს-პედიციო კორპუსში 480 ოფიცერი და ჯარისკაცი და 4 ქვემეხი ირიცხებოდა. ეს ძალა, რა თქმა უნდა, ოსმალეთთან საბრძოლვე-ლად ძალზე მცირერიცხოვანი იყო, მით უფრო, რომ გენერალი ტოტლებენი საქართველოს საზღვრებში ასიოდე მებრძოლითა და 2 ქვემეხით შემოვიდა, დანარჩენი ჯარი კი მოზდოკში დატოვა.

1769 წლის 29 აგვისტოს ერეკლე II, კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ I, გიორგი და ლევან ბატონიშვილები რუსთა ჯარს სოფელ ხოდაში შეხვდნენ. ერეკლე II-მ ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოების ოსმალეთის წინააღმდეგ ომში ჩაბმის პირობად საქართველოში 5.000 ოფიცრისა და ჯარისკაცის გამოგზავნა მოითხოვა, რომლის ნაწილი, 1.500 კაცი, საქართველოში დაზამ-თრებამდე უნდა ჩამოსულიყო. 1769 წლის 22 ოქტომბერს ეკატ-ერინა II-მ საქართველოში გამოსაგზავნი საექსპედიციო კორპუ-სის რაოდენობა 3.767 კაცით განსაზღვრა. რეალურად 1770 წლის მარტში სურამში მდგარ გენერალ ტოტლებენს მხოლოდ 1.200 ოფიცერი და ჯარისკაცი ჰყავდა. ამ ჯარის ნაწილი ტოტლებენმა სადგერის ციხესთან დატოვა და ანურისაკენ დაახლოებით 600-700 კაცით დაიძრა. ცხადია, 700 მებრძოლით ოსმალეთის წი-ნააღმდეგ ომის დაწყება იმას ნიშნავდა, რომ ტოტლებენი სერიო-ზული ბრძოლების გამართვას არ აპირებდა. ასეც მოხდა. 1770 წლის 18 აპრილს გენერალმა ანურის ალყის დაწყებიდან მეორე დღეს ჯარი უკან, სურამში დაბრუნა და ერეკლე II მარტო და-ტოვა. 20 აპრილს ასპინძასთან გამართულ ბრძოლაში მეფე ერ-ეკლემ ასმალთა და ლევთა გაერთიანებული ლაშქარი სასტიკად დაამარცხა. ერეკლემ არ იცოდა, რა გეგმები ჰქონდა გენერალ

ტოტლებენს, ამიტომ მან თბილისში სურამის გავლით დაბრუნება გადაიფიქრა და ჯავახეთის გზით წავიდა.

გოტლიბ ტოტლებენის ავანტიურა უამრავ კითხვას აჩენს: ვისი დავალებით მოქმედებდა გენერალი, რა იყო მისი მიზანი, როგორ უნდა განეხორციელებინა დასახული გეგმა? ამ კითხვებზე პასუხის გაცემისას სულ ოთხი ვერსია გამოიკვეთა: 1. ტოტლებენი მოქმედებდა თვითნებურად, პირადი შეხედულებით. ამ ვერსიის შემქმნელები რუსეთის საიმპერატორო კარისათვის ნამუსის მოწმენდას ცდილობენ და მთელ პასუხისმგებლობას მომხდარისათვის ავანტიურისტ გენერალს აკისრებენ; 2. გენერალი უცხო სახელმწიფოების (ინგლისის, პრუსიის, ოსმალეთის) დაზვერვის მიერ შეთავაზებული გეგმით მოქმედებდა. ამ ვერსიას კვებავს ერთი საინტერესო ფაქტი: 1757-1763 წლებში პრუსიის წინააღმდეგ მიმდინარე ომში ტოტლებენი რუსეთის ჯარის გენერალი იყო. იგი ფაქტზე დაიჭირეს და ამხილეს, როგორც პრუსიის იმპერატორ ფრიდრიხ დიდის ინფორმატორი, გაასამართლეს და სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს. რუსეთის იმპერატორმა სიკვდილმისჯილი შეიწყნარა და ქვეყნიდან გაძევებით დაკმაყოფილდა. რუსეთ-ოსმალეთის ომის დაწყების შემდეგ ტოტლებენმა კვლავ მოახერხა რუსეთში დაბრუნება და საქართველოში გამოსაგზავნი საექსპედიციო კორპუსის მეთაურადაც დაინიშნა. 3. ტოტლებენი ქართლის თავადებმა წააქეზეს და გენერალიც მათი თანადგომით მოქმედებდა. ეს ვერსია ემყარება ქართლის თავადების მისწრაფებას ქართლის ტახტზე ვახტანგ VI-ის შთამომავლობა დაეპრუნებინათ, თუმცა ძალიან ძნელი დასაჯარებელია, რომ გენერალი, თუნდაც ავანტიურისტი, ქართლის თავადების სურვილს ანგარიშს გაუწევდა და მეფის ტახტიდან ჩამოგდებას გადაწყვეტდა; 4. გენერალი ტოტლებენი საიმპერატორო კარის დავალებით მოქმედებდა, პეტერბურგში შემუშავებული გეგმის თანახმად. გენერალს ერეკლე II-ის თავიდან მოცილება ჰქონდა დავალებული. რა გზით უნდა გაეკეთებინა ეს, პირადად

მას უნდა გადაეწყვიტა. ტოტლებენმა უმჯობესად მეფე ერეკლეს ბრძოლაში მიტოვება მიიჩნია, სადაც ის დაიღუპებოდა და ქართლ-კახეთის ლაშქარიც განადგურდებოდა. რუსეთის საიმპერატორო კარის გეგმის დანარჩენი ნაწილი ჩვენთვის უცნობია, რადგან ტოტლებენის ავანტიურა ჩაიშალა, მალე იგი ქართლს საერთოდ გაეცალა. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი მნიშვნელოვანი დეტა-ლის დადგენა მაინც შეიძლება.

ასპინძის ბრძოლაში მოპოვებული გამარჯვების შემდეგ ერეკლე ॥-მ რუსეთში ელჩობა მიავლინა, რათა იმპერატორისათვის გამარჯვება მიელოცა. ელჩობის ერთ-ერთ წევრს, ქართლელ თავად ზაალ ორბელიანს რუსი სენატორი შეხვდა და უთხრა, ეკატერინა ॥ ერეკლე ॥-ით უკმაყოფილოაო. არც მეტი არც ნაკლები, ზაალ ორბელიანს რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიაში ასეთი რამ განუცხადებია: „თუ მეფე (ეკატერინა ॥ – ვ. გ.) ერეკლეს უწყრება, ან რუსს ვისმე მისცეს ქვეყანა, ან – სოლომონს.“ როგორც ვხედავთ, ტოტლებენის ავანტიურის ჩაშლის შემდეგაც კი ზაალ ორბელიანი ერეკლე ॥-ის ტახტიდან ჩამოგდებაზე ოცნებას არ აწყვეტდა. ზაალ ორბელიანის საუბრის ტექსტი რუსეთის საიმპერატორო კარმა ერეკლე ॥-ს გამოუგზავნა. რა იყო ეს, კეთილგანწყობილების გამოხატულება თუ ერეკლეს დაშინების მცდელობა? ალბათ, საკამათო არაა, რომ რუსეთის იმპერატორი ქართლის თავადებითა და რუსეთში გადახვეწილი ვახტანგ VI-ის მემკვიდრეებით ერეკლეს დაშინებას ცდილობდა.

რა დასკვნა გამოიტანა ერეკლე ॥-მ გოტლიბ ტოტლებენის ავანტიურისა და ამ ავანტიურაში ქართლის თავადების შესაძლო მონაწილეობისაგან? ერეკლე მეფე დარწმუნდა, რომ, მიუხედავად ოსმალეთის წინააღმდეგ ომში ჩაბმისა და ნადირ შაჰთან, ადილ შაჰსა და ქერიმ ხანთან ახლო ურთიერთობისა, დიდი ხნის განმავლობაში პროირანული ორიენტაციის მაღიარებელი მეფე რუსეთის საიმპერატორო კარზე მიუღებელი იქნებოდა. პროირანული

ორიენტაციის უარყოფა და პრორუსული ორიენტაციის ალიარება ქართლ-კახეთის მეფეს უფრო დამაჯერებლად უნდა გამოეხატა. ერეკლეს დიდი ფიქრის დროს არ ჰქონდა, რუსეთ-ოსმალეთის ომის პირველმა ორმა წელმა აშკარა გახადა, რომ ოსმალეთი რუსეთს ვერ დაამარცხებდა, მაშასადამე, სამხრეთ კავკასიაში ოსმალთა პოზიციები შესუსტდებოდა. გამარჯვებულ რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებაზე ერეკლეს წინდაწინ უნდა ეზრუნა.

საბოლოო გადაწყვეტილება მეფემ 1771-1772 წლების გა-საყარზე მიიღო. 1771 წლის 30 დეკემბერს თბილისში ერეკლე II-მ ხელი მოაწერა ეკატერინა II-დმი გასაგზავნ დოკუმენტს, – ხელშეკრულების პროექტს, რომლის მიხედვითაც, ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის მფარველობაში შესვლას ითხოვდა. 1772 წლის 6 იანვარს მცხეთაში ხელი მოეწერა მეორე დოკუმენტს – ქართლ-კახეთის სამეფო სახლის პირობა რუსეთის იმპერატორს. პირველისაგან განსხვავებით ამ დოკუმენტს ხელს აწერდნენ: ერეკლე II, დედოფლი დარეჯანი, კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ I, ბატონიშვილები: გიორგი, ლევანი, იულიონი, ვახტანგი. 1772 წლის მაისში ერეკლე II-ის თხოვნა ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის იმპერიის მფარველობაში მიღების თაობაზე კათოლიკოს-პატრიარქმა ანტონ I-მა და ლევან ბატონიშვილმა რუსეთის საიმპერატორო კარს ოფიციალურად წარუდგინეს. ერეკლე II-ის წინა-დადების თანახმად, რუსეთის იმპერიის მფარველობაში შესულ ქართლ-კახეთის სამეფოში “უცვალებლად” უნდა შენარჩუნებულყო მეფისა და კათოლიკოს-პატრიარქის ხელისუფლება, ანუ უმაღლესი საერო და სასულიერო ხელისუფლება. ქართლ-კახეთის მეფის თხოვნას პეტერბურგში 11 წელი, 1772 წლიდან 1783 წლამდე, ყურადღებას არ აქცევდნენ. რუსეთის იმპერატორი ეკატერინა II ლოდინის ტაქტიკას ტყუილად არ ადგა. დაძაბული ურთიერთობა ევროპის სახელმწიფოებთან (ბრძოლა პოლონეთის გადანაწილებისათვის) და ოსმალეთთან (ბრძოლა ჩრდილოეთ

შავიზლვისპირეთში გაბატონებისათვის) რუსეთს ირანთან ურთიერთობაში სიფრთხილისაკენ უბიძგებდა. ეკატერინა II ირანის გაღიზიანებას ერიდებოდა და ქართლ-კახეთის სამეფოს ირანის საგასალო ტერიტორიად, ხოლო ერეკლე II-ს ირანის ვასალად მიიჩნევდა. ცხადია, ირანში კარგად უწყოდნენ 1772 წელს ერეკლე II-ის მიერ მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე – ირანის ვასალი რუსეთის მფარველობაში შესვლას ითხოვდა. ირანს ერეკლე II-ის დასასჯელად მიზეზები საკმაოზე მეტი ჰქონდა. ეს ეკატერინა II-მაც კარგად უწყოდა. მიუხედავად ამისა, პეტერბურგში ქართლ-კახეთის სამეფოს მფარველობაში მიღებას, როგორც უკვე ვთქვით, 11 წელი აჭიანურებდნენ. საბედნიეროდ, ქერიმ ხანის სიკვდილის შემდეგ ირანში შინააშლილობა დაიწყო და ქართლ-კახეთის სამეფო დასჯას გადარჩა.

რუსეთის სამპერატორო კარი ერეკლე II-ს არ ენდობოდა, მიუხედავად იმისა, რომ მეფე 1769 წელს ოსმალეთის წინააღმდეგ ომში ჩაება და, ცხადია, ამით ოსმალეთთან ურთიერთობა სამომავლოდ სერიოზულად გაირთულა. ეს უნდობლიობა არ გამქრალა არც მას შემდეგ, რაც 1772 წლის მაისში ერეკლე II-მ რუსეთის მფარველობაში შესვლა ოფციალურად ითხოვა. რა უნდა ყოფილიყო ამის მიზეზი? ქართლ-კახეთის მეფის კარზე მყოფი რუსი რეზიდენტები პეტერბურგში გაგზავნილ საიდუმლო მოხსენებებში აღნიშნავდნენ, რომ 1772 წლის შემდეგაც ერეკლე II-ს კარგი ურთიერთობა ჰქონდა ირანის გამგებელ ქერიმ ხანთან და, რაც მთავარია, მეფე არ კარგავდა იმედს, რომ ავსტრიის იმპერატორისაგან დახმარების მიღებას შეძლებდა. ეს საკითხი აქტუალური კიდევ ერთხელ გახდა, როდესაც ეკატერინა II-მ ქართლ-კახეთის სამეფოს მფარველობაში მიღება გადაწყვიტა და 1782 წლის მიწურულსა თუ 1783 წლის დამდეგს მფარველობითი ხელშეკრულების პირობები იმხანად საგარეო უწყების პრაქტიკულ ხელმძღვანელს, ალექსანდრ ბეზბოროდკოს უკარნახა. აი,

ამ პირობების ჩვენთვის საინტერესო ნაწილი: 1. ერეკლე II-სა და სოლომონ I-ს ავსტრიის იმპერატორსა და სხვა ქრისტიანულ სახელმწიფოებთან ყოველგვარი ურთიერთობა უნდა შეეწყვიტათ; 2. ქართველი მეფებისათვის უნდა განემარტათ, რომ ამ სახელმწიფოებს დადებული ჰქონდათ პირობა, არ ჩარეულიყვნენ რუსეთის მეზობელი აზიური სახელმწიფოების საქმეებში; 3. ერეკლე II-სა და სოლომონ I-ს ავსტრიის იმპერატორისათვის წერილიც კი არ უნდა გაეგზავნათ. მართალია, ეკატერინა II-ის ეს მოთხოვნები გეორგიევსკის ტრაქტატში არ ასახულა, მაგრამ არა იმიტომ, რომ რუსეთის იმპერატორმა აზრი შეიცვალა, არამედ იმიტომ, რომ ეკატერინა II ავსტრიისა და პრუსის იმპერატორებთან უხერხულ მდგომარეობაში არ აღმოჩენილიყო. ამ აკრძალვის მიუხედავად, როგორც რუსი რეზიდენტების მოხსენებებიდან ჩანს, ერეკლე II ავსტრიის იმპერატორისაგან დახმარების მიღებას გეორგიევსკის ტრაქტატის დადების შემდეგაც ცდილობდა, რაც, ცხადია, რუსეთის საიმპერატორო კარის ქართლ-კახეთის მეფისადმი უნდობლობას კიდევ უფრო ზრდიდა. ეკატერინა II-ს თავისი რეზიდენტების მოხსენებების სიმართლეში ეჭვი არ ეპარებოდა, მაგრამ ის, რაც შემდეგ მოხდა, ძალზე დამაჯერებელი სამხილი იყო. ავსტრიის იმპერიას ოსმალეთთან ურთიერთობა დაეძაბა და რუსეთის დახმარება დასჭირდა. ეკატერინა II-სადმი თავისი კეთილგანწყობა რომ დაედასტურებინა, ავსტრიის იმპერატორმა ერეკლე II-ის მთელი მიმოწერა, რომელიც რუსეთის საიმპერატორო კარისათვის მანამდე სრულიად უცნობი იყო, ეკატერინა II-ს გაუგზავნა. ასე რომ, რუსეთის იმპერატორი ერეკლე II-დმი უნდობლობას რომ იჩენდა, მიზეზი საკმაოზე მეტი ჰქონდა. ეკატერინა II-მ ავსტრიის იმპერატორის „საჩუქრის“ შემდეგ სრულიად ლოგიკური დასკვნები გააკეთა, თუმცა მომხდარის შესახებ ერეკლე მეფისათვის არც კი მიუნიშნებია.

ლიტერატურა:

1. ქართული დიპლომატიის ისტორია. მთავარი რედაქტორი აკად. როინ მეტრეველი. თბილისი, 2022, გვ. 437-453.
2. ვახტანგ გურული. მეფე ერეკლე და რუსეთი. თბილისი, 2019.

ლექცია 10. „საბერძნეთის პროექტი“ და საქართველო

ბუნებრივია, ისმის კითხვა: რა მიზეზებმა განაპირობა ის, რომ თერთმეტწლიანი ლოდინის შემდეგ ეკატერინა II-მ 1783 წელს ქართლ-კახეთის სამეფოს მფარველობაში მიღება მაინც გადაწყვიტა? დღეს ამ მიზეზებზე აღარავინ დავობს: პირველი. 1782-1783 წლებში დაძაბული ურთიერთობის შემდეგ რუსეთმა ოსმალეთი აიძულა ყირიმის სახანო დაეთმო. ამან ჩრდილო კავკასიაში რუსეთის გააქტიურებისათვის ხელსაყრელი პირობები შექმნა, რადგან უზარმაზარი სივრცე შავი ზღვიდან, უფრო კონკრეტულად, აზოვის ზღვიდან კასპიის ზღვამდე (ასტრახანამდე) რუსეთის კონტროლს დაექვემდებარა. კავკასიის დაპყრობაში ოსმალეთი რუსეთს ხელს ვეღარ შეუშლიდა; მეორე. ცნობილმა პოლიტიკურმა და სამხედრო მოღვაწემ, გრიგორი პოტიომკინმა, ოსმალეთის დაშლის გეგმა წამოაყენა. მისი აზრით, ოსმალეთი, როგორც ერთიანი სახელმწიფო, უნდა დაშლილიყო. ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, ოსმალთა მიერ დაპყრობილ ტერიტორიაზე, ბერძნების გარშემო ქრისტიანი ხალხები უნდა გაერთიანებულიყვნენ და ერთი ქრისტიანული სახელმწიფო შექმნილიყო, რომლის მეფეც რუსი უფლისწული იქნებოდა. სამხრეთ კავკასიაში ოსმალეთის ბატონობისაგან ჩგანთავისუფლებული ქრისტიანი ხალხებისაგან (ქართველების, სომხების, ასირიელები-

საგან) ასევე უნდა შექმნილიყო სახელმწიფო, რომელიც, ცხადია, რუსული ორიენტაციისა იქნებოდა. გრიგორი პოტიომკინის გეგმამ „საბერძნეთის პროექტის“ („ბერძნული პროექტის“) სახელწოდება მიიღო. ბალკანეთზე ახალი სახელმწიფოს შემქმნელი მთავარი ძალა ბერძნები უნდა ყოფილიყვნენ, სამხრეთ კავკასიაში – ქართველები, როგორც რეგიონში სახელმწიფოებრიობის მქონე ერთადერთი ერი. ამ სახელმწიფოში უნდა შესულიყვნენ სომხები და ქრისტიანი ასირიელები. სამხრეთ კავკასიაში ოსმალეთის დაშლის შემდეგ ქრისტიანული სახელმწიფოს შექმნა ერეკლე II-ის გარეშე ვერ მოხერხდებოდა, რადგან იგი არა მარტო ქართული სამეფო-სამთავროების, არამედ საერთოკავკასიურ ლიდერადაც მოიაზრებოდა. საბერძნეთის პროექტმა ერეკლე II-სა და ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის კავკასიურ პოლიტიკაში, მეტიც, აღმოსავლურ პოლიტიკაში, მნიშვნელოვანი ფუნქცია დააკისრა. სწორედ ამან განაპირობა ის, რომ პეტერბურგში 11 წლის დუმილის შემდეგ ერეკლე II-ის თხოვნა გაახსენდათ და, თუ ადრე რუსები ფეხს ითრევდნენ, ახლა მეფეს, პირიქით, აჩქარებდნენ მფარველობის თაობაზე ხელშეკრულების დადებას, რაც 1783 წლის 24 ივლისს გეორგიევსკში ხელმოწერილი ტრაქტატით განხორციელდა კიდეც.

1783 წლის მფარველობითი ხელშეკრულება (ტრაქტატი) ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიას შორის, ზოგიერთი მუხლის გამოკლებით, ერეკლე II-ის მიერ წამოყენებული პირობების მიხედვით დაიდო. ტრაქტატის ძალით, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, რუსეთი ვალდებული იყო, საქართველოში უმაღლესი საერო (სამეფო) და სასულიერო (საეკლესიო) ხელისუფლება უცვლელად შეენარჩუნებინა, ანუ ქართლ-კახეთს ეყოლებოდა მეფე ბაგრატიონთა დინასტიიდან (ერეკლე II-ის შთამომავლები) და კათოლიკოს-პატრიარქი; ახალი მეფის ტახტზე ასვლა რუსეთის იმპერატორს სამეფო ნიშნების, ინვესტიტუ-

რის, გამოგზავნით უნდა დაედასტურებინა; სხვა სახელმწიფოთა აგრესისაგან დაცვის მიზნით ქართლ-კახეთის სამეფოში მუდ-მივად უნდა მდგარიყო რუსეთის ჯარი (2 ბატალიონი), რომლის რაოდენობა საჭიროების შემთხვევაში გაიზრდებოდა; ქართლ-კახეთში უცვლელი არა მარტო სამეფო ხელისუფლება რჩებოდა, არამედ – ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა, ქართული სამართალი და სასამართლო სისტემა, მიმოქცევაში რჩებოდა ქართული ფული და ზომა-წონის ერთეულები; უცვლელად უნდა შენარჩუნებულიყო ქართლ-კახეთის მეფის ქვეშევრდომობა, ქართლ-კახეთის თავადები და აზნაურები არ ხდებოდნენ რუსეთის იმპერატორის ქვეშევრდომები. ტრაქტატი გარკვეულ ვალდებულებას აკისრებდა ქართლ-კახეთის მეფეს. ერეკლე II რუსეთის იმპერატორის სამუდამო მფარველობაში შედიოდა და არასდროს აღარ მიიღებდა სხვა სახელმწიფოსაგან მსგავს წინადადებას. ქართლ-კახეთის მეფეს საგარეო პოლიტიკა რუსეთის საიმპერატორო კართან უნდა შეეთანხმებინა. ეს იყო ქართლ-კახეთის სამეფოს მხრიდან ორი უმთავრესი ვალდებულება, რომლებიც ქვეყნის სუვერენიტეტს ზღუდავდა. ერეკლე II-ის ღირსებას ლახავდა ტრაქტატის ერთი პირობა: ქართლ-კახეთის მეფეს უშუალოდ რუსეთის იმპერატორისათვის არ შეეძლო მიემართა, მას მოსახსენებელი ჯერ კავკასიის ხაზის მთავარსარდლისათვის უნდა ეცნობებინა. რუსეთი ქართლ-კახეთის სამეფოს საშინაო საქმეებში არ უნდა ჩარეულიყო, თუმცა ტრაქტატის ერთ-ერთი მუხლი ამ პირობას ენინააღმდეგებოდა: სამოხელეო თანამდებობებზე დანიშვნისას ქართლ-კახეთის მეფეს უნდა გაეთვალისწინებინა კანდიდატის რუსეთის წინაშე დამსახურება, რაც გარკვეული დროის შემდეგ მნიშვნელოვან სახელმწიფო თანამდებობაზე რუსოფილებს მოამრავლებდა. ერეკლე II-ისა და სოლომონ I-ის ღირსებას ლახავდა ტრაქტატის კიდევ ერთი მუხლი: ქართველ მეფეებს შორის დავის წარმოშობის შემთხვევაში არბიტრის

როლი რუსეთის იმპერატორს უნდა შეესრულებინა. კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ I-ის ღირსებას გარკვეულწილად ამცირებდა ის, რომ უძველესი საპატრიარქო ტახტის მპყრობელი და უძველესი ავტოკეფალური ეკლესის მეთაური რუსეთის ეკლესის უწმინდესი სინოდის წევრი ხდებოდა და სინოდის წევრ მეუფებს შორის მერვე ადგილს იკავებდა. გეორგიევსკის ტრაქტატის მომზადებისა და დადების პერიოდში კიდევ ერთი არასასიამოვნო ფაქტი მოხდა. ერეკლე II-ის მოთხოვნით, ტრაქტატის ტექსტში მისი ტიტულატურა ასე უნდა განსაზღვრულიყო: „ერეკლე II, მეფე კახეთისა და მეფე ქართლისა, მემკვიდრე მთავარი სამცხე-საათაბაგოსი, ყაზახის მთავარი, ბორჩალოს მთავარი, შამშადილუს მთავარი, კახის მთავარი, შაქის მთავარი და შირვანის მთავარი, მფლობელი და მფარველი განჯისა, ერევნისა და სხვათა“. რუსული მხარის მოთხოვნით, ერეკლე II-ის ამგვარი ტიტულატურა ტრაქტატის ტექსტში არ შესულა, რაც რუსმა დიპლომატებმა ასე ახსნეს: სამცხე-საათაბაგო ოსმალეთის ტერიტორიას წარმოადგენდა და მისი მემკვიდრე მთავარი ქართლ-კახეთის მეფე ვერ იქნებოდა; კახი (ჭარ-ბელაქნის ნაწილი), შაქი, შირვანი ირანის სახელმწიფოში შედიოდა, რის გამოც ქართლ-კახეთის მეფე მათ მთავრად ვერ მოიხსენიებოდა; განჯისა და ერევნის სახანოები ირანს ეკუთვნოდა, რის გამოც მათ მფლობელად და მფარველად ქართლ-კახეთის მეფე ვერ ჩაითვლებოდა. რუსმა დიპლომატებმა საბოლოოდ ასე დაასკვნეს: ერეკლე II-ის ტიტულის წარდგენილი სახით დამტკიცება ლახავდა ოსმალეთისა და ირანის სუვერენიტეტს, რაც ამ ქვეყნების ხელისუფალთა გაღიზიანებას გამოიწვევდა, ეს კი რუსეთის ინტერესებში არ შედიოდა.

გეორგიევსკის ტრაქტატი რუსეთ-ოსმალეთის 1768-1774 წლებისა და 1787-1791 წლების ომებს შორის დაიდო. თავდაპირველად რუსეთის იმპერიის მფარველობაში იმერეთის სამეფოც უნდა შესულიყო. იმერეთის სამეფოს საკითხი რუსეთის საიმ-

პერატორო კარზე 1782 წლის ბოლოსა და 1783 წლის დამდეგსაც განიხილებოდა. ჩვენ მიერ ზემოთ ნახსენები ეკატერინა II-ს მიერ ალექსანდრ ბეზბოროდებოსათვის ნაკარნახევი მფარველობითი ხელშეკრულების პირობები ეხებოდა როგორც ქართლ-კახეთის, ისე იმერეთის სამეფოს. ეს ის დრო იყო, როდესაც რუსეთსა და ოსმალეთს შორის დაპირისპირება კიდევ უფრო ღრმავდებოდა. რუსეთს პოლონეთის გადანაწილებასთან დაკავშირებით დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა ევროპის სახელმწიფოებთან (პოლონეთის პირველი გადანაწილება 1772 წელს შედგა, მეორე – 1793 წელს). ორ ფრონტზე მებრძოლ რუსეთის იმპერიას ქართლ-კახეთის სამეფოსა და იმერეთის სამეფოს მფარველობაში მიღების გამო შეიძლებოდა ირანთან და ოსმალეთთან ურთიერთობა დაძაბვოდა, გამორიცხული არ იყო ომიც. ამიტომ იყო, რომ ეკატერინა II ფრთხილობდა. მის მიერ ნაკარნახევი ხელშეკრულების პირველ მუხლში გარკვევით იყო აღნიშნული: ქართველ მეფეებთან სამოკავშირო ტრაქტატი დაიდოს, მათ ქვეშევდომები კი არ ვუწოდოთ, არამედ – რუსეთის იმპერიის მფარველობაში მყოფი მოკავშირეები. ეკატერინა II ფრთხილობდა, ირანის გაღიზიანებას ერიდებოდა. 1768-1774 წლების ომის შემდგომ რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობა დროდადრო სერიოზულად იძაბებოდა. იმავდროულად ინგლისი ცდილობდა პოლონეთის დანაწილებისათვის რუსეთის, ავსტრიისა და პრუსიის დაპირისპირება როგორმეომში გადაეზარდა. ამ ფონზე ირანთან ურთიერთობის გაუარესება არასასურველი, საშიშიც კი იქნებოდა. გარკვევით უნდა ითქვას, რომ გეორგიევსკის ტრაქტატის დადებით სერიოზულ რისკს არა რუსეთის იმპერია, არამედ ქართლ-კახეთის სამეფო სწევდა. საშიშროება მრავალმხრივი იყო: ყველაზე დიდ ხიდათს შეიცავდა ირანის გაერთიანება და სამხრეთ-აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში რუსეთის აგრესის აღკვეთა, როგორც ეს ნადირ შაჰმა მოიმოქმედა. ამ შემთხვევისათვის ქართლ-კახეთის სამეფოს „მფარველი“,

ოსმალეთსა და ევროპის სახელმწიფოებთან დაპირისპირებული რუსეთი, გარკვეული ხნით კავკასიონის ქედს გადაღმა დარჩე-ბოდა. ერეკლე II-ის პრორუსული ორიენტაციით გაღიზიანებული ირანი კი შურს იძიებდა.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული, ცხადია, კარგად ჰქონდა გააზ-რებული ერეკლე II-ს. მაშინ, რატომ გადაწყვიტა მეფემ გეორგიევს-კის ტრაქტატის დადება? ერეკლე II-ს სწამდა, რომ ირან-ოსმალეთ-რუსეთის დაპირისპირება ადრე თუ გვიან რუსეთის გამარჯვებით დასრულდებოდა, ამიტომ უმჯობესი იყო ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის იმპერიის მფარველობაში სამხრეთ-აღმოსავლეთ ამიერ-კავკასიაში რუსეთის შემოჭრამდე შესულიყო. წინააღმდეგ შემთხ-ვევაში რუსეთი ქართლ-კახეთს ირანულ სახანოებთან გააიგივებდა და მასაც სახანოების მსგავსად დაიპყრობდა. ერეკლე რუსეთთან ისეთი ხელშეკრულების დადებას ესწრაფოდა, რომელიც ქართლ-კახეთს ირანული სახანოებისაგან გამოარჩევდა და სახელმწიფოე-ბრიობის შენარჩუნების გარანტიას მისცემდა. ერეკლე II სავსებით ლოგიკურად აზროვნებდა, თუმცა მოვლენები სხვაგვარად, თუ შეი-ძლება ითქვას, სრულიად არალოგიკურად განვითარდა.

არ შეიძლება ზოგიერთი საბედისწერო გადაწყვეტილების მიღებაში ერეკლე II დავადანაშაულოთ. ჩვენი პოზიცია რომ უფრო ნათელი გახდეს, აუცილებელია რუსეთის საიმპერატორო კარის იმ გადაწყვეტილებებს შევეხოთ, რომლებიც ერეკლეს, არათუ 1782-1783 წლებში, სიცოცხლის ბოლომდეც კი არ შეუტყვია. საგარეო პოლიტიკის ყველა მნიშვნელოვან საკითხზე გადაწყვეტილებას მეფე, სამეფო კარი იმ ინფორმაციის ანალიზის შედეგად უნდა იღებდეს, რომელსაც სხვადასხვა სახელმწიფოს დედაქალაქიდან აწვდიან. ერეკლე II-ის შემთხვევაში ვითარება კარდინალურად განსხვავებული იყო. ქართლ-კახეთის სამეფოს თეირანში, სტამ-ბოლსა და პეტერბურგში რამე დიპლომატიური წარმომადგენლო-ბის მსგავსი (ელჩი, კონსული) 1783 წლამდე არასდროს ჰყოლია.

ეს იმას ნიშნავს, რომ მეფემ არაფერი უწყოდა იმ გადაწყვეტილებების შესახებ, რომლებსაც ირანში, ოსმალეთსა და რუსეთში ქართლ-კახეთის სამეფოსთან ურთიერთობის თაობაზე იღებდნენ. ერეკლეს ინფორმაცია მისდიოდა, მაგრამ ეს შემთხვევიდან შემთხვევამდე ხდებოდა, ხოლო ხშირად მიღებული ცნობა ყურმოკრულ ამბებს ეყრდნობოდა. ცხადია, ამას არაფერი ჰქონდა საერთო პროფესიონალი დიპლომატების მიერ მოწოდებული მასალასთან. ქართლ-კახეთის სამეფოს არ გააჩნდა საგარეო დაზვერვა, რომელიც ირანში, ოსმალეთსა და რუსეთში მეფის დავალებით გარკვეული სახის ინფორმაციას მოიპოვებდა. ასე რომ, ერეკლე II-ს გადაწყვეტილებები, ფაქტობრივად, ნულოვანი ინფორმაციის პირობებში უნდა მიეღო. ასე მოხდა 1782-1783 წლებშიც. მაშინ, როდესაც რუსი რეზიდენტები ქართლ-კახეთის სამეფო კარზე ათ-წლეულების განმავლობაში წარმატებით მუშაობდნენ (ოფიციალურად ისინი მოგზაურები, მხატვრები ან ექიმები იყვნენ) ერეკლეს რუსეთის იმპერიის დედაქალაქში არცერთი დიპლომატი არ ჰყავდა. რუსეთის საიმპერატორო კარმა თითქმის ყველაფერი იცოდა, რაც ქართლ-კახეთის სამეფო კარზე ხდებოდა, ერეკლე II-მ კი არაფერი უწყოდა იმ გადაწყვეტილებების შესახებ, რომლებიც ჰეტერბურგსა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის მფარველობითი ხელშეკრულების დადგების პერიოდში ან შემდგომ ხანებში მიიღეს. ამიტომ იყო, რომ მეფემ ვერ ახსნა, რუსეთის საიმპერატორო კარი, რომელიც 11 წელი არ ცდილობდა ქართლ-კახეთის სამეფოსთან მფარველობითი ხელშეკრულების დადებას, მოულოდნელად, 1782 წლის ბოლოს და 1783 წლის დამდეგს, რატომ აჩქარდა და ხელშეკრულების მომზადება და დადება უმოკლეს დროში რატომ მოინდომა. ქართლ-კახეთის მეფემ არ იცოდა, რომ რუსეთის საიმპერატორო კარის აჩქარება ორმა მიზეზმა განაპირობა: ყირიმის სახანოს საკითხის რუსეთის სასარგებლოდ გადაწყვეტამ და „საბერძნეთის პროექტმა“. როგორც ზემოთ

აღვნიშნეთ, „საბერძნეთის პროექტმა“ ქართლ-კახეთის სამეფოს სამხრეთ ამიერკავკასიაში მნიშვნელოვანი ფუნქცია შესძინა. მალე ვითარება კარდინალურად, ქართლ-კახეთისათვის საბედისწეროდ, შეიცვალა. ოსმალეთის დანაწილების საკითხში რუსეთის მოკავშირე ავსტრიის იმპერია იყო. ინგლისმა, რომელსაც რუსეთისა და ავსტრიის მონაწილეობით ოსმალეთის დანაწილება ხელს არ აძლევდა, ავსტრიის იმპერატორზე გავლენა მოახდინა და ავსტრია „საბერძნეთის პროექტს“ გამოეთიშა. ავსტრიის იმპერატორმა ეკატერინა II-ს მისწერა: ყირიმის სახანოს რუსეთის შემადგენლობაში გადასვლას ვცნობ; თუ ოსმალეთი რუსეთს ომს დაუწყებს, რუსეთის მოკავშირე ვიქენები, მაგრამ ოსმალეთის გადანაწილებაში მონაწილეობას ვერ მივიღებო. „საბერძნეთის პროექტის“ განხორციელება შეფერხდა და ქართლ-კახეთის სამეფომაც სამხრეთ კავკასიაში ის მნიშვნელოვანი ფუნქცია დაკარგა, რომელიც მას ოსმალეთის გადანაწილების შემთხვევაში ენიჭებოდა და რამაც გეორგიევსკის ტრაქტატის დადება დააჩქარა. „საბერძნეთის პროექტის“ ჩაშლას საბედისწერო მნიშვნელობა ჰქონდა ქართლ-კახეთის სამეფოსათვის, ერეკლე II-მ კი ამის შესახებ არაფერი უწყოდა, ეს იყო სახელმწიფოებრივი საიდუმლო, რომელსაც პეტერბურგში მკაცრად იცავდნენ. „საბერძნეთის პროექტის“ ჩაშლამ რუსეთის იმპერიის კავკასიურ პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა: თუ პროექტიდან გამომდინარე, რუსეთის საიმპერატორო კარი ქართლ-კახეთის სამეფოსთან მფარველობითი ხელშეკრულების დადებას, საქართველოში ჯარის გამოგზავნას საჭიროდ მიიჩნევდა, „საბერძნეთის პროექტის“ ჩაშლის შემდეგ რუსეთისათვის გეორგიევსკის ტრაქტატის პირობების შესრულება უკვე ზედმეტად იქცა. ამიერიდან ყურადღება პოლონეთის დანაწილებაზე იქნა გადატანილი და ევროპის სახელმწიფოებთან დაპირისპირებული რუსეთი ოსმალეთსა და ირანთან მშვიდობიანი ურთიერთობის შენარჩუნების გზას დაადგა. ეკატერინა II-მ კარგად იცოდა,

რომ ორანსაც და ოსმალეთსაც ქართლ-კახეთის სამეფოში მდგარი ორი რუსული ბატალიონი უკიდურესად აღიზიანებდა. ამიტომ იყო, რომ საქართველოში ჯარის დამატებითი კონტინგენტის გაზიარებისაგან, რასაც ერეკლე II მრავალგზის ითხოვდა, იმპერატორი თავს იკავებდა. ასე გრძელდებოდა წლების განმავლობაში, ხოლო 1787 წელს ოსმალეთთან ომის დაწყების მომიზეზებით რუსეთმა საქართველოდან ის ორი ბატალიონიც გაიყვანა. ამ ნაბიჯით შეშფოთებულ ერეკლე II-ს პეტერბურგიდან განუმარტეს: რუსეთის ჯარის ქართლ-კახეთის სამეფოში ყოფნა მეზობელ სახელმწიფოებს აღიზიანებს, ჯარის გაყვანის შემდეგ თქვენ მეზობლებთან ურთიერთობას უფრო ადვილად მოაგვარებთო. ალბათ, უადგილო არ იქნება ორი ასეთი ფაქტის გახსენებაც:

ამბავი პირველი: 1784 წლის 24 იანვარს თბილისში გეორგიევსკის ტრაქტატის რატიფიკაცია შედგა – ერეკლე II-მ ხელი მოაწერა სარატიფიკაციო სიგელს (ამ დროისათვის „საბერძნეთის პროექტი“ უკვე ჩაშლილი იყო). რატიფიკაციის ცერემონიალის დასრულების შემდეგ მეფემ პეტერბურგში გამგზავრება და ეკატერინა II-თან შეხვედრა გადაწყვიტა. რუსეთის იმპერატორმა პეტერბურგში ერეკლეს ჩასვლა საჭიროდ არ მიიჩნია და მეფეს შვილების გაგზავნა ურჩია. ეს უკვე ცუდის ნიშანი იყო. მეფე ერეკლე ამას იმთავითვე მიხვდა, მაგრამ მას არ შეიძლებოდა სცოდნობა, რომ ამის მიზეზი „საბერძნეთის პროექტის“ ჩაშლა იყო. რუსეთის იმპერატორი დიპლომატიურ თამაშს ეწეოდა: ეკატერინა II უკვე ხელმოწერილი ტრაქტატის რატიფიკაციაზე უარს არ ამბობდა, სამაგიეროდ, ერეკლე II-ის პეტერბურგში ჩასვლაზე თავი შეიკავა, ეს კი იმის მომასწავებელი იყო, რომ იგი რუსეთის იმპერატორი ტრაქტატის პირობების შესრულებას არ აპირებდა. იმპერატორი სწორად ვარაუდობდა, რომ ქართველი მეფის პეტერბურგში ჩასვლა ირანისა და ოსმალეთის გაღიზიანებას გამოიწვევდა. გეორგიევსკის ტრაქტატზე ხელის აღების

შემდეგ ერეკლე II-ის პეტერბურგში ჩასვლა რუსეთისათვის არა-ვითარ საჭიროებას აღარ წარმოადგენდა. რუსეთი ჩვეულ ორ-პირობას განაგრძობდა: ეკატერინა II-მ კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ I-ს ბრილიანტის ჯვარი უბოძა და 2.500 მანეთით დააჯილ-დოვა, დედოფალმა დარეჯანმა წმ. ეკატერინას ორდენი მიიღო, სხვადასხვა სახის ჯილდოები დაიმსახურეს გიორგი, იულონ და ვახტანგ ბატონიშვილებმა. პოდპოლკოვნიკის სამხედრო წოდება ებოძა 17 წლის მირიან ბატონიშვილს, ხოლო 18 წლის თემურაზ ბატონიშვილს, რომელიც ანტონის სახელით ბერად იყო აღკვე-ცილი, იმპერატორი რუსეთში მიწვევას და არქიეპისკოპოსის ხარისხში აყვანას დაპპირდა. რუსული რევერანსები გათვალ-ისწინებული იქნა. 1784 წლის 23 მაისს ეკატერინა II-ის სურვილის თანახმად, მირიან ბატონიშვილი და თემურაზ ბატონიშვილი (ბერ-დიაკონი ანტონი, მომავალი კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ II) იმპერიის დედაქალაქს გაემგზავრნენ.

ამბავი მეორე: გეორგიევსკის ტრაქტატის დადებასთან და-კავშირებით 1784 წლის 6 დეკემბერს ეკატერინა II-მ ერეკლეს 24 ქვემეხი და ყუმბარების 2 კომპლექტი უბოძა. ეს მეფის დასამშ-ვიდებელი ქმედება იყო, რადგან ამ დროისათვის პეტერბურგში საიდუმლო გადაწყვეტილება უკვე მიღებული იყო, რომლის ძა-ლითაც რუსეთი გეორგიევსკის ტრაქტატის შესრულებაზე ფაქ-ტობრივად უარს ამბობდა, თუმცა მის იურიდიულად გაუქმების საკითხს არ აყენებდა. მეფე ერეკლეს დასამშვიდებლად ნაბო-ძებმა 24-მა ქვემეხმა დიდხანს იმოგზაურა: 1785 წლის თებერ-ვალში ქვემეხები პეტერბურგიდან ტვერში გაგზავნეს, შემდეგ მდინარე ვოლგით ქალაქ ცარიცინამდე ჩაიტანეს, საიდანაც ისევ სახმელეთო გზით ეკატერინოგრადში გადაიტანეს და ქვემეხებმა თბილისში მხოლოდ 1787 წელს ჩამოალწია, ისიც ნაწილმა. მეორე ნაწილის ჩამოტანა იმდენად დაგვიანდა, რომ კრწანისის ომსაც კი (1795 წლის სექტემბერი) ვერ მოუსწრო. ერეკლე II-ის მრავალგ-

ზის თხოვნის მიუხედავად, ქვემეხების თბილისში ჩამოტანა 1797 წლის 31 დეკემბერსაც კი არ იყო დასრულებული. მეფე ისე გარდა-იცვალა, რომ ნაბოძები ქვემეხების სრულად ნახვას ვერ ელირსა.

ერეკლე II-მ, როგორც აღვნიშნეთ, არაფერი უწყოდა არც „სა-ბერძნეთის პროექტის“ არსებობის, არც მისი შეფერხების, ხოლო შემდეგ საერთოდ მივიწყების შესახებ. მეფემ არც ის იცოდა, რომ რუსეთმა პოლიტიკური ვექტორი დასავლეთისაკენ მიაბრუნა, მთელი ყურადღება პოლონეთის გადანაწილებაზე გადაიტანა, ეს კი ირანსა და ოსმალეთთან მშვიდობის შენარჩუნებას ითხოვდა. რუსეთის კავკასიური პოლიტიკის ახალი დებულება – „სიწყნარე სამხრეთის საზღვრებზე“ – ფაქტობრივად, ქართლ-კახეთის სამე-ფოს განირვას, მისი ირანისა და ოსმალეთის პირისპირ მიტოვებას და, მაშასადამე, გეორგიევსკის ტრაქტატის ფაქტობრივ გაუქმებას ნიშნავდა. ამ პერიოდის ისტორიიდან კიდევ ერთი მრავლისმეტყვე-ლი ფაქტის გახსენება შეიძლება. ეკატერინა II უმაღლესი პოლი-ტიკური და სამხედრო ელიტის წარმომადგენლებთან ერეკლე II-ის თხოვნის საფუძველზე საქართველოში ჯარის დამატებითი კონტინ-გენტის გაგზავნის საკითხს იხილავდა. ჯარის გაგზავნას თათბირის მონაწილეთაგან ზოგი მხარს უჭერდა, ზოგიც ეწინააღმდეგებოდა. ეკატერინა II-მ დასვა კითხვა: არსებობს კი იმის გარანტია, რომ საქართველოში მყოფ ორ ბატალიონს ოსმალები არ ამოახრინენ? როცა უარყოფითი პასუხი მიიღო, იმპერატორმა განაცხადა: თუ ორი ბატალიონის უსაფრთხოების გარანტია არ არსებობს, მაშინ დამატებითი ჯარი რატომდა უნდა გავიმეტოთო. ცხადია, ერეკლე II-მ არც ამ გადაწყვეტილების შესახებ უწყოდა რაიმე, ამიტომაც დაბეჯითებით, თუმცა ამაოდ, ითხოვდა რუსეთის ჯარის ახალი ნაწილების გამოგზავნას.

დღეს ხშირად სვამენ კითხვას: რა მოხდებოდა, რუსეთის იმ-პერიას გეორგიევსკის ტრაქტატით ნაკისრი ვალდებულება რომ შეესრულებინა? ჩვენი ღრმა რწმენით, არაფერი შეიცვლებოდა.

ქართლ-კახეთის სამეფო ისევ ისე დაასრულებდა არსებობას, როგორც დაასრულა 1801-1802 წლებში, სამეფო ყველა შემთხვევაში გაუქმდებოდა, ან ცოტა ადრე, ან ცოტა მოგვიანებით. რუსეთის საიმპერატორო კარი, ეკატერინა II გეორგიევსკის ტრაქტატს არ განიხილავდა, როგორც ქართლ-კახეთის სამეფოს გადარჩენის მიზნით დადებულ ხელშეკრულებას. ტრაქტატი საქართველოში მშვიდობიანად, ომის გარეშე შემოღწევის საშუალებას წარმოადგენდა. ეს იმ პირობებში, როდესაც ქართლ-კახეთის სამეფო ირანის, იმერეთის სამეფო კი ოსმალეთის ვასალი იყო, ხოლო ჩრდილო კავკასია რუსეთს ჯერ არ დაეპყრო და მოკლე დროში ვერც დაიპყრობდა. ასეთ ვითარებაში რუსეთს საქართველოში ერთბაშად, ომის გზით შემოღწევა სახიფათოდ მიაჩნდა. რუსეთის საიმპერატორო კარი საქართველოს დაპყრობას სამ ეტაპად გეგმავდა: 1. ქართლ-კახეთის სამეფოსთან მფარველობითი ხელშეკრულების დადება (ომის გარეშე შემოღწევა; სამეფოს საშინაო ვითარებაში, ეკონომიკურ მდგომარეობასა და სამხედრო სიძლიერეში გარკვევა); 2. ქვეშევრდომობითი ხელშეკრულება (პოზიციების განმტკიცება, ერეკლე II-ის ოპოზიციის წახალისება, რუსული ორიენტაციის ძალების ორგანიზება – რუსეთის მეხუთე კოლონის შექმნა); 3. ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება და ქვეყანაში რუსული მმართველობის, საოკუპაციო რეჟიმის დამყარება. პირველი ეტაპი ერეკლე II-ის მეფობის ბოლო პერიოდში (1783-1798 წწ.) დასრულდა; მეორე ეტაპი გიორგი XII-ის დროს (1798-1800 წწ.) უნდა დასრულებულიყო, ფაქტობრივად დასრულდა კიდეც, ოლონდ მეფის გარდაცვალების გამო რუსეთის იმპერიასა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის ქვეშევდრომობითი ხელშეკრულება იურიდიულად ვერ გაფორმდა. მესამე ეტაპი 1801-1802 წლებში განხორციელდა, როდესაც რუსებმა მათ მიერვე ტახტის მემკვიდრედ აღიარებულ დავით გიორგის ძეს ტახტზე ასვლის უფლება არ მისცეს და ქვეყანაში რუსული მმართველობა შემოილეს.

აუცილებელია პასუხი გაეცეს კითხვას: რეალურად მიიჩნევ-და თუ არა ერეკლე // რუსეთის იმპერიის მხრიდან გეორგიევს-კის ტრაქტატის შესრულებას? სანამ ამ კითხვას ვუპასუხებდეთ, აუცილებელია აღინიშნოს: გეორგიევსკის ტრაქტატი არ წარმოადგენდა რაიმე მნიშვნელოვან ხელშეკრულებას, ისეთ ხელშეკრულებას, რომელსაც შეიძლებოდა ქართლ-კახეთის სამეფო გადაერჩინა. დიდი მნიშვნელობა გეორგიევსკის ტრაქტატს რუსულმა იმპერიულმა ისტორიოგრაფიამ პოლიტიკური მოსაზრებით მიანიჭა. რუს ისტორიკოსებს სურდათ რუსეთის იმპერიისათვის „დამპყრობლის“ სტატუსი მოეხსნათ და „მფარველის“ სტატუსი მიენიჭებინათ. პოლიტიკური მიზნები ამოძრავებდა საბჭოთა ისტორიოგრაფიასაც, რუსულსაც და ქართულსაც. არ შეიძლებოდა „უფროსი ძმა“ დამპყრობელი ყოფილიყო, იგი ქართლ-კახეთს მფარველად, მეგობრად, მზრუნველად უნდა მოვლენოდა. რუსეთის იმპერიული და საბჭოთა ისტორიოგრაფია გეორგიევსკის ტრაქტატის გაიდეალუდი 1801 წლის 12 სექტემბრის აქტის შერბილებას, რუსეთის საიმპერატორო კარისათვის პირის მობანას ცდილობდა. ეს მზაკვრული ჩანაფიქრი კარგა ხანს ძლიერ სააგიტაციო საშუალებას წარმოადგენდა, თუმცა ჭეშმარიტების საბოლოოდ დამალვა შეუძლებელი აღმოჩნდა. რაც შეეხება ზემოთ დასმულ კითხვას, მასზე პასუხის გაცემა ძნელია, რადგან დოკუმენტებიდან არ ჩანს, რას ფიქრობდა მეფე ერეკლე. ერთი რამ ცხადია, ერეკლე დაიმედებული იქნებოდა იმით, რომ მფარველობითი ხელშეკრულება რუსეთის ინიციატივით დაიდო. 1782-1783 წლებში რუსეთი ერეკლე // -ს მფარველობითი ხელშეკრულების დადებას აჩქარებდა. სხვა ინფორმაცია ქართლ-კახეთის მეფეს არ ჰქონდა, რადგან გეორგიევსკის ტრაქტატის დადების შემდეგ რუსეთის საიმპერატორო კარის ახალი კავკასიური პოლიტიკა დიდ სახელმწიფო საიდუმლოებას წარმოადგენდა. ამ საიდუმლოების გაგების გარეშე კი ერეკლე // ვერანაირად ვერ შეიტყობდა, თუ

რატომ არ ასრულებდა რუსეთის იმპერია ტრაქტატით ნაკისრ ვალდებულებებს. არა ერეკლე II-ის დაცვის, მისი გამართლების მიზნით, არამედ ჭეშმარიტების დადგენისათვის აუცილებლად მივიჩნიეთ იმ საკითხზე მსჯელობა, რომელსაც ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა ხოლმე. ორ სახელმწიფოს შორის ხელშეკრულების მომზადება, დადება და შემდეგ მის შესრულებაზე კონტროლი გამოცდილი დიპლომატების და რაღაც დონეზე მაინც საგარეო დაზვერვის არსებობას მოითხოვს. როგორც აღვნიშნეთ, არც ერთი, არც მეორე ერეკლე მეფეს არასდროს ჰყოლია. გეორგიევსკის ტრაქტატის დადების შემდეგ ერეკლე II თბილისში ინახულა რუსმა რეზიდენტმა, რომელმაც შემდგომ თავის მოხსენებაში აღნიშნა: მეფის ჯანმრთელობა შერყეული მეჩვენა, მხრებში მოხრილიყო, მაგრამ თვალებიდან დიდი ძალა გამოკრთოდა. დაიწყო თუ არა საუბარი, მაშინვე დავრწმუნდი, რომ მეფე აღმოსავლური დიპლომატის ხელოვნებას პრეზინვალედ ფლობდა. ერეკლე კი იყო გამოცდილი დიპლომატი, მაგრამ გეორგიევსკის ტრაქტატის მომზადებასა და დადებაში არც ერთი პროფესიონალი დიპლომატი არ მონაწილეობდა. დოკუმენტზე ხელის მომწერებს, გარსევან ჭავჭავაძესა და იოანე მუხრანბატონის, დიპლომატიურ ასპარეზზე მოღვაწეობის არანაირი გამოცდილება არ ჰქონდათ, უფრო მეტიც, ისინი მოლაპარაკების მაგიდას ისე მიუსხდნენ, რომ რუსულ ენას ვერ ფლობდნენ. აქედან გამომდინარე, მათ არ იცოდნენ, რა ეწერა ტრაქტატის რუსულ ეგზიმპლარში. გეორგიევსკის ტრაქტატის დადების შემდეგ რუსეთში ქართლ-კახეთის სამეფოს სრულუფლებიან ნარმომადგენლად (მინისტრად) რუსულის არმცოდნე გარსევან ჭავჭავაძე დაინიშნა. თბილისიდან გაგზავნილ ოფიციალურ დოკუმენტებს პეტერბურგში მას რუსულად უთარგმნიდნენ და ისიც ქართული ასო-ნიშნებით ხელს აწერდა: „პოლნომოჩნი მინისტრი გარსევან ჭავჭავაძე“. „პოლნომოჩნი მინისტრი“ თბილისში ისე დაბრუნდა,

ვერც რუსული ისწავლა და ვერც რაიმე არსებითი შეიტყო, თუ რატომ არ ასრულებდა რუსეთი გეორგიევსკის ტრაქტატის პირობებს. ან რისთვის უნდა მიეღწია გარსევან ჭავჭავაძეს, როცა მას ურთიერთობა ინგლისში, საფრანგეთში, პრუსიასა და ევროპის სხვა ქვეყნებში მუშაობის დიდი გამოცდილების მქონე რუს დიპლომატებთან უხდებოდა. გარსევან ჭავჭავაძესთან ერთად, რუსეთის საიმპერატორო კართან ურთიერთობა ჰქონდათ სრულიად ახალგაზრდა ბატონიშვილ მირიანს და არქიმანდრიტ გაიოზს. მართალია, ორივენი დროსა და ენერგიას არ იშურებდნენ მეფე ერეკლეს დავალებების შესასრულებლად, მაგრამ რუს დიპლომატებთან ისინიც ბევრს ვერაფერს აღნევდნენ. ასე გაგრძელდა ერეკლეს სიცოცხლის ბოლომდე. როდესაც იგრძნო, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს ალსასრული მოახლოებული იყო, გარსევან ჭავჭავაძე საგანგებო წერილში იმპერატორ პაველ I-ს (1796-1801) სთხოვდა ავადმყოფი მეფისათვის სანუგეშებელი წერილი გაეგზავნა. ეს უკვე ქართველი დიპლომატის მიერ კაპიტულაციის გამოცხადებას ჰქავდა. ცხადია, იმპერატორს ერეკლე II-თვის სანუგეში წერილი არ გამოუგზავნია.

ეკატერინა II-ის მმართველობის ბოლო წლებში გეორგიევსკის ტრაქტატი სრულ ფიქციად იქცა. თუმცა ერთი იმედისმომცემი გარემოებაც იყო: 1796 წელს რუსეთის ჯარი ირანის დაპყრობის მიზნით კასპიისპირეთში შეიჭრა და სერიოზული წარმატებებიც მოიპოვა. ჯარის ერთი ნაწილი ქართლ-კახეთის სამეფოში შემოვიდა და განჯისა და ერევნის სახანოებზე შეტევისათვის დაიწყო მზადება. სამწუხაროდ, ეკატერინა II-ის გარდაცვალების შემდეგ ახალმა იმპერატორმა, პაველ I-მა, დედის ჩანაფიქრზე ხელი აიღო და ლაშქრობა შეწყვიტა. ინგლისის დასამარების მოსურნე იმპერატორი ფრთხილობდა: „ოსმალეთმა არ უნდა იფიქროს, რომ ჩვენ ომის საბაბს ვეძებთ.“

ყოველივე ზემოთქმულს თუ შევაჯამებთ, შეიძლება

დავასკვნათ: ირან-ოსმალეთ-რუსეთის დაპირისპირება სამხრეთ კავკასიაში იმგვარად განვითარდა, რომ ერეკლე II იძულებული გახდა 35-წლიანი პროირანული ორიენტაცია პრორუსულით შეცვალა. რუსეთის საიმპერატორო კარი არც ამის შემდეგ ენდობოდა ერეკლე II-ს და მასთან პოლიტიკურ თამაშს აგრძელებდა: ხან ირანითა და ოსმალეთით აშინებდა, ხან – ქართლის თავადებითა და რუსეთში გადახვეწილი ვახტანგ VI-ის მემკვიდრეებით. ერეკლე ჭკვიანი დიპლომატი იყო და იმთავითვე მიხვდა, რომ მართალია 1770 წელს გენერალ ტოტლებენის ავანტიურა ჩაიშალა და რუსეთმა მისთვის არასასურველი მეფის თავიდან მოშორება ვერ შეძლო, მაგრამ სავსებით ცხადი იყო, რომ რუსეთი მსგავს ქმედებებს კვლავაც გააგრძელებდა. რუსეთის საიმპერატორო კარი კარგად იყენებდა იმას, რომ 1769 წელს ერეკლე II-მ გადაწყვიტა კავკასიის პირობებში ერეკლე II-მ გადაწყვიტა კავკასიის მომავალ მპყრობელს მორიგებოდა და რუსეთის მფარველობა მიეღო. ამის შემდეგ ყველაფერი საიმპერატორო კარზე დაწერილი სცენარით განვითარდა. ერეკლე II-ს, ცხადია, არ შეეძლო შეცვალა რუსეთის იმპერიის კავკასიური პოლიტიკის არსი.

მეფე ერეკლე „რუსეთის კაცი“ არ ყოფილა და არც რუსეთი მოუყვანია საქართველოში. სიმართლე უნდა ითქვას: რუსეთი მოდიოდა და საქართველოს დასაპყრობად მას არც გეორგიევსკის ტრაქტატი და არც ერეკლე II-ის პრორუსული ორიენტაცია სჭირდებოდა. რუსეთის კავკასიურ პოლიტიკაში მთავარი არა გეორგიევსკის ტრაქტატი და ერეკლე II-ის ორიენტაცია, არამედ ირანის დამარცხება, ქართლ-კახეთის სამეფოს დაპყრობა, ოსმალეთის დამარცხება და იმერეთის სამეფოს დაპყრობა იყო. გეგმა, ერთი შეხედვით, რთული, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, განხორციელება-დი იყო. 1804 წელს იმერეთის მეფე სოლომონ II, რომელიც აშკარად

ადგა ანტირუსულ ორიენტაციას, სამხედრო ძალის გამოყენების მუქარით აიძულეს რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობა მიეღო. იმერეთის სამეფოს გაუქმება 1804 წლიდან 1809-1810 წლებამდე მხოლოდ იმიტომ გადაიდო, რომ 1806 წელს რუსეთ-ოსმალეთის ომი დაიწყო. სანამ რუსეთმა ამიერკავკასიაში წარმატებები არ მოიპოვა, იმერეთის სამეფოს გაუქმებისაგან თავი შეიკავა. ომში ოსმალეთის მარცხი იმერეთის სამეფოს გაუქმებასაც ნიშნავდა! დღევანდელი სომხეთისა და აზერბაიჯანის ტერიტორიაზე არსებულ ერევნის, განჯის, ნახჭევნის, ყარაბაღის, შაქის, შირვანის, ბაქოსა და სხვა სახანოებს რუსეთის იმპერიასთან გეორგიევსკის ტრაქტატის მსგავსი ხელშეკრულებები არ დაუდიათ, მაგრამ 1803-1804 წლიდან დაწყებული რუსეთმა ეს სახანოები ზედიზედ დაიპყრო. დაიპყრო იმიტომ, რომ 1804-1813 წლების ომში ირანი დაამარცხა და აიძულა, ამიერკავკასიის სამფლობელოები მისთვის დაეთმო.

რუსეთი ამიერკავკასიაში გამარჯვებულის უფლებით მოვიდა. ამასთან დაკავშირებით ურიგო არ იქნებოდა ერთი მრავლისმეტყველი ფაქტი გაგვეხსენებინა: ევროპის სახელმწიფოთა კოალიციამ (რუსეთი, ინგლისი, პრუსია) ნაპოლეონი დაამარცხა. 1815 წელს ვენაში კონგრესზე შეკრებილი ევროპის სახელმწიფოთა ლიდერები კონტინენტის მომავალზე მსჯელობდნენ, სახელმწიფოთა შორის დამოკიდებულების პრინციპებს არკვევდნენ. დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა მეთაურებმა გადაწყვიტეს, როგორმე ევროპა რუსეთის ჯარისაგან გაეთავისუფლებინათ და ამ საკითხის კონგრესის სხდომაზე დაყენება კლემენს ფონ მეტერნიხს მიანდეს. გაიხსნა თუ არა სხდომა, მეტერნიხმა განაცხადა: ჩვენ გვსურს ვიცოდეთ, რა უფლებით დგას რუსეთის 120.000-იანი ჯარი ვარშავის საპერცოგოში? სამარისებური სიჩუმე ალექსანდრ I-მა დაარღვია: „გამარჯვებულის უფლებით!“ ამჯერად სიჩუმეში მეტერნიხის ხმა გაისმა: „გადავიდეთ დღის წესრიგის შემდეგ საკითხზე.“

სამხრეთ კავკასიაში „გამარჯვებულის უფლებით“ მოსული რუსეთის იმპერია ყველა სამეფოს, სამთავროსა და სახანოს უბოძიშოდ დაეპატრონებოდა, როგორც დაეპატრონა უეჩ-პოსპოლიტას დამარცხების შემდეგ უკრაინას, შვედეთის დამარცხების შემდეგ – ლიტვას, ლატვიას, ესტონეთსა და ფინეთს, ოსმალეთის დამარცხების შემდეგ – მოლდოვას.

სამი დამპყრობლის, ორანის, ოსმალეთის, რუსეთის, დაპირისპირებაში მეფე ერეკლე ყოველნაირად ცდილობდა ისეთი საგარეო პოლიტიკა აერჩია, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფოებრიობა გადაერჩინა. დიდ პოლიტიკას დიდი სახელმწიფოები განსაზღვრავენ, ხოლო რიცხვით მცირე ერის, პატარა სახელმწიფოს მეფეს დიდი პოლიტიკის მიმართულების შეცვლა არ შეუძლია. აქედან გამომდინარე, ყველაფერს არა ერეკლე II-ის საგარეო-პოლიტიკური ორიენტაცია, არამედ ის წყვეტდა, თუ რით დასრულდებოდა ორანის, ოსმალეთისა და რუსეთის დაპირისპირება სამხრეთ კავკასიაში. საქართველო ამ დაპირისპირებაში გამარჯვებულს უნდა დარჩინოდა. ერეკლე II-ს ერთადერთი მიზანი ამოძრავებდა: წინდანინ გაერკვია ამ გამარჯვებულის ვინაობა, შესაფერი საგარეო-პოლიტიკური ორიენტაცია შეემუშავებინა და კავკასიის მომავალი მპყრობელისაგან ქართლ-კახეთის სამეფოს შენარჩუნების გარანტია მიეღო. დიდმა პოლიტიკამ მეფე ერეკლეს სხვა არჩევანი არ დაუტოვა.

ლიტერატურა:

1. ქართული დიპლომატიის ისტორია მთავარი რედაქტორი აკად. როინ მეტრეველი. თბილისი, 2022.
2. ვახტანგ გურული. რუსეთი მოდიოდა თუ ერეკლეს მოპყვდა? – ჟურნალი „ცისკარი 1852“, 2022, N5, გვ.67-82.
3. ვახტანგ გურული. მეფე ერეკლე და რუსეთი. თბილისი, 2018

ლექცია 11. „საბერძნეთის პროექტი“ რუსეთის მიერ ყირიმის სახანოს შეერთების შემდეგ

1783 წელს ავსტრიის იმპერატორმა იოსებ II-მ ეკატერინა II-ს ყირიმის სახანოს შეერთება კი მიულოცა, მაგრამ რუსეთის მოკავშირეს მერყეობაც დაეტყო. იოსებ II ეკატერინა II-ს სწერდა: ყირიმის სახანოს რუსეთთან შეერთება ვცანი. თუ ოსმალეთი რუსეთს ომს გამოუცხადებს, რუსეთის მოკავშირე ვიქნები, მაგრამ თუ პირიქით, რუსეთი ოსმალეთს გამოუცხადებს ომს, ნეიტრალიტეტს დავიცავო. ფაქტობრივად, ეს იმას ნიშნავდა, რომ ავსტრიის იმპერატორი საბერძნეთის პროექტის განხორციელებაში მონაწილეობაზე დელიკატურად ამბობდა უარს. ეკატერინა II-თვის სავსებით ცხადი იყო, რომ იოსებ II-ის პოზიცია ევროპის დიდი სახელმწიფოების ანტირუსული პოლიტიკის შედეგი იყო. მიუხედავად ამისა, რუსეთის იმპერატორი პოზიციის ერთბაშად დათმობას არ აპირებდა და დაუინებით ცდილობდა ავსტრიის იმპერატორის მიმხრობას.

1787 წელს ეკატერინა II-მ ყირიმში მოგზაურობა გადაწყვიტა. მას სურდა ყირიმში ავსტრიის იმპერატორიც მიეწვია. იოსებ II-ის ყირიმში ჩასვლა ევროპის სახელმწიფოებისათვის იმის დემონსტრირება იქნებოდა, რომ რუსეთისა და ავსტრიის კავშირი კვლავ ძალაში იყო და, ამდენად, „საბერძნეთის პროექტიც“ დღის წესრიგიდან არ მოხსნილა. ცხადია, იოსებ II კარგად აცნობიერებდა, თუ რას ნიშნავდა მისი ყირიმში მოგზაურობა. ეკატერინა II იოსებ II-დმი გაგზავნილი წერილი ისე დაასრულა, რომ ყირიმში მიწვევაზე არაფერი უათქვამს, მხოლოდ პოსტსკრიპტუმში იყო აღნიშნული, რომ რუსეთის იმპერატორი ავსტრიის იმპერატორს ყირიმში ეპატიუებოდა. ეკატერინა II გამოცდილი დიპლომატი იყო და ასეთი უტაქტობა არ ახასიათებდა, მით უფრო, რომ წერილის ადრესატი მონარქი იყო. იოსებ II აღმფოთდა და კანცლერი-

სადმი გაგზავნილ წერილში ეს აღშფოთება ასე გამოხატა: „მას (ეკატერინა II-ს – ვ. გ.) წარმოუდგენია, რომ თითს დამიქნევს და მეც ხერსონში გავიქცევი! მე ვაგრძნობინებ ამ ეკატერინიზე-ბულ პრინცესა ცერბსტსკის (ეკატერინას ქალიშვილობის გვარია – ვ. გ.), რომ ჩემთან ურთიერთობაში უფრო ღირსეული ტონი შეარჩიოს.“ მიუხედავად ამისა, იოსებ II შექმნილი საერთაშორისო ვითარების გაანალიზების შემდეგ მაინც „გაიქცა“ ყირიმში. ეკატერინა II ყოველნაირად ცდილობდა თავისი უტაქტობა როგორმე გამოესწორებინა. იმპერატორი ალნიშნავდა, რომ „გული სიხარულით უძგერდა“ იოსებ II-თან შეხვედრის მოლოდინში. ყირიმში იოსებ II-ს პომპეზური შეხვედრა მოუწყვეს. ავსტრიის იმპერატორს მოგზაურობაში თან ახლდა ყირიმელი თათრების ცხენოსანი კორტეჟი, სევასტოპოლის ყურეში მანევრირებდა რუსეთის სამხედრო ფლოტი. იოსებ II-ის ყირიმში ზარ-ზეიმით მიღება, ცხადია, სასიამივნოდ არ დაურჩათ ევროპის დიდი სახელმწიფოებს: დიდ ბრიტანეთს, საფრანგეთს, პრუსიას.

ყირიმში მოგზაურობით მიღებული შთაბეჭდილება სავსებით გააუფერულა ბელგიიდან მიღებულმა ცნობამ: პროვინციის კრებამ ავსტრიის იმპერიისათვის ხარკის შეწყვეტის დადგენილება მიიღო. იოსებ II-მ ვენაში ჩასვლის შემდეგ საყვედურებით აავსო მინისტრები იმის გამო, რომ სულმოკლეობა გამოიჩინეს და ბელგიელებს დაუთმეს. უმკაცრესი ზომებით იოსებ II-მ ბელგიელები ხარკის გადახდაზე დაითანხმა.

ყირიმში მოგზაურობისას იმპერატორები ქალაქ ხერსონსაც ესტუმრნენ. მონარქებმა გაიარეს იმ თაღის ქვეშ, რომელზედაც წარნერა ბერძნულ ენაზე იყო: „გზა კონსტანტინოპოლისაკენ“. ეს ოსმალეთის პირდაპირ გამოწვევას ნიშნავდა. ეკატერინა II-მ პეტერბურგში დაბრუნებაც ვერ მოასწრო, რომ ოსმალეთის სულთანმა რუსეთის იმპერატორს ორი ულტიმატუმი წაუყენა: ოსმალეთი უარს ამბობდა ეცნო რუსეთის პროტექტორატი ქა-

რთლ-კახეთის სამეფოზე; ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებში შესული რუსეთის სავაჭრო ფლოტის ხომალდები აუცილებელ შემოწმებას უნდა დაქვემდებარებოდნენ. ისე, რომ პირველ ულტიმატუმზე პასუხს არც კი დალოდებია, 1787 წლის 5(16) აგვისტოს სტამბოლში რუსეთის ელჩი იაკოვ ბულგაკოვს ოსმალეთის ხელისუფლებამ მეორე ულტიმატუმი გადასცა: სულთანი ყირიმის სახანოს ოსმალეთისათვის დაბრუნებას და ქუჩუკ-კაინ-არჯის ზავის გაუქმებას მოითხოვდა. იაკოვ ბულგაკოვმა ასეთი ულტიმატუმის პეტერბურგში გაგზავნა უაზრობად ჩათვალა. რუსეთის ელჩი დაუყოვნებლივ დააპატიმრეს და ციხეში ჩასვეს. 1787 წლის 13(24) აგვისტოს ოსმალეთმა ომი გამოუცხადა რუსეთს. 17(28) სექტემბერს ეკატერინა II-მ ხელი მოაწერა მანიფესტს ოსმალეთთან ომის დაწყების შესახებ. მანიფესტში აღნიშნული იყო: ქუჩუკ-კაინარჯის ზავით რუსეთმა დაადასტურა, რომ რუსეთ-ოსმალეთის ომის მიზანი ტერიტორიების ხელში ჩაგდება კი არ იყო, არამედ რუსეთის სახელმწიფოსათვის მშვიდობისა და უსაფრთხოების მოტანა. მართლაც, ხსენებული ზავით რუსეთს გადაეცა შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროს ნაწილი მდინარეებს, ბუგსა და დნესტრს, შორის.

რუსეთ-ოსმალეთის 1787-1791 წლების ომი რუსეთის დიდი სამხედრო გამარჯვებებით აღინიშნა. რუსეთის წარმატებებმა საზღვაო და თუ სახმელეთო ბრძოლებში მთელი ევროპა არასა-სიამოვნო რეალობის წინაშე დააყენა. ერთი შეხედვით ისე ჩანდა, რომ „საბერძნეთის პროექტის“ განხორციელებისათვის ხელ-საყრელი პირობები შეიქმნა. ამჯერად თავი სხვა პრობლემებმა იჩინა: რუსეთის მთელ რიგ გუბერნიებში ძლიერი გვალვა იყო, მოუსავლიანობამ დიდი შიმშილობა გამოიწვია. რუსეთი იძულებული გახდა, ხორბალი საზღვარგარეთ შეესყიდა. ოსმალეთის მიერ რუსეთისათვის სრულიად მიუღებელი ულტიმატუმების სასწრაფოდ წაყენება და შემდეგ ომის გამოცხადება იმითაც იყო

განპირობებული, რომ სტამბოლში კარგად იცოდნენ ქვეყანაში დაწყებული შიმშილიანობის შესახებ. ოსმალეთის გათვლას რეალური საფუძველი ჰქონდა: ხორბლის მოუსავლიანობა რუსეთს დიდი და ხანგრძლივი ომის წარმოების საშუალებას არ მისცემდა. თუმცა სტამბოლში ვერ გაითვალისწინეს ბევრი რამ: რევოლუციის ზღვარზე მყოფმა საფრანგეთმა ოსმალეთის აშკარა მხარდაჭერისაგან თავი შეიკავა, ხოლო ავსტრიის იმპერატორმა იოსებ II-მ ეკატერინა II-ს აცნობა, რომ წაკისრ ვალდებულებებს შეასრულებდა. ეს ასეც მოხდა: თუმცა მოგვიანებით, 1788 წლის 29 იანვარს (8 თებერვალს), ავსტრიამ ოსმალეთს ომი გამოუცხადა.

მართალია, საბრძოლო მოქმედებები ზღვაზეც და ხმელეთზეც რუსეთის დიდი უპირატესობით მიმდინარეობდა, მაგრამ მალე სამხედრო-პოლიტიკური ვითარება რუსეთის საზიანოდ შეიცვალა. დიდმა ბრიტანეთმა თავდაპირველად რუსეთს უფლება მისცა დაექირავებინა ინგლისელი მეზღვაურები ხოლო რუსეთის სამხედრო ფლოტს დიდი ბრიტანეთის პორტები გამოეყენებინა, მაგრამ ბალტიის ზღვიდან ხმელთაშუა ზღვაში შესული რუსული ესკადრის მიერ მოპოვებულმა წარმატებებმა დიდი ბრიტანეთი შეაშფოთა, მან პოლიტიკაც შეცვალა: ბრიტანელი მეზღვაურები რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტიდან გაიწვიეს. ხმელთაშუა ზღვაზე დაგეგმილი საბრძოლო ოპერაციების წარმატებაზე ფიქრიც კი აღარ შეიძლებოდა. დიდი ბრიტანეთის მიერ რუსეთის სამხედრო ფლოტის მის წავსადგურებში შესვლის აკრძალვით ხმელთაშუა ზღვის აუზში რუსეთის სამხედრო ფლოტის მოქმედებები განწირული იყო მარცხისათვის, უფრო მეტიც, ეს ავანტიურული ხაფანგი იყო. შექმნილ ვითარებაში ოსმალეთთან ომის მთელი სიმძიმე რუსეთის არმიას უნდა ეკისრა. ყველაზე ძლიერ სამხედრო შენაერთს ეკატერინოსლავის არმია (80.000 ოფიცერი და ჯარისკაცი) წარმოადგენდა, რომელსაც გრიგორი

პოტიომკინი სარდლობდა. ეკატერინოსლავის არმიას უნდა დაეკავებინა სივრცე მდინარეებს ბუგსა და დნესტრს შორის, აელო ოჩაკოვის სიმაგრე, დაეკავებინა ბესარაბიის ტერიტორია, დაეწყო ბენდერის შტურმი. ავსტრიის არმიას ხოტინისთვის უნდა დაერტყა ალყა. უკრაინის არმიას (30.000 ოფიცერი და ჯარისკაცი), რომელსაც პიოტრ რუმიანცევი სარდლობდა, უეჩ-პოსპოლიტას მოსალოდნელი მტრული მოქმედებები უნდა აღეკვეთა, პოზიციები დაეკავებინა ეკატერინოსლავის არმიისა და ავსტრიის არმიის ფრონტების შესაყარზე, უნდა შეენარჩუნებინა რუსეთის არმიის მიერ მოპოვებული პოზიციები ბუგსა და დნესტრს შორის. როგორც ვხედავთ, ომებში სახელგანთქმულ მხედართმთავარ პიოტრ რუმიანცევის არმიას მეორეხარისხოვანი როლი ენიჭებოდა. ეს ეკატერინა II-ის ფავორიტ გრიგორი პოტიომკინის ინტრიგების შედეგი იყო.

ოსმალეთის არმიის სარდლობის სამხედრო-სტრატეგიული გეგმა, პირველ რიგში, ყირიმის დაბრუნებას ითვალისწინებდა, რაც აქტიური საბრძოლო მოქმედებების გარეშე შეუძლებელი იყო. ოსმალეთის არმიის ყირიმის ნახევარკუნძულზე შექრისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა კინბურნის ნახევარკუნძულის დაკავებას. ნახევარკუნძულზე მდებარე ძლიერი სიმაგრის იერიშები ოსმალებმა 1787 წლის აგვისტოს ბოლოს დაიწყეს. კინბურნის სიმაგრის დაცვას ალექსანდრ სუვოროვი ხელმძღვანელობდა. 1787 წლის 1(12) ოქტომბერს ოსმალებმა ზღვიდან იანიჩართა რჩეული ნაწილები (5.000 მებრძოლი) გადასხეს. ხელჩართულ ბრძოლაში გამოუცდელი რუსი ახალწვეულები შედრკნენ. გადამწყვეტ მომენტში ალექსანდრ სუვოროვი პირადად ჩაება ბრძოლაში, რამაც რუსი ოფიცირებისა და ჯარისკაცების საბრძოლო სულისკვეთება აამაღლა. ოსმალებმა რუსების კონტრშეტევას ვეღარ გაუძლეს, მალე მათი დესანტი მთლიანად განადგურდა.

წარუმატებლად განვითარდა საბრძოლო მოქმედებები ზღ-

ვაზე. ფელდმარშალ გრიგორი პოტიომკინის მიერ ვარნის პორტის მიმართულებით გაგზავნილი რუსეთის სამხედრო ესკადრა საშინელ დელვაში მოჰყვა, ხომალდებისა და ფრეგატების ნაწილი დაზიანდა ან ქარიშხალმა სხვადასხვა მიმართულებით გაიტაცა. სასოწარკვეთილი გრიგორი პოტიომკინი წერდა: „სევასტოპოლის ფლოტი ქარიშხალმა გაანადგურა... ხომალდები და დიდი ფრეგატები დაიღუპა. გვებრძვის ღმერთი და არა – ოსმალები. გრიგორი პოტიომკინმა უფლებამოსილების მოხსნა გადაწყვიტა და ამის შესახებ პიოტრ რუმიანცევს აცნობა. გრიგორი პოტიომკინის გადაწყვეტილებამ უკიდურესად აღაშფოთა ეკატერინა ॥. იმპერატორი ფელდმარშალს სწერდა: „მე ვფიქრიობ, რომ ომის დროს ფელდმარშალს ევალება არმიასთან ერთად იყოს... თქვენ ხომ პატარა, კერძო პირი არა ხართ, რომელიც თავისი საქმეებით ცხოვრობს და რასაც უნდა, იმას აკეთებს. თქვენ ეკუთვნით სახელმწიფოს, თქვენ მეკუთვნით მე!“

გრიგორი პოტიომკინმა გადაწყვეტილება შეცვალა, მაგრამ აშკარად ჩანდა, რომ ფელდმარშალი დაბნეული, შეიძლება შეშინებულიც იყო. გრიგორი პოტიომკინმა პიოტრ რუმიანცევს რჩევისათვის მიმართა: შეიძლებოდა თუ არა ხერსონისა და კინბურნის დაცვის მიზნით ყირიმის ნახევარკუნძულიდან რუსეთის ჯარების გამოყვანა. პიოტრ რუმიანცევმა ყირიმის ნახევარკუნძულიდან ჯარების გამოყვანა არ მიიჩნია მიზანშეწონილად და ამის შესახებ პეტერბურგში საგანგებო წერილით აცნობა ეკატერინა ॥-ს. ამრიგად, გრიგორი პოტიომკინის განწყობილების შესახებ ეკატერინა ॥-მაც შეიტყო. იმპერატორი შეეცადა ფავორიტის დამშვიდებას, მაგრამ იმავდროულად, კატეგორიულად აუკრძალა ყირიმის ნახევარკუნძულიდან ჯარების გამოყვანა. იმპერატორი სარდალს განუმარტავდა, თუ რა კატასტროფული შედეგები მოჰყვებოდა ყირიმიდან ჯარების გამოყვანას.

ამ დროისათვის სევასტოპოლში დაბრუნდა ქარიშხლისა-

გან დაზიანებული სამხედრო ფლოტი, არ ჩანდა მხოლოდ ერთი ხომალდი. გემების უმეტესობას აფრები დაპგლეჯოდა, გადატეხილი იყო ანძები, ყოველ მათგანს კორპუსი სერიოზულად დაზიანებოდა. აშკარა იყო, რომ სამხედრო ფლოტს მნიშვნელოვანი საბრძოლო მოქმედებების განხორციელება აღარ შეეძლო. ცხადია, ეს უპირატესობას ოსმალეთს ანიჭებდა.

1788 წელმა ახალი პრობლემები მოიტანა. პრუსიის სამეფო კარმა გადაწყვიტა პასიური მაყურებლის როლში არ დარჩენილიყო, არ დალოდებოდა იმას, თუ ოსმალეთის მარცხის შემდეგ როგორ გაზრდიდნენ ავსტრია და რუსეთი თავიანთ ტერიტორიებს. ბერლინში პრუსიის სამეფოს პირველმა მინისტრმა **ევალდ ფრიდრიხ გერცერგმა** აღმოსავლეთ ევროპის ახალი პოლიტიკური რუკის მონახაზი შეადგინა. პრუსიის სამეფო კარის გეგმა ასეთი იყო: ავსტრიის იმპერატორი იოსებ II და რუსეთის იმპერატორი ეკატერინა II, სანამ ბალყანეთის პრობლემებს გადაჭრიდნენ, პრუსიას ინგლისის დახმარებით პოლონეთის ახალი გადანაწილებისათვის უნდა მიეღწია, ხელში ჩაეგდო დანცინგი და ტორნი. თუ მოვლენები ბერლინში შემუშავებული გეგმის მიხედვით განვითარდებოდა, პრუსია თანახმა იქნებოდა, ავსტრიას მიეღო დუნაის სამთავროები (მოლდოვა, ვლახეთი, ბესარაბია). საერთაშორისო არენაზე ვითარება აშკარად რუსეთისა და პრუსიის საზიანოდ შეიცვალა. დიდმა ბრიტანეთმა, პრუსიამ და პოლანდიამ გადაწყვიტეს, არ დაეშვათ რუსეთისა და ავსტრიის პირველობა ევროპაში. სულ უფრო ცხადი ხდებოდა, რომ ამ გეგმას მხარს უჭერდა შვედეთი. არსებობდა იმის დიდი ალბათობა, რომ ჟეჩ-პოსპოლიტა პრუსიას, დიდ ბრიტანეთს, პოლანდიასა და შვედეთს მიემხრობოდა. ყოველივე ზემოთ თქმული ჯერჯერობით მხოლოდ მოსალოდნელი საფრთხის რანგში განიხილებოდა. მალე საფრთხე რეალობად იქცა.

განგაშის პირველი სიგნალი **შვედეთიდან** მოვიდა. პეტარ-

ბურგში ვარაუდობდნენ, რომ რუსეთთან განცდილი მარცხის შემდეგ შვედეთი რუსეთის წინააღმდეგ ომში აშკარად გამოსვლას ვერ გაბეძავდა. ასე არ ფიქრობდა ეკატერინა II-ის ბიძაშვილი დედის მხრიდან, შვედეთის მეფე **გუსტავ III.** ეკატერინა II-ს თავის ბიძაშვილთან კარგი ურთიერთობა არასდროს ჰქონია. იმპერატორი წერდა: „ის ფარისეველი, სულელი და მატყუარაა. არ არსებობს ჭორი, რომელსაც იგი ჩემ შესახებ არ ავრცელებდეს.“ როცა შვედეთის მეფის გეგმები შეიტყო, ეკატერინა II-მ სრულიად სერიოზულად იკითხა: „ჩემი ბიძაშვილი ხომ არ შეშლილა?“ გუსტავ III-მ საბოლოოდ გადაწყვიტა რუსეთის მოწინააღმდეგეთა ბანაკს მიმხრობოდა. შვედებმა სასაზღვრო რაიონში პროვოკაცია მოაწყვეს, თითქოს რუსეთის ჯარები შვედეთის საზღვრებში შეიჭრნენ. ამ ცუდად დადგმული სპექტაკლის შესახებ „ბოროტი ენები“ სტოკჰოლმში ხუმრობდნენ: შვედებმა რუსული მუნდირები დედაქალაქის ოპერის თეატრიდან ითხოვესო. მალე გუსტავ III-მ რუსეთსა და ოსმალეთს შორის შუამავლის როლი იკისრა. ეკატერინა II უკიდურესად აღაშფოთა ბიძაშვილის შემოთავაზებულმა ზავის პირობებმა: რუსეთს ასმალეთისათვის უნდა დაებრუნებინა ყირიმის ნახევარკუნძული. ვითომდა განეული სამსახურის სანაცვლოდ გუსტავ III რუსეთისაგან დიდ ტერიტორიულ დათმობებს ითხოვდა. რუსეთს შვედეთისათვის უნდა დაებრუნებინა კარელის ნაწილი და განეირაღებინა ბალტიის სამხედრო ფლოტი. ყველაფერი კი იმით დასრულდა, რომ შვედეთსა და ოსმალეთს შორის სამოკავშირო ხელშეკრულება დაიდო. ბიძაშვილის „სულელური“ საქციელით აღშფოთებულმა ეკატერინა II-მ არ იცოდა, რომ შვედეთის მეფეს უფრო სერიოზული გეგმები ჰქონდა, გუსტავ III-მ პეტერბურგზე ძლიერი არმია (36.000 ოფიცერი და ჯარისკაცი) დაძრა. ამ დროისათვის რუსეთის მხრიდან ბალტიის ზღვის სანაპიროს გაცილებით ნაკლები სამხედრო ძალა (20.000 ოფიცერი და ჯარისკაცი) იცავდა. რუსეთმა სასწრაფოდ

დაიწყო დამატებითი ჯარების გადასროლა საპრძოლო მოქმედებების რაიონში. პირველსავე ბრძოლებში შვედებმა სერიოზული მარცხი იწვნიეს. აქტიურად მოქმედებდა რუსეთის დიპლომატია, რისი შედეგიც იყო, რომ დანიამ ომი გამოუცხადა შვედეთს. მართალია, დიდი ბრიტანეთის ზეგავლენით, საპრძოლო მოქმედებები მაღე შეწყვიტეს, მაგრამ შვედეთისათვის მომხდარი მაინც შემაშფოთებელი იყო. 1788 წელს რუსეთის სამხედრო ფლოტმა გაანადგურა შვედეთის სამხედრო ფლოტი, რის შემდეგაც სტრატეგიული უპირატესობა იგდო ხელთ.

მართალია, რუსეთმა შვედეთის აგრესის აღკვეთა შეძლო, მაგრამ შვეციის, დიდი ბრიტანეთის, პრუსიის, უეჩ-პოსპოლიტა-სა და ოსმალეთის სამხედრო-პოლიტიკური კავშირი რუსეთის წინააღმდეგ ევროპის ქვეყნების ომის დაწყების რეალურ საშიშროებას ქმნიდა. საშიშროება რომ რეალური იყო, იქიდანაც ჩანდა, რომ პრუსიის მეფე ფრიდრიხ ვილჰელმ II-მ სასაზღვრო რაიონებში მზადყოფნაში მოიყვანა არმია (40.000 ოფიცერი და ჯარისკაცი).

აშკარა გახდა, რომ რუსეთისა და ავსტრიის მიერ ოსმალეთის დამარცხებისა და ბალკანეთის ნახევარკუნძულის დაკავების გეოსტრატეგიული გეგმა ევროპის ქვეყნების მხრიდან სერიოზულ წინააღმდეგობას წააწყდა. რუსეთის არმიის ცალკეული მნიშვნელოვანი გამარჯვებები საერთო ვითარებას ვერ ცვლიდა. მდგომარეობა არც მას შემდეგ გაუმჯობესებულა, რაც 1788 წელს ავსტრიის არმია (125.000 ქვეითი და 22.000 კავალერისტი) რუსეთის მხარეზე ომში ჩაება და მდინარე დნესტრსა და ადრიატიკის ზღვას შორის ტერიტორია დაიკავა. მართალია, რუსებმა და ავსტრიელებმა ხოტინის სიმაგრე აიღეს, მაგრამ ავსტრიელებმა დიდი მარცხი იწვნიეს ბელგრადთან. იოსებ II-მ ბელგრადს ალყა მოხსნა და უკანდახეულმა ძლივს დააღწია თავი ოსმალთა ტყვეობას. ვითარება დაიძაბა ავსტრიაშიც. საფრანგეთის 1789

წლის რევოლუციამ აღაფრთოვანა ბელგიელი პატრიოტები და ისინი ავსტრიის წინააღმდეგ საბრძოლველად განაწყო. ჰოლანდიაში შექმნილი ბელგიელთა რაზმები ბრიუსელისაკენ დაიძრნენ. იმავდროულად აჯანყებამ იფეთქა ბრიუსელშიც. ავსტრიელმა გენერალმა ქალაქი უბრძოლველად ჩააბარა. ბელგიის ეროვნულმა ასამბლეამ ბელგიის (ყოფილი ავსტრიის ნიდერლანდების) დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

1787 წელს დაწყებული რუსეთ-ოსმალეთის ომი ეკატერინა II-სთვის „საბერძნეთის პროექტის“ რეანიმაციის უკანასკნელ იმედს წარმოადგენდა. 1788-1789 წლებში ცხადი გახდა, რომ რუსეთისათვის ამ მნიშვნელოვან ჩანაფიქრს განხორციელება არ ეწერა, ევროპა ამ გეოსტრატეგიული პროექტის წინააღმდეგი იყო. რუსეთი და ავსტრია ოსმალეთს კი დაამარცხებდნენ, მაგრამ ევროპის ქვეყნების კოალიციას წინ ვერ აღუდგებოდნენ. რუსეთ-ოსმალეთის ომი 1791 წელს რუსეთის გამარჯვებით დასრულდა, მაგრამ ეს გამარჯვება „საბერძნეთის პროექტის“ რეალიზებისათვის სულაც არ კმაროდა.

ლიტერატურა:

1. Е.В. Анисимов. Россия В середине XVIII века. Москва, 1986.
2. Е.В. Анисимов. Россия без Петра. Ленинград, 1994.

ლექცია 12. ირანის დაშლის რუსული პროექტი და საქართველო

ქართლ-კახეთის სამეფოზე ლაშქრობამ და თბილისის აღებამ აღა მაპმად ხანის ავტორიტეტი აამაღლა. ამ გამარჯვებით იგი იმდენად ფრთაშესხმული იყო, რომ არა მარტო მისი მონინააღმდეგე ირანელი ხანების დევნა გააძლიერა, არამედ სამხრეთ-

აღმოსავლეთ კავკასიაში რუსეთის იმპერიის ინტერესებსაც კი უგულებელყოფდა. ეკატერინა II-ს სიმპათია აღა მაპმად ხანის მიმართ არასოდეს ჰქონია, იმპერატორი ყავართა ტომის ბელადს ირანის შაჰიად არც ცნობდა. ქართლ-კახეთის სამეფოს დალაშქვრა და თბილისის გადაწვა ეკატერინა II-თვის უმნიშვნელო მოვლენას წარმოადგენდა, მაგრამ აღა მაპმად ხანის მიერ აგრესიის გაფართოება და რუსეთის ინტერესების უგულებელყოფა სამხრეთ-აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ეკატერინა II-თვის მიუღებელი იყო. აღა მაპმად ხანი და ირანი შეიძლებოდა ქცეულიყო იმ ძალად, რომელიც შეაფერხებდა რუსეთის იმპერიის კავკასიური პოლიტიკის რეალიზებას. პეტერბურგში ირანის დასჯის აუცილებლობაზე აღაპარაკდნენ. რუსული ისტორიოგრაფია საქმეს ისე წარმოაჩენს, თითქოს აღა მაპმად ხანს ეკატერინა II 1795 წელს ქართლ-კახეთის სამეფოზე ლაშქრობისათვის სჯიდა. სინამდვილეში, ეს ასე არ იყო: ირანი უნდა დასჯილიყო, როგორც რუსეთის კავკასიური პოლიტიკის რეალიზების პროცესში ხელშემშლელი ძალა. ეკატერინა II ფრთხილობდა: გამორიცხული არ იყო ოსმალეთთან ახალი ომი, რომლის დაწყების დროისათვის ირანული საფრთხე ლიკვიდირებული უნდა ყოფილიყო, რათა რუსეთს თავიდან აეცილებინა ორ ფრონტზე ბრძოლა. პეტერბურგში ირანის დასჯის გეგმის შემუშავების პროცესში ჩაისახა უფრო ფართომასშტაბიანი და პერსპექტივაზე გათვლილი პროექტი: ირანის დანაწილებისა და სამხრეთ კავკასიაში ქრისტიანი ერებისაგან (ქართველების, სომხების, ასირიელებისაგან) რუსული ორიენტაციის სახელმწიფოს შექმნა.

რუსეთ-ოსმალეთის 1787-1791 წლების ომმა ცხადი გახადა „საბერძნეთის პროექტის“ უპერსპექტივობა, რაც ეკატერინა II-თვის დიდი დარტყმა იყო. სულ მაღლე რუსეთის იმპერიამ საგარეო ასპარეზზე დიდი წარმატება მოიპოვა. მხედველობაში გვაქვს უეჩ-პოსპოლიტას დანაწილება. უეჩ-პოსპოლიტას პირველი დან-

აწილების (1772 წ.) შემდეგ პრუსიის მეფე მუდმივად გამოთქვამდა უკმაყოფილებას იმის გამო, რომ პრუსიას შედარებით მცირედა ნაკლებად სტრატეგიული ტერიტორიები ერგო. 1793 წლის 23 იანვარს პრუსიამ და რუსეთმა ხელი მოაწერეს კონვენციას უეჩ-პოსპოლიტას მეორედ დანაწილების თაობაზე. კონვენციის თანახმად, რუსეთის იმპერიამ მიიღო ლიტვის ტერიტორია, რომლის საზღვარი გადიოდა დინაბურგ-პინსკ-ზბრუჩის ხაზზე. პრუსიას ერგო ეთნიკური პოლონელებით დასახლებული დანცინგ (გდანსკი), ტორნი, დიდი პოლონეთი, კუიავია და მაზოვია(მაზოვეცკის სავოევოდოს გარეშე). 1793 წლის 27 მარტს ეკატერინა II-მ ხელი მოაწერა მანიფესტს პოლონეთის მიწების რუსეთთან შეერთების შესახებ. ახლად შეძენილი ტერიტორია რუსეთის იმპერიაში კურლანდიის, ვილნისა და გროდნოს გუბერნიების სახით შევიდა. უეჩ-პოსპოლიტას მეორედ დანაწილებას პოლონეთში ტადეუშ კოსტიუშკოს ნინამძღოლობით დიდი ეროვნული აჯანყება მოჰყვა, რომელიც 1794 წელს რუსეთმა სამხედრო ძალის გამოყენებით ჩაახშო. აჯანყების ჩახშობას მოჰყვა უეჩ-პოსპოლიტას მესამე დანაწილება. 1795 წლის 24 ოქტომბრის ხელშეკრულებით რუსეთმა, პრუსიამ და ავსტრიამ პოლონეთის ტერიტორია ასე გაიყვეს: რუსეთმა მიიღო ლიტვისა და პოლონეთის ტერიტორია მდინარე ბუგის აღმოსავლეთით, რომლის საზღვარი გადიოდა ნემიროვ-გროდნოს ხაზზე. ამ ტერიტორიის ფართობი 120.000 კვადრატულ კილომეტრს უდრიდა, მოსახლეობა – 1.200.000 სულს. პრუსიას ერგო ეთნიკური პოლონელებით დასახლებული ტერიტორია მდინარეებს: პილიცას, ვისლას, ბუგისა და ნემანის დასავლეთით ქალაქ ვარშავითურთ, ასევე – ლიტვის დასავლეთ ნაწილი (მცირე ლიტვა), საერთო ტერიტორია 55.000 კვადრატულ კილომეტრი 1.000.000 მოსახლით. ავსტრიამ მიიღო ქალაქი კრაკოვი და მცირე პოლონეთის სამხრეთი ნაწილი, რომელიც მდინარეებს: პილიცას, ვისლასა და ბუგს შორის მდებარეობდა, ასევე –

პოდოლი და მაზოვია. საერთო ტერიტორიით 47.000 კვადრატული კილომეტრი 1.200.000 მცხოვრებით.

შემოწმებული მესამე დანაწილების შემდეგ დღის წესრიგში ირანის საკითხი დადგა. ცხადია, ირანის დანაწილების პროექტის შესახებ აღა მაჰმად ხანმა არაფერი უწყოდა. ქართლ-კახეთის სამეფოზე ლაშქრობისას (1795 წ.) რუსეთის იმპერიის პასიურობამ აღა მაჰმად ხანს მთელ სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიაზე თავისი ძალაუფლების გავრცელების სურვილი აღუძრა. განჯასთან მდგარმა აღა მაჰმად ხანმა 1795 წლის ნოემბერში **სულეიმან ხანის** სარდლობით 20.000 მებრძოლი შემახიის ხან **მუსტაფას** დასამორჩილებლად გაგზავნა. ამ ლაშქრობაში სულეიმან ხანს შაქის ხანი **მუჰამედ ჰასანი** ახლდა თან. შემახიის ხანი მუსტაფა მთებში გაიხიზნა. შემახიის სახანოზე თავდასხმით აღა მაჰმად ხანმა კიდევ ერთხელ უგულებელყო რუსეთის იმპერიის ინტერესები სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიაში. ამჯერად აღა მაჰმად ხანის მოქმედებას რუსეთის მხრიდან საპასუხო რეაქცია მოჰყვა. ეკატერინა II-ის 1795 წლის 16 ნოემბრის ბრძანება ივან გუდოვიჩს ავალებდა: თუ აღა მაჰმად ხანი შირვანში შეიჭრებოდა, შემახასა და ბაქოს დაიკავებდა, კასპიის ზღვის სანაპიროზე რუსეთის სამფლობელოებს მიუახლოვდებოდა, მაშინ რუსეთის ჯარს დერბენტი უნდა დაეკავებინა, დაეცვა ტარკის შამხალი და დერბენტის ხანი. ივან გუდოვიჩს საბრძოლო მოქმედებები 1796 წლის გაზაფხულზე უნდა დაეწყო. ვითარება შეცვალა აღა მაჰმად ხანის გააქტიურებამ. გარდა ამისა, მერყეობა დაეტყო დერბენტის ახალგაზრდა ხან **შეიხ ალის**. იყო იმის საფრთხე, რომ აღა მაჰმად ხანი დერბენტს დაიკავებდა.

დაყოვნება აღარ შეიძლებოდა. ივან გუდოვიჩი ეკატერინა II-ის 1795 წლის 16 ნოემბრის ბრძანების შესრულებას 1796 წლის გაზაფხულის ნაცვლად 1795 წლის ზამთარში შეუდგა. 1795 წლის 19 დეკემბერს რუსეთის ჯარის ქვეითთა 3 ბატალიონი, კაზა-

კთა 1 ესკადრონი (250 კაზაკი), 500 ყალმუხი 6 საველე ზარბაზნითა და პროვიანტის ორთვიანი მარაგით გენერალ-მაიორ ივან საველიევის სარდლობით ყიზლარიდან დერბენტისაკენ დაიძრა. ასე დაიწყო რუსეთმა ირანის წინააღმდეგ საომარი მოქმედებები. პოლკოვნიკ სიროხნევის მეთაურობით რუსეთის ჯარი (1.480 მებრძოლი) ვლადიკავკაზიდან თბილისისაკენ 1795 წლის 20 ნოემბერს გამოემართა, ხოლო თბილის დეკემბრის მიწურულს მოაღწია. გენერალ-მაიორ საველიევის სარდლობით რუსეთის ჯარი (2.250 მებრძოლი) ყიზლარიდან დერბენტისაკენ 1795 წლის 19 დეკემბერს დაიძრა, ვლადიკავკაზიდან თბილისისაკენ წამოსული რუსეთის ჯარის ორი ბატალიონი დუშეთსა და თბილის შორის მოძრაობდა.

1796 წლის 15 თებერვალს გენერალ-მაიორი ივან საველიევი დერბენტს მიუახლოვდა. რუსეთის ჯარის გარდა, მას თან ახლდა დალესტნელთა ჯარი. დერბენტის ხანის ცხენოსანთა რაზმმა ცეცხლი გაუხსნა რუსეთთა ავანგარდს – კაზაკებს. ამ უკანასკნელთ დაეხმარა 200 ეგერი და დერბენტის ხანის ცხენოსანთა რაზმი უკუაქციეს. რუსეთის ჯარი დერბენტიდან ორი ვერსის მოშორებით დაბანაკდა. მომდევნო დღეებში რუსებმა დერბენტის გარშემო სიმაღლეები დაიკავეს და ქალაქის დაბომბვა დაიწყეს. 22 თებერვალს დერბენტის ხანმა გენერალ-მაიორ საველიევთან მოლაპარაკება დაიწყო. გენერალმა დერბენტში ორი ოფიცერი გაგზავნა. დერბენტის ახალგაზრდა ხანი შეის ალი თანახმა იყო რუსეთის ჯარი დერბენტში შესულიყო, მაგრამ ალა მაჰმად ხანის მხრიდან შურისძიებისა ეშინოდა. გენერალი საველიევი მიხვდა, რომ შეის ალი დროის მოგებას ცდილობდა. დერბენტის დაკავების შემდეგ გენერალი საველიევი აქტიური მოქმედებისაგან თავს იკავებდა, რადგან ჯარი დასვენებას საჭიროებდა. მთელმა თებერვალმა მუდმივ წვიმასა, თოვლსა და ძლიერ ქარში გაიარა, ჯარი დაიქანცა, შემცირდა ფურაჟისა და შეშის მარაგი. ამას

დაერთო ისიც, რომ გაუსაძლისი პირობების გამო დაღესტანელთა ჯარი შინ დაბრუნდა. ასეთ ვითარებაში დაიწყო გენერალმა ივან საველიევმა დერბენტის გამაგრება.

საბრძოლო მოქმედებები 1796 წლის 26 თებერვალს ირანელთა მიერ დერბენტის საარტილერიო დაბომბვით განახლდა, რომელიც 25 მარტამდე გრძელდებოდა. ამ პერიოდში ირანელებმა სამჯერ შეუტიეს ქალაქს, მაგრამ რუსებმა სამჯერვე უკუჯაჭიეს. ცხადი გახდა, რომ დერბენტს რუსები ადვილად არ დათმობდნენ. ამ ბრძოლების დროს ტარკის შამხალის ვაჟმა **მეჰთიმ** და ტაბასარანის ყადიმ ივან გუდოვიჩს დახმარება შესთავაზეს. ივან გუდოვიჩი შეთავაზებას დაეთანხმა და ამ ნაბიჯის შესახებ გენერალ საველიევსაც აცნობა. საველიევმა ტაბასარანის ყადისთან თავის წარმომადგენლად ექიმი გაგზავნა, რომელიც სინამდვილეში კაპიტანი **სიმონოვიჩი** იყო. კაპიტანმა სიმონოვიჩმა დაზვერა ის გზა, რომლითაც ირანელები ტაბასარანიდან დერბენტის სამხრეთ კედლებს შეიძლებოდა მისდგომოდნენ.

1795 წლის მარტში მოულოდნელად გენერალ-მაიორმა ივან საველიევმა დერბენტის დატოვების ბრძანება მიიღო. ბრძანება გენერალმა დაუყოვნებლივ შეასრულა და ჯარი 1795 წლის მარტის ბოლოს 15 ვერსის მოშორებით, სოფელ დარბთან, დააბანაკა. ამ დროისათვის გენერალ საველიევის დაქვემდებარებაში რუსეთის ჯარის დანაკარგი 9 მოკლული და 5 დაჭრილი მებრძოლი იყო.

რუსეთის სამპერატორო კარმა ირანის წინააღმდეგ უფრო ფართომასშტაბიანი საბრძოლო მოქმედებების დაწყება გადაწყვიტა.

* * *

ირანის წინააღმდეგ სამხედრო ექსპედიცია დიდხანს და საგულდაგულოდ მზადდებოდა. 1796 წლის თებერვალში ექსპედი-

ციის მთავარსარდლად დაინიშნა გენერალ-პორუჩიკი გრაფი ვალერიან ზუბოვი. 1796 წლის 19 თებერვალს ვალერიან ზუბოვმა ეკატერინა II-გან მიიღო ვრცელი (დაწვრილებითი) ბრძანება-ინსტრუქცია. იმპერატორი წერდა: 1. 1795 წლის შემოდგომაზე საქართველოში გამოგზავნილ რუსეთის ჯარს კიდევ დაემატებოდა ახალი ძალები; 2. რუსეთის ჯარის საშუალებით მეფე ერეკლემ უნდა შეძლოს თბილისა და ქვეყნის სხვა პროვინციებზე ძალაუფლების აღდგენა; 3. რუსეთის ჯარით ერეკლე მეფემ უნდა შეძლოს ერევნისა და სხვა სახანოების დამორჩილება; 4. რუსეთის ჯარის მიზანია არა მარტო ქართლ-კახეთის სამეფოს გათავისუფლება, არამედ აღა მაჭმად ხანის წინააღმდეგ მედგრად მებრძოლი ყარაბაღის ხან იბრაჟიმისა და სომეხი მელიქებისათვის დახმარების აღმოჩენა; 5. კავკასიის კორპუსის ჯარებს უნდა დაეკავებინათ მდინარე მტკვრის ორივე სანაპირო თბილისიდან განჯამდე და დახმარებოდნენ ყარაბაღში მცხოვრებ ქრისტიანებს.

ირანში გასაგზავნი საექსპედიციო კორპუსის ჩამოყალიბება 1796 წლის გაზაფხულზე დაიწყო ყიზლარში. ყიზლარი იმიტომ შეირჩა, რომ მთავარი საბრძოლო მოქმედებები კასპიის ზღვის სანაპიროზე იგეგმებოდა. ვალერიან ზუბოვს დაუქვემდებარეს კასპიის სამხედრო ფლოტილია. იარაღის, სურსათისა და ფურა-ჟის მთავარ ბაზას ასტრახანი წარმოადგენდა, საიდანაც საჭიროების შემთხვევაში იგი ბაქოში უნდა გადაეტანათ.

გენერალ-პორუჩიკი ვალერიან ზუბოვი ყიზლარში 1796 წლის 25 მარტს ჩავიდა, აქ მას დახვდა კასპიის კორპუსი: ქვეითთა 8 ბატალიონი (6.190 მებრძოლი), დრაგუნთა 4 პოლკი, კაზაკთა 7 ესკადრონი და 21 ზარბაზანი. საბოლოოდ ირანში გასაგზავნი სამხედრო-საექსპედიციო კორპუსი ასე გამოიყურებოდა:

1) კავკასიის გრენადერთა პოლკის 3 ბატალიონი, 2) მუშკეტერთა პოლკის 3 ბატალიონი, 3) მუშკეტერთა 12 ბატალიონი, 4) ეგერთა 7 ბატალიონი, 5) დრაგუნთა 27 ესკადრონი, 6) მოსკოვის

ლეგიონის 2 ესკადრონი, 7) მსუბუქი კავალერიის 12 ესკადრონი, 8) ჩუგუევოს კაზაკთა პირველი პოლკი, 9) მალოროსიელი რეკრუტები, 10) სხვადასხვა ტიპის ზარბაზანი – 38, 11) კასპიის ფლოტილიის ზარბაზანი – 12, 12) საარტილერიო პოლკის ზარბაზანი – 60.

სულ ირანში გასაგზავნ სამხედრო-საექსპედიციო კორპუსში ირიცხებოდა 30.000 მებრძოლი. ირანში საბრძოლო მოქმედებების დაწყების დროისათვის თბილისში პოლკოვნიკ **სიროხნევის** დაქვემდებარებაში მყოფ რუსეთის ჯარის ქვეითთა 2 ბატალიონს პირველი შესაძლებლობისთანავე უნდა დამატებოდა ქვეითთა კიდევ 2 ბატალიონი, მსუბუქი კავალერიის 12 ესკადრონი და დონის კაზაკთა 2 პოლკი, ასევე 8 საველე ზარბაზანი. საქართველოში განლაგებულ რუსეთის ჯარს ეწოდა **კავკასიის კორპუსი**.

ირანში სალაშქროდ გამზადებული სამხედრო-საექსპედიციო კორპუსის მთავარსარდალს, გენერალ-პორუჩიკ ვალერიან ზუბოვს გამოცდილი კადრები შეურჩის: გენერალ-მაიორი **სერგეი ბულგაკოვი**, გენერალ-მაიორი **ალექსანდრ რიმსკი-კორსაკოვი**, გენერალ-მაიორი **პაველ ციციანოვი**, ბარონი **ლეონტი ჭონბენისი**, კაზაკთა ჯარის ატამანი **მატვეი პლატოვი**. კასპიის ფლოტილიას სარდლობდა კონტრ-ადმირალი **ნიკოლაი ფიოდოროვი** და **სხვ.**

ირანის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებების გეგმა ასეთი იყო:

ყიზლარიდან დაძრულ **კასპიის კორპუსს** უნდა დაეკავებინა დერბენტი და **ბაქო**. ამ შეტევის პარალელურად კავკასიის კორპუსს ქართლ-კახეთის სამეფოს ჯართან ერთად **განჯისა** და **ყარაბაღის** მიმართულებით უნდა დაეწყო ბრძოლა.¹ თუ აღა მაჰმად ხანი რუსთა მთავარ ძალებს – კასპიის კორპუსს – შეუტევდა, მაშინ მას **შირვანის** სახანოს გავლით აღა მაჰმად ხანის ჯარისათვის ზურგიდან უნდა დაერტყა.

ყიზლარიდან კასპიის კორპუსის შეტევის მიმართულება

(ყიზლარი – დერბენტი – ბაქო) სწორად იყო შერჩეული. სწორად იყო შერჩეული კავკასიის კორპუსის შეტევის მიმართულებაც (თბილისი-განჯა-ყარაბაღი). უფრო მოხერხებული იყო შეტევა თბილისი-ერევნის მიმართულებით, მაგრამ ეს მიმართულება რისკის შემცველი იყო. ერევნის სახანოს ტერიტორია, ისევე, როგორც მდინარე არაქსის ზემო ნელი, უშუალოდ ესაზღვრებოდა ოსმალეთს და იქ ქართველთა და რუსთა ჯარის შესვლას შეიძლებოდა რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობა დაეძაბა. გარდა ამისა, იმერეთის მეფე სოლომონ II ოსმალეთთან ურთიერთობის გართულების თავიდან აცილების მიზნით ერევნის სახანოს ტერიტორიაზე ერთობლივ ლაშქრობაში მონაწილეობას ვერ მიიღებდა. უნდა ითქვას, რომ ერევნის სახანოს ტერიტორიის აღა მაჰმად ხანის ჯარისაგან გათავისუფლება ერეკლე II-ს და ყარაბაღის ხან იბრაჰიმს დამოუკიდებლადაც შეეძლოთ.

* * *

კავკასიის კორპუსის შექმნის მიზანს წარმოადგენდა ქართლ-კახეთის სამეფოზე აღა მაჰმად ხანის განმეორებითი თავდასხმის ალკვეთა, ყარაბაღელი სომეხი მელიქების, ხან იბრაჰიმის და რუსეთისადმი კეთილგანყობილი სხვა ხანების გამხნევება. კასპიის კორპუსის დერბენტიდან ბაქოს მიმართულებით შეტევაზე გადასვლის პარალელურად კავკასიის კორპუსს (სარდალი გენერალ-მაიორი პაველ ციციანოვი) **თბილისიდან** მდინარე მჭკვრის ველის გავლით **განჯის** მიმართულებით უნდა შეეტია, სომეხი მელიქების დახმარებით აეჯანყებინა ყარაბაღის ქრისტიანი მოსახლეობა და ხან იბრაჰიმის დასახმარებლად დაძრულიყო. იბრაჰიმ ხანის ირანელთა ალყისაგან განთავისუფლების შემდეგ კავკასიის კორპუსი მდინარე არაქსზე უნდა გადასულიყო, აზერბაიჯანის ირანული სახანოებიდან განედევნა აღა მაჰმად ხანის ჯარები და კასპიის კორპუსს შეერთებოდა.

* * *

1796 წლის მარტში გამოქვეყნდა რუსეთის იმპერატორ ეკატერინა II-ს მანიფესტი ირანის ხალხისადმი. მანიფესტში განმარტებული იყო ირანში რუსეთის ჯარის შესვლის მიზეზები. ერთ-ერთ მიზეზად დასახელებული იყო აღა მაჰმად ხანის თავდასხმა რუსეთის იმპერიის მფარველობაში მყოფ ქართლ-კახეთის სამეფოზე. ვალერიან ზუბოვს ეკატერინა II-მ უბრძანა მეფე ერეკლე II-თვის, ყარაბაღელი სომეხი მელიქებისათვის, ყარაბაღის ხან იბრაჟიმისათვის, დაღესტნელებისა და შირვანელებისათვის წერილობით ეცნობებინა, რომ რუსეთის ჯარის ირანში ლაშქრობის მიზანი მათი გათავისუფლება იყო.

1796 წლის 18 აპრილს კასპიის კორპუსი დერბენტისაკენ დაიძრა. დღიდი ბრძოლების შემდეგ, 10 მაისს, ვალერიან ზუბოვმა დერბენტი დაიკავა. ბრძოლაში დაიღუპა 11 ოფიცერი, დაიჭრა და მოკლეს დაახლოებით 200 ჯარისკაცი. გზა ირანის შიდა პროვინციებისკენ გახსნილი იყო. 1796 წლის 24 მაისს კასპიის კორპუსი დერბენტიდან გავიდა და 6 ივნისს ყუბა დაიკავა, თუმცა ყუბის სახანოს დაკავების შემდეგ შემახისათვის ბრძოლა გაჭიანურდა.

ვალერიან ზუბოვის სარდლობით ირანში შეჭრილი რუსეთის საექსპედიციო კორპუსის წარმატებებმა, ცხადია, ძალზე შეაშფოთა აღა მაჰმად ხანი. ვალერიან ზუბოვს აღა მაჰმად ხანის შესახებ არანაირი ინფორმაცია არ გააჩნდა. გავრცელდა ხმები, რომ აღა მაჰმად ხანმა ხორასანში მოწინააღმდეგებთან სასტიკი ანგარიშსნორების შემდეგ შაპის გვირგვინის მიღება გადაწყვიტა, მაგრამ არა ტრადიციისამებრ არდებილში, არამედ მაშვადში. აქ მან ნადირ შაპისეული გვირგვინი დაიდგა. სწორედ ამ დროს ირანში რუსეთის ჯარის შეჭრის ამბავი შეიტყვეს. ირანის მპრძანებელმა სარდლები შეკრიბა და განუცხადა: „რუსებმა ომი გამოგვიცხადეს, თქვენ მათ წინააღმდეგ გაუძღვებით ჩემს მამაც ჯარს“.

მაშპეადიდან აღა მაპმად შაპმა მაზანდარანში დამატებითი ჯარების გაგზავნა ბრძანა, რადგან ეშინოდა, ენზელსა და ას-ტრაბადში რუსებს საზღვაო დესანტი არ გადაესხათ. ამავე დროს მან **თალიშის** ხანს შეუთვალა, რომ მალე მის წინააღმდეგ გაიღამქრებდა და **სალიანს** დაიკავებდა. ამ დროისათვის კასპიის ფლოტილია კონტრ-ადმირალ **ნიკოლაი ფედოროვის** სარდლობით ბაქოში იმყოფებოდა. ვალერიან ზუბოვმა კასპიის ფლოტილია ბაქოდან გამოიხმო და თალიშის ხანის დახმარების მიზნით კას-პიის ზღვის სანაპიროს ბლოკადა დაუსახა მიზნად.

* * *

1796 წლის 30 აპრილს პლატონ ზუბოვმა წერილი გაუგზავნა ერეკლე II-ს. პლატონ ზუბოვი მეფეს ჰპირდებოდა, რომ მისი ძმა, ვალერიან ზუბოვი, ყოველ ღონეს იხმარდა ქართლ-კახეთის სამეფოსათვის დახმარების აღმოჩენის მიზნით. ეკატერინა II-ის ფავორიტი ერეკლე II-ს სწერდა, რომ როდესაც მისი სამეფოს უსაფრთხოება გარანტირებული იქნებოდა, მეფეს ქვეყანაში წეს-რიგი უნდა აღედგინა.

* * *

ირანში შეჭრილი რუსეთის საექპედიციო კორპუსის წინსვლა გარკვეული პერიოდის შემდეგ შეფერხდა. კორპუსი დერბენტს, ყუბასა და ბაქოს შორის გაიფანტა, არ კმაროდა ტვირთის გა-დასატანი ტრანსპორტი, საგრძნობი გახდა სურსათის ნაკლებობა. 1796 წლის ოქტომბერში კასპიის კორპუსს შეუერთდა კავკასიის კორპუსი. გენერალ-პორუჩიკმა ვალერიან ზუბოვმა კავკასიის კორპუსი განჯის დასაკავებლად გაგზავნა. კავკასიის კორპუსის სარდალი გენერალ-მაიორი პაველ ციციანოვი ამ დროისათვის უკვე დანიშნული იყო ბაქოს კომენდანტად, ხოლო მის ნაცვლად კავკასიის კორპუსის სარდალი გენერალ-მაიორი **ალექსანდრ**

რიმსკი-კორსაკოვი გახდა. კავკასიის კორპუსის შემადგნელობაში შედიოდა: ყუბანელი ეგერების 2 ბატალიონი, გრენადერთა 1 ბატალიონი, ტაგანროგის დრაგუნთა 1 პოლკი, პავლოგრადის მსუბუქი კავალერიის 1 პოლკი, დონის კაზაკთა 2 პოლკი ორლოვისა და კირეევის მეთაურობით და 5 საველე ქვემეხი. კორპუსის ტვირთი გადაჰქონდა 800 ოთხთვალასა და 250 აქლემს.

ალექსანდრ რიმსკი-კორსაკოვის სარდლობით კავკასიის კორპუსის განჯის მიმართულებით შეტევის პარალელურად ვალერიან ზუბოვს დაქვემდებარებული კასპიის კორპუსი შემახილის სახანოს ტერიტორიაზე შევიდა. შემახილის ხანი **მუსტაფა** გაიქცა და თანაც ახლობლებს დაუბარა, რუსების წასვლამდე არ დავბრუნდებიო. ვალერიან ზუბოვმა შემახილის ხანად მუსტაფას ბიძაშვილი ყასიმი გამოაცხადა. შემახილდან კასპიის კორპუსმა შეტევა გააგრძელა და 1796 წლის 21 ნოემბერს მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირზე, **ჯევათთან**, შეჩერდა. აქედან იწყებოდა **მულანის სტეპი**. კაზაკთა ატამან მატვეი პლატოვის კავალერია მდინარე მტკვრის მარჯვენა ნაპირზე გადაიყვანეს. კაზაკთა საგუშაგო რაზმები თითქმის გილიანამდე აღწევდნენ. უმოკლეს დროში რუსეთის ჯარმა დაიკავა ბაქოს, ყუბის, ყაზიყუმუხის, შემახილის, შაქის, ყარაბალის და განჯის სახანოები, კასპიის ზღვის მთელი სანაპირო, მდინარე თერგის შესართავიდან მდინარე მტკვრის შესართავამდე. ამ წარმატებისათვის ვალერიან ზუბოვს გენერალ-ანშეფის წოდება მიენიჭა და **კავკასიის მთავარსარდლობა** ებოდა. კავკასიის ხაზის მთავარსარდალი გენერალ-ანშეფი ივან გუდოვიჩი ხანგრძლივ შვებულებაში გაუშვეს, ხოლო მის ნაცვლად მთავარსარდლად გენერალ-პორუჩიკი **ისლენიევი** დაინიშნა.

კასპიისპირეთის საქართველოსა და რუსეთთან მუდმივი კავშირისათვის აუცილებელი იყო კომუნიკაციების დაცვა. ამ მიზნით ვალერიან ზუბოვმა **ტარკასა** და **ბულახში** სიმაგრეების აშენება გადაწყვიტა. **ჯევათთან**, მდინარე მტკვრის მარცხენა ნა-

პირზე, გადაწყდა ქალაქ ეკატერინოსერდის დაარსება. ახლად დაარსებული ქალაქის მოსახლეობის სწრაფად გაზრდის მიზნით კასპიის კორპუსის პოლკებიდან 2.000 ახალგაზრდა ჯარისკაცი ეკატერინოსერდში უნდა დასახლებულიყო. ასევე გადაწყდა, ხაზინას დახმარება აღმოჩენა ქალაქის მცხოვრებთათვის. ამ მიზნით გამოიყო 385.326 მანეთი. ეკატერინა II-ის ბრძანებით, ეს თანხა უკვე 1797 წლიდან უნდა გაეცა ხაზინას.

1796 წლის 6 ნოემბერს გარდაიცვალა რუსეთის იმპერატორი ეკატერინა II. ერთი თვის შემდეგ, 1797 წლის დეკემბერში, ირანში მყოფ რუსეთის საექსპედიციო კორპუსის ბანაკში გამოცხადდა ფელდეგერი და მოიტანა შეტყობინება ტახტზე პაველ I-ის ას-ვლის შესახებ. ფელდეგერმა საექსპედიციო კორპუსის ყველა პოლკის მეთაურს, გენერალ-ანშეფ ვალერიან ზუბოვის გვერდის ავლით, გადასცა სახელობითი ბრძანება. ბრძანება ჯარის რუსეთის იმპერიის საზღვრებში დაუყოვნებლივ დაბრუნებას ითვალისწინებდა. გენერალ-ანშეფი ივან გუდოვიჩი კავკასიის ხაზის მთავარსარდლად დააბრუნეს, ხოლო გენერალ-ანშეფი ვალერიან ზუბოვი გადააყენეს.

1797 წლის 5 იანვარს კავკასიის ხაზის მთავარსარდალმა ივან გუდოვიჩმა იმპერატორ პაველ I-ის რესკრიპტი მიიღო. რესკრიპტი პუნქტებად დაყოფილ რადენიმე ბრძანებას მოიცავდა:

1) კავკასიის ხაზს რუსეთის იმპერიის საზღვარი უნდა დაეცვა მდინარე ყუბანის შესართავიდან მდინარის ზემონელამდე, შემდეგ მდინარე თერგზე ვიდრე ყიზლარამდე. კავკასიის ხაზი მზად უნდა ყოფილიყო არა მარტო დაეცვა რუსეთის საზღვრები, არამედ დაეწყნარებინა რუსეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ველური ხალხები;

2) კავკასიის მთებში მცხოვრები ტომები კარგი მოპყობით რუსეთის მორჩილებად უნდა გადაექციათ. მთიელთა მორჩილებაში მოყვანის მიზნით მათთვის მძველები უნდა გამოერთმიათ

და ისინი კავკასიის ხაზზე ან უახლოს საგუბერნიო ქალაქებში გაეგზავნათ;

3) ერთმორწმუნეობის, დიდი ხნის ურთიერთობისა და ხელშეკრულების (გეორგიევსკის ტრაქტატის – ვ. გ.) გამო ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-თან შენარჩუნებული უნდა ყოფილიყო ღირსეული (მისთვის საკადრისი) ურთიერთობა;

4) ტარკის შამხალი, დალესტნის მფლობელი, დერბენტის, ბაქოსა და სხვა ხანები რუსეთზე დამოკიდებული უნდა ყოფილიყვნენ;

5) შენარჩუნებული უნდა ყოფილიყო რუსეთის ქვეშევრდომებეთან ვაჭრობა;

6) დახვეწილი და ფრთხილი გზებით (მეთოდებით) აღა მაჰმად შაპი უნდა დაეჯერებინათ იმაში, რომ არ შეხებოდა საქართველოსა და კასპიის ზღვის დასავლეთ ნაპირზე მდებარე ტერიტორიას;

7) ოსმალეთს არ უნდა გასჩენოდა ეჭვი, რომ რუსეთი მასთან დავის საგანს ეძებდა.

ამრიგად, პაველ I-მა ირანთან ომი შეწყვიტა, რაც ძალზე სავალო იყო ქართლ-კახეთის სამეფოსათვის. ერეკლე II მარტოდ-მარტო რჩებოდა მასზე გაბოროტებული ირანელი მბრძანებლის პირისპირ.

კასპიის კორპუსი ყუბა-დერბენტის გზით ყიზლარში დაბრუნდა. კორპუსმა საქართველოში გამოიზამთრა და 1797 წლის გაზაფხულზე დაბრუნდა კავკასიის ხაზზე.

1797 წლის გაზაფხულზე კავკასიის კორპუსის საქართველო-დან გასვლის გამო მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ როგორც მეფე ერეკლე II, ისე აღა მაჰმად შაპის მონინააღმდეგე ხანები. ყველას კარგად ესმოდა, რომ ირანის მრისხანე მბრძანებელი შურს იძიებდა.

კასპიის კორპუსის ყიზლარში დაბრუნებამ აღა მაჰმად შაპის

იმედი ჩაუსახა. ირანის მრავალრიცხოვანი ჯარი ყარაბაღში შეიჭრა და მოსახელობის დარბევა დაიწყო. იბრაჟიმ ხანმა შუშის ციხე დატოვა და დაღესტანს შეაფარა თავი. აღა მაჟმად შაჟმა შუშა უბრძოლველად დაიკავა. შუშიდან იგი ქართლ-კახეთის სამეფოზე აპირებდა გამოლაშქრებას. საქართველო ირანის მბრძანებლის მოულოდნელმა სიკვდილმა იხსნა. 1797 წლის ივნისში შუშაში შეთქმულებმა აღა მაჟმად შაჟი მოკლეს. შაჟის მკვლელობამ გარკვეული შვება მოუტანა ქართლ-კახეთის სამეფოს, თუმცა ირანიდან მომდინარე საფრთხე ჯერ კიდევ არსებობდა.

ირანის დაშლის პროექტის ჩაშლამ და სერიოზულმა ცვლილებებმა რუსეთის იმპერიის კავკასიურ პოლიტიკაში უმძიმეს მდგომარეობაში ჩააგდო ქართლ-კახეთის სამეფო. ქვეყანა დაუცველი დარჩა. თუ ირანი აღა მაჟმად შაჟის მკვლელობის შემდეგ ქართლ-კახეთის სამეფოზე ლაშქრობას გადაწყვეტდა, ქვეყანაში იმაზე უარესი ვითარება შეიქმნებოდა, როგორიც იყო 1795 წელს, აღა მაჟმად ხანის ლაშქრობის დროს და ლაშქრობის შემდეგ. როგორც სულმალე გაირკვა, ქართლ-კახეთის სამეფოს საფრთხე არა ირანიდან, არამედ რუსეთის იმპერიიდან ელოდა.

ლიტერატურა:

1. ქართული დიპლომატიის ისტორია. მთავარი რედაქტორი აკად. როინ მეტრეველი. თბილისი, 2022, გვ. 437-453
2. ვახტანგ გურული. მეფე ერეკლე და რუსეთი. თბილისი, 2018
3. П.Г Бутков. Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 г. част II, Санкт-Петербург., 1869.
4. Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе. Том III. Санкт-Петербург., 1886.

5. **А.И., Кругов М. В. Нечитайлов.** Персидская армия в войнах с Россией. 1796-1828 гг.- Москва, 2016.
6. **А.В. Шишов.** Схватка за Кавказ. М., 2007.
7. **А. В. Шишов.** Полководцы кавказских войн. Москва., 2001

სარჩევი

| | |
|--|----|
| შესავალი..... | 3 |
| ლექცია 1. კიევის რუსეთის დიდი მთავრების გეოსტრატეგიული მისწრაფებები | 5 |
| ლექცია 2. მოსკოვის რუსეთის მეფის ივანე IV მრისხანის (1533-1584) გეოსტრატეგიული პორექტები და ბრძოლა მათი განხორციელებისათვის | 11 |
| ლექცია 3. რუსეთის მეფისა და იმპერატორის პიოტრ I-ის (1682-1725) გეოსტრატეგიული პროექტები და ბრძოლა მათი განხორციელებისათვის | 18 |
| ლექცია 4. რუსეთ-ოსმალეთის 1768-1774 წლების ომი. ქუჩუკ- კაინარჯის ზავი | 34 |
| ლექცია 5. რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობა ქუჩუკ-კაინარჯის ზავის შემდეგ. ვითარების დაძაბვა ყირიმის სახანოში. აინალი- კავაკის კონვენცია | 38 |
| ლექცია 6. „საბერძნეთის პროექტის“ შექმნის წინა პირობები .. | 46 |
| ლექცია 7. „საბერძნეთის პროექტი“ | 54 |
| ლექცია 8. იყო თუ არა რეალური „საბერძნეთის პროექტი“? ... | 61 |
| ლექცია 9. საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობა „საბერძნეთის პროექტამდე“ | 67 |
| ლექცია 10. „საბერძნეთის პროექტი“ და საქართველო | 80 |

| | |
|---|-----|
| ლექცია 11. „საბერძნეთის პროექტი“ რუსეთის მიერ ყირიმის სახანოს შეერთების შემდეგ | 98 |
| ლექცია 12. ირანის დაშლის რუსული პროექტი და საქართველო..... | 107 |

კომპიუტერული უზრუნველყოფა
თამარ სტეფანაძე

გამომცემლობა „მერიდიანი“,
 ალ. ყაზბეგის გამზ. №47

E – mail: meridiani777@gmail.com ტ. 239-15-22



9 789941 343865